

# მანანა თანდაშვილი

ენისა და კულტურის  
დოკუმენტირების  
თანამედროვე მათოდები  
და ინსტრუმენტები

ფინანსორული დოკუმენტი  
არქივის მაგალითები

მანანა თანდაშვილი

ენისა და კულტურის დოკუმენტირების  
თანამედროვე მეთოდები  
და ინსტრუმენტები

---

ლინგვიკულტუროლოგიური დიგიტალური  
არქივის მაგალითზე



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2020

წინამდებარე ნაშრომი შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანგულერტის გოვოქს სახელობის უნივერსიტეტის ურთიერთობაზე არამარტინის ფარგლებში. პროექტს აფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ნაშრომში განხილულია ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები, განხილულია და რესურსების შექმნის ისტორია და მიმღები თანამედროვე დიგიტალური არქივები, მათი შექმნის ისტორია და რესურსები. ნაშრომში ასევე განხილულია დოკულინგვისტიკის სფეროსათვის რედაქციური ზოგადოეროვნული საკონები, როგორიცაა კულტურის გაგბის საკითხი, მექანიკურის ფორმები, კულტურული ტრანსმისია და მისი მნიშვნელობა; ასევე წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში მოპოვებული ემპირიული მასალების ანალიზი. ნაშრომი განკუთვნილია პუმანიტარული დარგის სტუდენტებისა და ენისა და კულტურის დოკუმენტირების საკითხით დაინტერესებული პირებისათვის.

**რედაქტორი:** პროფ. რამაზ ხალვაში

**რეცენზენტები:** ასისტ. პროფ. მზია ხახუტაიშვილი, ასოც. პროფ. ნანა ცეცხლაძე

**გარეკანზე:** ხიხანის ციხე, ზემო აჭარა

**ფოტო:** ზეიად ხალვაშისა

© მ. თანცაშვილი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საავტორო სამსახური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-765-9

## შინაარსი

### შესავალი

7

### თავი პირგელი

დიგიტალური არქივების შექმნის აუცილებლობა და  
ისტორია

1. კვლევის პარადიგმატული სისტემა	17
2. ღია რესურსები და მათი მნიშვნელობა	27
3. რა არის მეტამონაცემი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?	33
4. ღია არქივების ინიციატივა და ენობრივი არქივების ღია საზოგადოება	36
5. ენათა ციფრული არქივები	58
5.1. კალიფორნიის და სხვა ინდიელთა ენების კვლე- ვის არქივი	61
5.2. აბორიგენების ენათა კვლევის ელექტრონულ მო- ნაცემთა არქივი	63
5.3. ლათინური ამერიკის ინდიგენური ენების არქივი	64
5.4. ავსტრალიის აბორიგენების კვლევების მონაცემ- თა ელექტრონული არქივი	65
5.5. წყნარი ოკეანისა და რეგიონალური დიგიტალური რესურსების არქივი გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი კულტურების გადასარჩენად	68
5.6. პერსევსის ციფრული ბიბლიოთეკა	70
5.7. ტიბეტისა და ჰიმალაის ციფრული ბიბლიოთეკა	71
5.8. ქეიარდილდის ვირტუალური არქივი	73
5.9. ალიასკის ადგილობრივი ენების ცენტრის არქივი	74

<b>თავი მეორე</b>	
<b>პულტურა და მეხსიერება დოკუმენტირების კონტექსტში</b>	
1. დოკუმენტირების ობიექტის განსაზღვრებისათვის	77
2. პულტურა, როგორც ბინარული სისტემა	79
3. მეხსიერება და მისი სახეები	83
4. ტრანსმისია და მისი ფორმები	85
5. მეხსიერების ფორმები	87
6. მეხსიერება და ისტორია	93
7. კომუნიკაციური და პულტურული მეხსიერება და მისი ობიექტივიზაცია	96
8. იუნესკოს კონვენცია არამატერიალური პულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ	104
<b>თავი მესამე</b>	
<b>ინფორმაციის ტრანსმისია და მისი მნიშვნელობა ისტორიული და კულტურული მეხსიერებისათვის</b>	111
1. საგვარეულო ისტორიის კვლევა ზემო აჭარის ერთი ოჯახის მაგალითზე	113
2. ინფორმაციის ტრანსმისიის სტრუქტურული ანალიზი	117
3. კვლევის სპეციფიკა და მეთოდოლოგია	151
4. ტრანსმისიის მორფოლოგია და პარამეტრები	154
5. დისკურსის სენტიმენტ-ანალიზი არქივის მასალებზე დაყრდნობით	164
6. წინასწარი დასკვნები და ტრანსმისიის კვლევის პერსპექტივები	173

7. ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის  
მნიშვნელობა ინტერდისციპლინური კვლევები-  
სათვის

177

## თავი მეოთხე

ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირება	188
1. რა არის ელექტრონული დოკუმენტირება?	189
2. ენის დოკუმენტირების ძირითადი მიზნები და პრინციპები	192
3. ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი	196



## შესაგალი

21-ე საუკუნე რამდენიმე არსებითი ნიშნით გამოირჩევა - საყოველთაო გლობალიზაცია და ტექნიკური რევოლუცია. რესურსების მოპოვებისა და შენახვის ახალი ტექნოლოგიების შექმნაში სრულიად ახალი პერსპექტივა შეუქმნა ჰუმანიტარული დარგის მკვლევრებს: მონაცემთა დიდი ბაზების (Big Data ე.წ. „დიდი მონაცემების“) არსებობაში და რესურსების დიგიტალური მეთოდებით დამუშავებაში დააჩქარა და დახვეწია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევის პროცესი, რამაც, თავის მხრივ, ახალი სამეცნიერო დისციპლინის - დიგიტალური ჰუმანიტარიას შექმნა გამოიწვია. ვინაიდან ცნება დიგიტალური ჰუმანიტარია (*digital humanities*) შედარებით ახალი შემოსულია სამეცნიერო მიმოქცევაში, აქვე განვითარებავთ მის არსეს: დიგიტალური ჰუმანიტარია ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ინფორმატიკის მიჯნაზე აღმოცენებული სამეცნიერო დარგია, რომელიც კვლევის დროს სისტემატურად იყენებს დიგიტალურ რესურსებსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ჰუმანიტარულ დარგებსა და კულტუროლოგიაში თეორიული კვლევების საწარმოებლად. დიგიტალური რესურსების კომპიუტერულ ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად მიღებული კვლევის შედეგებიც, კვლევის მეთოდებიდან გამომდინარე, მეტი სიზუსტითა და სისტემურობით გამოირჩევა. დღეს თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიგიტალური ჰუმანიტარია ჰუმანიტარიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისაგან შექმნილი სინერგეტიკული დისციპლინაა და 21-ე საუკუნის მეცნიერების განვითარების გარდაუგალ შედეგს წარმოადგენს.

კვლევის რესურსების თანამედროვე პრინციპებით მოპოვებას და მათ დიგიტალურ დამუშავებას დიგიტალური ჰუმანიტარიის ფარგლებში არსებითი უპირატესობა გააჩნია და პრინციპულად განსხვავდება აქამდე არსებული ჰუმანიტარიისაგან. თუ ერთმანეთს შევადარებო ტრადიციულ ჰუმანიტარიასა და დიგიტალურ ჰუმანიტარიას, თვალსაჩინო გახდება განსხვავება მათ შორის. ტრადიციულ ჰუმანიტარიას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- **პირველად რესურსებზე წვდომის (დროული და სივრცული) სირთულე**

ჰუმანიტარული დარგის პვლევის ობიექტები, მაგალითად ხელნაწერი და ბეჭდური რესურსები, არქეოლოგიური არტეფაქტები, არქიტექტურული ნაგებობები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ. გეოგრაფიულად განფენილია და მათზე წვდომა მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად სივრცული და დროული სირთულეების გადალახვას მოითხოვს. ცნობილია, რომ ქართული ხელნაწერების დიდი უმრავლესობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძალისხმევით შეგროვდა, რის საფუძვლზეც თავის დროზე შეიქმნა პ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი (დღეს - პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). მაგრამ ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი გაფანტულია მთელ მსოფლიოში და

- ინახება სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, საცავებში, სამონასტრო და კულტურულ ცენტრებში. შესაბამისად, ამგვარ რესურსებზე წვდომა და მათი დამუშავება დიდ სირთულეს წარმოადგენს ღროვას და სივრცული დაშორების გამო, რასაც ემატება ადგილობრივ ინსტიტუციებთან ურთიერთობის სიძნელე (აქ ვგულისხმობთ ხელნაწერებზე მუშაობის ნებართვას).
- **პირველადი რესურსების მანუალური დამუშავება** ტრადიციული პუმანიტარიის ფარგლებში რესურსების დამუშავება ხორციელდებოდა მანუალურად. მასალის მოპოვების ტრადიციული მეთოდი - **დაბარათება** - მკვლევრისაგან მოითხოვდა ხანგრძლივ და განმეორებად შრომას. მაგ.: ტექსტის სიმფონია-ლექსიკონის შექმნის შემთხვევაში ერთი წინადადების ამობარათება ხდებოდა იმდენჯერ, რამდენი სიტყვაც იყო წინადადებაში.
  - **პირველად რესურსებზე ერთჯერადი წვდომა** საცავებში, ბიბლიოთეკებში და სხვა მსგავს ინსტიტუციებში დაცული რესურსების დამუშავების შემთხვევაში საჭმე გვქონდა რესურსზე ერთჯერად წვდომასთან. სამეცნიერო დებულების დაზუსტების ან ახალი დებულების შესამოწმებლად საჭირო ხდებოდა რესურსის ხელახალი დამუშავება.
  - **სამეცნიერო პოსტულატების გადამოწმების (ვერიფიცირების) სირთულე**

მომხმარებელი ძირითადად სამეცნიერო ლიტერატურის (ანუ მეორადი რესურსის) მეშვეობით ეცნობოდა ამა თუ იმ წყაროს, რაც გამორიცხავდა სამეცნიერო პოსტულატების გადამოწმების (ვერიფიცირების) შესაძლებლობას. ხშირ შემთხვევაში პირველად რესურსებზე წვდომა შეუძლებელი იყო.

- ემპირიული მასალის დაზუსტების შემთხვევაში ხელასალი გამოცემის აუცილებლობა ნებისმიერი ბეჭდური გამოცემა შეიცავს უზუსტობებს, როგორებიცაა კორექტურული შეცდომები ან დაუზუსტებელი ემპირიული მასალა, რომლის დაზუსტებაც წიგნის გამოცემის შედეგად გახდა შესაძლებელი. ამგვარი უზუსტობები, როგორც წესი, ხელმეორე გამოცემების დროს სწორდებოდა. ანუ, მასალის დაზუსტების შემთხვევაში მისი ხელახალი გამოცემის აუცილებლობა დგებოდა დღის წესრიგში.

დიგიტალური ჰუმანიტარიის ფარგლებში კი თანამედროვე რესურსები მარტივად ხელმისაწვდომია, მულტიდისციპლინურობით ხასიათდება და მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. იგი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- პირველად რესურსებზე წვდომის სიმარტივე და პირველადი რესურსების მოპოვების სისწრაფე დიგიტალური ბაზების არსებობა ამარტივებს პირველადი რესურსების მოპოვებას და ეს სიმარტივე გამოიხატება არა მარტო რესურსების მოპოვებისათვის საჭირო

დროში (დიგიტალური ბაზების გამოყენების შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ რამდენიმე წამში მოიპოვოთ საჭირო რესურსი), არამედ სივრცული ბარიერიც გადალახოთ: რესურსების მოსაპოვებლად არ არის საჭირო მათი რეალური ადგილსამყოფელის მონახულება. დიგიტალური რესურსი თქვენ შეგიძლიათ ვირტუალურად „გამოიძახოთ“ თქვენს კომპუტერში და დაამუშაოთ იგი თქვენი ინტერესისდა შესაბამისად. ამგვარად, თქვენ იყენებთ ე.წ. „ვირტუალურ ბიბლიოთეკებს“. შესაბამისად, თქვენ გიწევთ მუშაობა არა გეოგრაფიულ სივრცეში, არამედ ვირტუალურ გარემოში.

- **პირველადი რესურსების ელექტრონული დამუშავება**  
რესურსების მანუალური დამუშავება დიგიტალური ჰუმანიტარიის ფარგლებში შეცვლილია კომპიუტერული დამუშავებით, რაც გიზოგავთ დროსა და ენერგიას და მიღებული შედეგებიც გაცილებით ზუსტია და სისტემური, კიდრე მანუალური დამუშავების შემთხვევაში.
- **პირველად რესურსებზე მრავალჯერადი წვდომა**  
დიგიტალური ჰუმანიტარიის რესურსი მრავალჯერადი გამოყენებისაა. მასზე წვდომა შეგიძლიათ განახორციელოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოითხოვს თქვენი საკლევი თემა ან სამეცნიერო ინტერესები.
- **სამეცნიერო პოსტულატების გადამოწმების (ვერიფიცირების) შესაძლებლობა**  
დიგიტალური რესურსები ძირითადად აღჭურვილია ორიგინალური ფოტო- და სხვა გიზუალური მასალით,

რაც საშუალებას გაძლევთ გადამოწმოთ ელექტრონული რესურსების სიზუსტე ან გამოიყენოთ რესურსები ინტერდისციპლინური კვლევებისათვის. მაგ.: წარწერების კორპუსის რესურსებს თან ერთვის შესაბამისი ფოტომასალა, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული რესურსი ხელახლა დავამუშაოთ სიზუსტის დასადგენად ან ინტერდისციპლინური კვლევებისათვის. მაგალითად, რესურსის „გადამოწმება“ არა მარტო ლინგვისტური, არამედ პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც.

- **ემპირიული ბაზის (შედარებითი) სისრულე**  
დიგიტალურ ჰუმანიტარიაში კვლევის შედეგების სიზუსტე და სისტემურობა განპირობებულია ემპირიული ბაზის შედარებითი სისრულით, ვინაიდან კვლევა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში ეყრდნობა დიდ მონაცემთა ბაზას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დიდი მონაცემების შემთხვევაშიც საჭმე შეიძლება გვქონდეს შედარებით სისრულესთან, განსაკუთრებით ეს ეხება დია კორპუსებს. სტატიკური კორპუსების შემთხვევაში ემპირიული მასალის სისრულის მიღწევა შესაძლებელი და აუცილებელიცაა.
- **კვლევის სისტემურობა**  
დიდ მონაცემთა ბაზის დამუშავება, ერთი მხრივ, და კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მეორე მხრივ, თავისთავად უზრუნველყოფს სისტემურობას, ვინაიდან კვლევის რესურსების დამუშავება მანქანურად ხორციელდება და გამორიცხავს ადამიანურ შეცდომებს.

- გამართული მეთოდურობა
 

დიგიტალურ ჰუმანიტარიაში კვლევა არა მხოლოდ სისტემურად ხორციელდება, არამედ გამართული მეთოდურობითაც ხასიათდება. კორპუსული კვლევების დროს ძირითადად გამოიყენება ორი უმნიშვნელოვანესი მეთოდი: კორპუსზე ორიენტირებული კვლევის მეთოდი და კორპუსით განპირობებული კვლევის მეთოდი. ეს ორივე მეთოდი ერთმანეთს განავრცობს და უზრუნველყოფს კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების აღეკვატურობას რესურსთან მიმართებაში.
- რედაქტირების სიმარტივე და ელექტრონული განახლებადობა
 

აღმოჩენილი უზუსტობების გასწორება ან მასალის შემდგომი დამუშავება-განვრცობა დიგიტალური ჰუმანიტარიის ფარგლებში მარტივად ხორციელდება. ელექტრონული რესურსები განახლების სიმარტივით ხასიათდებიან და ნაკლებ პრობლემას წარმოადგენენ ეპონომიური თვალსაზრისითაც - განახლებული ვერსიები ბეჭდურად აღარ უნდა გამოიცეს. ეს რესურსები ვირტუალურ „ბიბლიოთეკებშივე“ სწორდება.

მკვლევართა მიერ მოპოვებულ რესურსებზე სამეცნიერო კუთვნილების საკითხის გადააზრებამ და კვლევითი რესურსების „გასაჯაროებამ“ 21-ე საუკუნის ჰუმანიტარია არსებითად შეცვალა - დღეს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება „დია რესურსების“ შექნის პრინციპის გამოყენებით ვითარდება.

იმისათვის, რომ რესურსებზე წვდომა მარტივი და საყოველ-თაო იყოს, აუცილებელია რესურსების დიგიტალურ ფორმატში შენახვა - დიგიტალური არქივირება.

**დიგიტალური არქივირების აუცილებლობამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სამეცნიერო საზოგადოება, კერძოდ, საჭირო გახდა დიგიტალური არქივების საყოველთაო სტანდარტის შექმნა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ენობრივი რესურსების სტანდარტიზაციის პროცესის გადაჭრას (მაგალითად, უნიკოდის სტანდარტის გამოყენების აუცილებლობას სხვადასხვა ანბანით შესრულებული რესურსების წასაკითხად), არამედ დიგიტალური რესურსების შენახვისა და არქივირების ისეთი სტანდარტის შექმნასაც, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა არქივში რესურსებზე მულტიდისციპლინურ წვდომას და უნიფიცირებულ მოძიებას.**

საერთაშორისო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად განხორცილდა, სწორედ დიგიტალური არქივირების აუცილებლობითა და გარდაუვლობით იყო განპირობებული. პროექტი მიზნად ისახავდა აჭარის რეგიონის ინტერაისციპლინური კვლევების განხორციელებისათვის რესურსების მოპოვებას და დიგიტალური არქივის, როგორც დია რესურსის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს არა მხოლოდ ქართველ მეცნიერებს, რომ განახორციელონ ინტერდისციპლინური კვლევები დიგიტალური პუმანიტარიის სფეროში, არამედ საერთაშორისო გამოყენებ-

ბის იქნება, ვინაიდან ტექსტური რესურსების ერთ ნაწილს ახლავს ინგლისური თარგმანი, ხოლო მთლიანად დიგიტალური არქივი აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით შექმნილი თანამედროვე საძიებო სისტემით.

ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ ბათუმის ლინგვო-კულტუროლოგიური დიგიტალური არქივის შესახებ. მანამდე კი მოკლედ მიმოვისილავთ დიგიტალური არქივების შემქნის ისტორიას და მათ მნიშვნელობას.



## თავი I

### დიგიტალური არქივების შექმნის აუცილებლობა და ისტორია

დიგიტალური არქივების შექმნა გლობალიზაციის პროცესით არის გამოწვეული და განპირობებულია ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გაცვლის აუცილებლობით, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ორი მიზნის გვერდით ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც უნდა ვახსენოთ, რომელმაც დიდწილად განაპირობა დიგიტალური არქივების წარმოშობა. ეს გახლავთ კვლევის პარადიგმატული სისტემის გადააზრება.

#### 1. კვლევის პარადიგმატული სისტემა

კვლევა, ისევე როგორც ნებისმიერი სისტემური მოცულობა, პარადიგმატულობით ხასიათდება. ენათმეცნიერული კვლევების შემთხვევაში სამი ძირითადი პარადიგმა გამოიყოფა:

- 1) პრესკრიპციული vs. დესკრიფციული კვლევა, 2) სინქრონული vs. დიაქრონული კვლევა და 3) საბუნებისმეტყველო vs. სოციოლოგიური კვლევა. სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევის ეს პარადიგმატული სისტემა, როგორც წესი, ცალ-ცალკე განიხილება. რომელიმე მოცემული ენის გრამატიკა, რომელიც იქმნება მეცნიერთა მიერ, არის ამ ენის კვლევის შედეგად დადგენილი ზოგადი წესების კრებული, რომელიც ენას, როგორც სისტემას აღწერს. მაგ.: ბრუნების წესები, უდლების წესები,

მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურა და ა.შ., ანუ როგორ უნდა ვაბრუნოთ ესა თუ ის არსებითი (ან სხვა) სახელი, ან როგორ უნდა ვაუდლოთ ვნებითი (ან მოქმედებითი) გვარის ზმნა, როგორ უნდა ავაგოთ სინტაგმა და შეთანხმების რა წე-სები უნდა გამოვიყენოთ სახელურ და ზმნურ სინტაგმას შორის და ა.შ. ამგვარი მიღგომა პრესკრიფციული, ანუ წინას-წარდადგენილი კვლევის შედეგებზეა ორიენტირებული. ბუნებ-რივია, რომ ენის სისტემურობის შეცნობის სურვილიდან გამო-მდინარე, ენის გრამატიკების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ პრესკრიფციულ გრამატიკებს წარმოადგენს. დეს-კრიფციული კვლევა, როგორც კვლევის პარადიგმის შემადგენელი წევრი, ახალ შინაარსს იძენს, როდესაც კვლევის ფოკუსში ექცევა ენის გამოყენებითი ასპექტი (ენა, როგორც სოციოლინგვისტიკის კვლევის ობიექტი).

პრესკრიფციული გრამატიკების შემთხვევაში, როგორც წესი, საქმე გვქონდა დამწერლობის მქონე ენების რესურსებ-თან, რომლებიც სისტემურობით გამოირჩევიან, ვინაიდან ექვემ-დებარებიან მკაცრად დადგენილ წესებს - ენობრივ ნორმებს. ენობრივი ნორმები, მართალია, სპეციალისტთა მიერ დადგე-ნილ წესთა ერთობლიობაა და შეთანხმების საფუძველზე დგინდება, მაგრამ თავად ეს წესები ენობრივ მონაცემებზე და-კვირვებისა და სისტემატიზაციის შედეგად არის შემუშავებუ-ლი და ასახავს იმ ძირითად ტენდენციებს, რომელიც ენაში დასტურდება.

რამდენად აბსურდულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, და-მწერლობა, ზოგადად, ჩარჩოში აქცევს და გარკვეულწილად

აფერხებს ენის ბუნებრივ განვითარებას. ენა ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად ვითარდება. შესაბამისად, ენის სტრუქტურაში გარკვეულ ცვლილებებს აქვს ადგილი, რაც სხვადასხვა - როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული, როგორებიცაა მაგალითად:

1. ენის სისტემის სტრუქტურული გაერთმნიშვნელიანების ტენდენცია;
2. ენაში ფორმათა დამთხვევის, ანუ მორფოლოგიური ომონიმიის დაძლევის მოთხოვნილება;
3. იდიოლექტის გავლენა ენობრივ სისტემაზე და იდიოლექტურ მოვლენათა გავრცელება და ლეგიტიმაზაცია;
4. ენობრივი კონტაქტები და სხვა ენათა გავლენა;
5. მიგრაციული პროცესები და შედეგად გამოწვეული ცვლილებები ენობრივ სისტემაში და ა.შ.

აქ ჩამოთვლილი (და არჩამოთვლილი) მიზეზები განაპირობებნ ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების, თავისუფალი განვითარების პროცესს, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ნორმირებული ენის იძულებით სტაბილურ სისტემას.

ვინაიდან ენაში დამკვიდრებული ნორმები დროთა განმავლობაში შეიძლება „მოძველდეს“, ანუ ჩამორჩეს ენის განვითარების ტენდენციებს, საჭირო ხდება მისი „გადახედვა“ და შესაბამისი ნორმატიული ცვლილებების შეტანა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პროცესი დამწერლობის მქონე ენების შემთხვევაში. გარკვეული დროის შემდეგ წერი-

ლობითი და ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტები და პროცესები ერთმანეთს საგრძნობლად შორდება და საჭიროებს დადგენილი ნორმების გადახედვას - ანუ „ნორმების განახლებას“. ქართული ენის ისტორიიდან „ნორმების განახლების“ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავისახელოთ ანტონ პირველის **სამი სტილის თეორია** და მისი გავლენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დინამიკაზე, რასაც შემდგომ მოჟყვა 19-ე საუკუნის დასაწყისში წარმოებული მამათა და შვილთა ბრძოლა ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მძაფრი პოლემიკის სახით შემოინახა ისტორიამ.

ზოგადად, ცნობილია, რომ დამწერლობის მქონე ენები გარკვეული სტაბილურობით და კონსერვატიულობით ხასიათდებიან, დამწერლობის არმქონე ენები კი განვითარების შეტითვისუფლებით გამოიჩინევიან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მართალია არსებობს საერთო მოხმარების საგანგები სისტემა - **კონე**, რომელიც ამ ენის მატარებელთა სხვადასხვა ჯგუფისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს, მაგრამ ენობრივი სისტემა, მის პარალელურად, მეტ თავისუფლებას ანიჭებს ინდივიდუალურ მეტყველებას, რომელიც დიალექტური სისტემის კანონიერ კლემნტად შეიძლება იქცეს დროთა განმავლობაში. შესაბამისად, დამწერლობის არმქონე ენა უნდა განვიხილოთ, როგორც **დიალექტური კონტინუუმი**, რომელიც იდიოლექტურ ნაირსახეობათა ნაკრებს წარმოადგენს და განვითარების მეტი თავისუფლებით ხასიათდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დამწერლობის არმქონე ენების შესწავლა მხოლოდ ემპირიული კვლევის შედეგად არის

შესაძლებელი და მჭიდროდ უკავშირდება დამწერლობის არ-მქონე „უცნობ“ ენათა შემოტანას ლინგვისტური (და არა მხოლოდ ლინგვისტური) კვლევის არეალში. თუ აქამდე მეცნიერთა ინტერესი მიმართული იყო წერილობითად დოკუმენტირებული, ანუ დამწერლობის რაიმე სახით გადმოცემული რესურსების კვლევისაპერ, 20-ე საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა მკვლევართა ინტერესების სფერო და ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ აქამდე უცნობი და შეუსწავლელი ენები, რომლებიც, როგორც წესი, დამწერლობის არ-მქონე ენებია. ამ მოძრაობას ხელი შეუწყო მსოფლიო მასშტაბით ენათა თანდათანობითი გაქრობის პროცესის გააზრებამ, რომელმაც თვალნათლივ წარმოაჩინა ის საფრთხე, რომელიც ენათა გაქრობას მოჰყვება თან.

ტრადიციური გაგებით, ენის კვლევა, ერთი კონკრეტული მეცნიერების, ლინგვისტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა. ინტერდისციპლინური დარგების შექმნამ საგრძნობლად გაზარდა ენის, როგორც ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტის მნიშვნელობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებულმა ცოდნამ ჩვენამდე ძირითადად ენობრივი ფორმით მოაღწია. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა ენობრივი რესურსების კვლევას, როგორც სინქრონული, ისე დიაქრონული თვალსაზრისით - ენობრივი რესურსების კვლევა საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ არა მარტო ენების განვითარებას, არამედ ამ ენათა მატარებელი ხალხების ისტორიულ და

**კულტურულ განვითარებასაც.** შესაბამისად, მოხდა ენის, როგორც ფენომენალური მოცემულობის ხელახალი გადააზრება კულტურასთან მიმართებაში. ენა არსებითად ამ ენის მატარებელი სოციუმის კულტურულ განვითარებაზე აისახება და მისი გაქრობით ქრება შესაბამისი ენის მატარებელი სოციუმის კულტურაც.

დამწერლობის არმქონე ენების შემთხვევაში ენობრივი რესურსების არარსებობის გამო ამ ენათა (და შესაბამისად კულტურათა) კვლევა სხვაგვარი მეთოდოლოგიის გამოყენებას მოითხოვს. მოცემული ენის მატარებელი სოციუმის ისტორიული და კულტურული განვითარების კვლევა მექსიერების კვლევის - „ზეპირი ისტორიების“ შეგროვების, სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის გზით ხორციელდება.

ენის დოკუმენტირება, ორივე (როგორც წერილობითი, ისე ზეპირმეტყველების) შემთხვევაში კულტურის დოკუმენტირების ტოლფასია – ენის დოკუმენტირებით არსებითად ჩვენ ვახდენთ კულტურის დოკუმენტირებასაც.

ენისა და კულტურის დოკუმენტირება არსებითი მნიშვნელობისაა არა მხოლოდ სოციუმის დიაქტონიული კვლევის თვალსაზრისით, არამედ სინქრონიულადაც, რათა შევისწავლოთ ენაში მიმდინარე ცვლილებები და მათი გამომწვევი მიზეზები, გამოვიდვლიოთ ენობრივი ქცევის ნორმები, მოვახდონთ ენობრივი სიტუაციიდან გამომდინარე ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტების პროგნოზირება და სწორად დავგემოთ და განვახორციელოთ ენობრივი პოლიტიკა.

ენებისა და კულტურების დოკუმენტირება განსაპარობებულ მნიშვნელობას იძენს დღეისათვის ენათა გაქრობის საშიშროების ფონზე. საყოველთაო გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად დააჩქარა მსოფლიოს ლინგვისტურ რუკაზე ენათა გაქრობის პროცესი. სავალალოა **იუნესკოს** მონაცემები ენების სტატისტიკის თვალსაზრისით: დღეისათვის მსოფლიოში 7000-მდე ენა არსებობს (მათგან 36 იზოლირებული ენაა, 82 – კრეოლი, 119 – კი ჟესტების ენა; დანარჩენი ენები 150-მდე ენათა ოჯახში არის გადანაწილებული), რომელთაგანაც თითქმის ერთ მესამედს გაქრობის საშიშროება ემუქრება.

სწორედ ამ საფრთხის გათვალისწინებით შეიქმნა იუნესკოსთან საგანგებო პროგრამა გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ენების მსოფლიო ატლასის შესაქმნელად, რომელშიც დღეისათვის 2465 ენაა რეგისტრირებული. საფრთხეში მყოფი ენების აღრიცხვა ქვეყნების მიხედვით მიმდინარეობს. ამ ქვე-

ყანათა რიცხვში საქართველოცაა შეტანილი. კერძოდ, საქართველოში დღეისათვის გავრცელებული ენებიდან 11 ენაა შეტანილი აღნიშნულ ატლასში საფრთხეში მყოფი ენების სტატუსით, მათ შორის უდიური, წოვა-თუშური, პონტელ ბერძნთა მეტყველება, ახალარამეული, ლაზური.<sup>1</sup>

ენათმეცნიერული (და კულტუროლოგიური) კვლევის პარადიგმის შემდეგ კომპონენტს წარმოადგენს კვლევის დროული დეტერმინაცია, ანუ კვლევის განშლა დროის დერმზე. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განვასხვავებთ ისტორიულ ანუ დიაქტონულ კვლევას, ერთი მხრივ, და წერტილოვან ანუ სინქრონულ კვლევას, მეორე მხრივ. ხშირად სინქრონული კვლევა ასოცირდება „თანამედროვე“, დროის დერმზე მოცემულ წერტილში, ანუ მკვლევრის მიერ მის თანამედროვე დროულ განზომიდებაში მოცემულ მონაცემთა კვლევასთან; მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით დიაქტონული კვლევის სპეციფიკას, ადგილად დავრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის - დიაქტონული კვლევა მოიცავს ისტორიულ კვლევას, ოდონდ მის წერტილოვან მოცემულობაში. ანუ, დიაქტონული კვლევა სინქრონულ კვლევათა კრებსითი თდენობაა. გრაფიკულად ეს ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

ქართული ენის დიაქტონული კვლევის ხაზი



<sup>1</sup> <http://www.unesco.org/languages-atlas/index.php>

ანუ, იმისათვის, რომ შეგქმნათ ქართული ენის განვითარების სრული სურათი, საჭიროა ვიკილიოთ იგი დროის დერძის ცალკეულ წერტილში: მეხუთე საუკუნის ენა უნდა ვიკვლიოთ მეხუთე საუკუნის ძეგლების ბაზაზე, მეთერთმეტე საუკუნის ენა - მეთერთმეტე საუკუნის ძეგლების ბაზაზე და ა.შ. დიაქრონიული კვლევა არის წერტილოვანი, ანუ სინქრონიული კვლევების შედეგად შექმნილი ენის განვითარების უწყვეტი ხაზი:

$A + B + C + D + E + F = DR$  (ენის დიაქრონიულ კვლევას), სადაც A, B, C, D, E და F ენის განვითარების წერტილოვანი, სინქრონიული კვლევა საბოლოო ჯამში გვაძლევს ენის განვითარების ისტორიულ ანუ დიაქრონიულ სურათს.

იმის გათვალისწინებით, რომ ენა არა მხოლოდ ნიშანთა სისტემაა, არამედ სოციუმის შიდაფუნქციური ინსტრუმენტია (თავის უშუალო ფუნქციით ენა სოციუმში კომუნიკიის საშუალებას წარმოადგენს), იგი შეგვიძლია განვიხილოთ საბუნებისმეტყველო (სისტემურობის თვალსაზრისით) ან სოციოლოგიურ (გამოყენებითი თვალსაზრისით) ასპექტში. პირველ შემთხვევაში ვიკვლევთ ენის, როგორც სისტემის შინაგან სტრუქტურას, მეორე შემთხვევაში კი მისი გამოყენების სოციალურ ასპექტებს: ენის გამოყენების სფეროებს (ანუ ენის ფუნქციურ მხარეს) სხვადასხვა სოციალურ, პროფესიულ და ასაკობრივ ჯგუფში.

ენობრივი რესურსისა და კვლევის პარადიგმატული სისტემის განხილვა აუცილებლად მივიჩნიეთ დასაწყისშივე, ვინაიდან ლია რესურსების შექმნისა და მათი მნიშვნელობის

შესახებ მსჯელობისათვის აუცილებელ წინაპირობად  
მიგვაჩნია ენის, როგორც რესურსის, ახლებური გააზრება.

## 2. ლია რესურსები და მათი მნიშვნელობა

მეცნიერული კომუნიკაციის ახალი ფორმების ეფოლუციამ გებტექნოლოგიების განვითარების პარალელურად უპრეცედენტო შესაძლებლობები შეუქმნა მეცნიერებს პოტენციური გლობალური კავშირების მეშვეობით სწრაფად და ეფექტურად გამოიყენონ ელექტრონულ საცავებში დაცული დიგიტალური რესურსები, რომელთა რაოდენობაც დღითიდღე იზრდება. ლია რესურსების შექმნა და დიგიტალური არქივების ინფრასტრუქტურის განვითარება (საარქივო რესურსებზე საყოველთაო წვდომა), სამეცნიერო რესურსების ეფიციენტურად გამოყენების საშუალებას იძლევა და თვისობრივად შეცვალა 21-ე საუკუნის ჰუმანიტარიაში კვლევის პროცესი. დღეს მეცნიერებს აღარ სჭირდებათ მონაცემთა დიდი რაოდენობის ხელით დამუშავება და ინდივიდუალური შეფასება. მონაცემთა დიდი ბაზების გებგვერდებზე განთავსებული საძიებო სისტემები, საშუალებას იძლევა მიზნობრივად ვეძებოთ და მოვიპოვოთ ჩვენთვის საინტერესო მასალა. დღეს აღარ არის აუცილებელი თავად შევიდეთ და გაზიერებულად ვეძებოთ თითოეული მაგალითი ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში. საკმარისია საძიებო რესურსების კონკრეტული პარამეტრების განსაზღვრა, და საძიებო სისტემა თავად მოახდენს საჭირო მასალის სელექციას. ამასთან, დიდ მონაცემთა ბაზები უხილავია მომხმარებლისთვის და, შესაბამისად, დაცულიც, ვინაიდან შეზღუდულია მათზე სრული ხელმისაწვდომობა და რაც მთავარია, მათი კოპირება-გავრცელება. რესურსების ეწ. „გადაქაჩვის“ აუცილებ-

ლობა დღეისათვის არც არსებობს, ვინაიდან ენობრივი ოქსურ-სების საცავების დია სისტემად გარდაქმნა და ოქსურსების მოპოვების საყოველთაობა თავად გამორიცხავს ოქსურსების „მისაპუთორების“ მოტივაციას. პირიქით, მეცნიერებს საშუალება მიეცათ საკუთარი რესურსების გახსნისა და გაერთიანების გზით - ერთიანი „მსოფლიო ბიბლიოთეკის“ შექმნით - შეემუშავებინათ საერთაშორისო სამეცნიერო კომუნიკაციის ახალი გზები და განევითარებინათ ოქსურსების მოპოვებისა და კვლევაში მათი ეფექტური გამოყენების ახალი მეთოდები.

„ჩვენ მოვუწოდებთ მეცნიერებს, მონაწილეობა მიიღონ დია გებარქიზების შემქაში, რათა დირსეულად კუპასუხოთ აკადემიური ბიბლიოთეკების წინაშე წარმოშობილ პრობლემებსა და გამოწვევებს, ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ არქივების თანამდერთვე ფორმები და მეთოდები, გავხდეთ რესურსების აკადემიური მოხმარების შეამავლები და ხელი შევუწოთ რესურსების არქივირების, ორგანიზებისა და შენახვას საერთაშორისო ხელმისაწვდომობის შემუშავებას მათი საყოველთაო მოხმარების მიზნით“ - წერდა იუნგ-რან პარკი (Jung-ran Park) ქურნალ *Electronic Journal of Academic and Special Librarianship*-ში გამოქვეყნებულ ხტატიაში „Language-Related Open Archives: Impact on Scholarly Communities and Academic Librarianship“<sup>2</sup>.

---

<sup>2</sup> Jung-ran Park (College of Information Science and Technology, Drexel University), *Language-Related Open Archives: Impact on Scholarly Communities and Academic Librarianship*, in.: *Electronic Journal of Academic and Special Librarianship* ([http://southernlibrarianship.icaap.org/content/v05n02/park\\_j01.htm](http://southernlibrarianship.icaap.org/content/v05n02/park_j01.htm))

ვებტექნოლოგიის მარკეტინგის განვითარებამ, რომელიც სრულიად განსხვავდება ტრადიციული, ე.წ. „ქაღალდის ეპოქის“ მარკეტინგისაგან, უპრეცედენტო შესაძლებლობები მოუტანა სამეცნიერო საზოგადოებას - ინფორმაციის ინტერნეტით გავრცელება გაცილებით მეტი სისტრაფით გამოირჩევა, ინტერნეტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა კი - მეტი მოქნილობით. სამეცნიერო კომუნიკაციის ამ მაღალუფლექტურმა საშუალებებმა, ერთი მხრივ, და ქსელური კომუნიკაციის ახალი ფორმების განვითარებამ, მეორე მხრივ, აუცილებლობით გამოიწვია ტრადიციული სამეცნიერო კომუნიკაციის არსებული საშუალებების შეზღუდვა. სამეცნიერო კომუნიკაციის აქადემიური ფორმები მიუღებელი აღმოჩნდა თანამედროვე საზოგადოებისათვის ეფიციენტური თვალსაზრისით. კერძოდ:

1. სამეცნიერო კომუნიკაციის ტრადიციული ფორმები გაცილებით მოუქნელია მზარდი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში როგორც სამეცნიერო გავრცელების სისტრაფის, ისე ფინანსური თვალსაზრისით. სამეცნიერო კომუნიკაციის ტრადიციულ, ანუ ბეჭდურ ფორმებს ახასიათებს წარმოების შეუდარებლად მაღალი ხარჯები, ვიდრე კომუნიკაციის (ანუ გავრცელების) ელექტრონულ საშუალებებს;
2. სამეცნიერო ნაშრომების შენახვა ლოგისტიკურ და ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული: სტამბის საწყობებიდან დაწყებული დამთავრებული აკადემიური სივრცით (ბიბლიოთეკა, არქივი);

3. ეს უკანასკნელი მოითხოვს ადამიანურ რესურსებს, აღჭურვილს საგანგებო სამომხმარებლო ცოდნით;
4. ბეჭდური რესურსების გავრცელება გაცილებით შეზღუდულია როგორც რაოდენობრივად (ტირაჟირება), ისე გეოგრაფიულად, რაც, შესაბამისად, კიდევ უფრო გართულებულია რესურსების მომხმარებლამდე მიტანის გაშუალებული პროცედურით (რესურსების შექმნა/წარმოებიდან მათ გავრცელებამდე საჭირო დრო ბევრად აღემატება ელექტონულად გამოქვეყნების შემთხვევაში მომხმარებლამდე მისი მიღწევის დროს).

დღეს ეჭვს ადარ იწვევს ის ფაქტი, რომ მასობრივი შენახვის ტექნოლოგიები, რომელიც ტრადიციული შენახვის ფორმებთან შედარებით გაცილებით იაფია, საშუალებას იძლევა განუსაზღვრელი რაოდენობის რესურსი შევინახოთ ციფრულ ფორმატში. გარდა ამისა, ინტერნეტკომუნიკაცია საშუალებას იძლევა ტრადიციული სამეცნიერო პუბლიკაციის სტატიკური ფორმები (ტექსტური ფორმატი) გარდავქმნათ დინამიკურ მულტიმედიალურ და მულტიმიდიალურ რესურსად და გავაძლიდოთ იგი, მაგალითად, ინტეგრირებული ხმით, მოდიფიცირებული ტექსტებით, ტრანსკრიპტებით, ვიზუალური გამოსახულებებით, ლინკებით და ა.შ. ამგვარად წარმოდგენილი რესურსები, ბუნებრივია, სამეცნიერო კომუნიკაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მასობრივი შენახვის დიგიტალურმა ტექნოლოგიებმა მრავალჯერადი გამოყენების გახადა სამეცნიერო რესურსები და საფუძველი დაუდო „დიგიტალურ აღწარმოებას“; მაგალითად, გააადვილა ტექსტების ინდექსირება და

გლოსირება, რესურსების კონვერტირება და ახალ დიგიტალურ ფორმატში მათი გადაყვანა, უზრუნველყოფა ფართომასშტაბიანი მიზნობრივი რეპროდუქცია და სტატისტიკური დამჯუშავება, და რასაკვირველია, შეუდარებლად გაზარდა სამეცნიერო თემებისა და პრობლემების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. ამ თვალსაზრისით, ახალი, ციფრული წარმოების ფორმები და რესურსების გავრცელების შეუზღუდავი საშუალებები გლობალურ ქსელში გავრცელების ფართო პოტენციალით ხასიათდებიან.

გლობალურ საკომუნიკაციო სისტემაში დიგიტალური რესურსების შეუფერხებელი მიმოქცევა, ბუნებრივია, სტანდარტიზაციის, განსაკუთრებით კი მეტამონაცემების სტანდარტიზაციის პრობლემის ეფექტურად გადაჭრას უკავშირდება. მონაცემთა კლასიფიკაციის, რესურსების ორგანიზაციისა და სტანდარტიზებული ინდექსაციის სქემის გარეშე, საძიებო მქანიზმის ეფექტურობა, და შესაბამისად, რესურსების მოპოვების სიზუსტის ხარისხი საგრძნობლად დაბლდება. გლობალური საკომუნიკაციო სისტემის ფუქციონირების ასევე მნიშვნელოვან წინაპირობას, მზარდი ინტერნეტრესურსების საცავების შექმნის პირობებში, წარმოადგენს თავსებადი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა.

გლობალური საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილმა პრობლემებმა და გამოწვევებმა, როგორიცაა მაგ.: ა) ძიების შედეგების უზუსტობა და ძიების პროცესის არაეფიციენტურობა (განმეორებითი ძიების სიხშორე), ბ) ინდექსაციის ტერმინების სტანდარტიზაციის აუცი-

ლებლობა, გ) დიგიტალური მონაცემების სხვადასხვა ფორმატში შენახვის პრაქტიკა, დ) მონაცემთა განსხვავებული კოდირების სქემების გამოყენება, ე) ლინგვისტური და კულტუროლოგიური მონაცემების მოპოვების, არქივირებისა და შენახვის სტანდარტიზაციის აუცილებლობა, და იმის გაცნობიერებამ, რომ მზარდი გებტექნოლოგიების პირობებში გლობალურ საკომუნიკაციო სისტემას გაცილებით მეტი პოტენციალი გააჩნია, განაპირობა სამი უმნიშვნელოვანესი ინიციატივის შექმნა. პერძოდ:

- დუბლინის ბირთვის მეტამონაცემების ინიციატივა Dublin Core Metadata Initiative (**DCMI**), რომელიც 1995 შეიქმნა დუბლინში (Dublin, Ohio)<sup>3</sup>;
- ლია არქივების ინიციატივა Open Archives Initiative (**OAI**), რომელიც 1999 შეიქმნა სანტა ფიში (Santa Fe)<sup>4</sup>;
- ენობრივი რესურსების ლია არქივების საზოგადოება Open Language Archives Community (**OLAC**), რომელიც 2000 წელს შეიქმნა ფილადელფიაში (Philadelphia)<sup>5</sup>.

ქვემოთ დაწვრილებით მიმოვიხილავთ აღნიშნულ ინიციატივებსა და მათ მნიშვნელობას გლობალური საკომუნიკაციო სისტემის განვითარებაში. მანამდე კი მოკლედ აღვწერთ მეტამონაცემის ფენომენს და მის მნიშვნელობას ლია არქივების ეფექტურად გამოყენების პროცესში.

---

<sup>3</sup> Dublin Core Metadata Initiative: <http://dublincore.org> (October 30, 2004)

<sup>4</sup> Open Archives Initiative: <http://www.openarchives.org> (October 30, 2004).

<sup>5</sup> Open Language Archives Community: <http://www.language-archives.org> (October 30, 2004).

### **3. რა არის მეტამონაცემი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?**

მეტამონაცემი ანუ „მონაცემი მონაცემის შესახებ“ სრულიადაც არ არის ახალი ფენომენი მეცნიერებაში. იგი თანამედროვე გლობალური საკომუნიკაციო სისტემის მოთხოვნით არ შექმნილა, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს - საინფორმაციო სტრუქტურები, განსაკუთრებით ბიბლიოთეკები და არქივები მას სისტემატურად იყენებდნენ და იყენებენ მონაცემთა სისტემატიზაციის, ორგანიზებული შენახვისა და მოძიების განხორციელების მიზნით. თანამედროვე მეტამონაცემის წინაპარი გახლავთ საბიბლიოთეკო/საარქივო საკატალოგო სისტემის ტრადიციული და უცვლელი კომპონენტი - **საკატალოგო ბარათი.** მეტამონაცემების ერთ-ერთ უძველეს ფიზიკურ სახეს სწორედ **საბარათო სისტემა** წარმოადგენს - რესურსებისათვის დამახასიათებელი რელევანტური მონაცემები, ანუ მეტამონაცემები, ბიბლიოთეკის/არქივის თანამშრომლებს გადაჯჭრდათ საგანგებო ფორმატის ბარათზე, რომლის მეშვეობითად ხორციელდებოდა რესურსის **კატალოგიზაციება.** შესაბამისად, მეტამონაცემის ფენომენი აკადემიური საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი კონცეპტი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ცნებას „მეტამონაცემი“ აკადემიური საზოგადოება XIX-XX საუკუნეებში არ იცნობდა, ამ ცნებით გადმოცემულ ფენომენს სამეცნიერო, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ეფექტურად იყენებდა ინფორმაციის შეგროვების, კატალოგიზირებისა და მოძიების მიზნით.

ტრადიციულად, ბარათის შინაარსი რომელიმე წიგნის შესახებ ამგვარად არის სტრუქტურირებული და გადმოცემული: Bloomfield, Leonard. 1933. *Language*. New York: Holt, Rinehart & Winston. ანუ, შესაბამისი ბარათი შეიცავს მონაცემებს წიგნის, როგორც მონაცემის, შესახებ; კერძოდ, ბარათზე გადატანილია ინფორმაცია წიგნის ავტორის, წიგნის სათაურის, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და გამოცემის წლის შესახებ. ზოგჯერ, ამგვარი მეტამონაცემები განვრცობილ ინფორმაციებს შეიცავენ, როგორიცაა ნაშრომის ოქმა, ჟანრი, რეზიუმე და სხვა სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ციფრული საცავების რესურსებზე მორგებული სტანდარტიზებული საძიებლების შექმნის აუცილებლობამ საფუძველი დაუდო მეტამონაცემების სტანდარტიზაციის პირველი ინიციატივის **Dublin Core Metadata Initiative (DCMI)** შექმნას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა **მეტამონაცემების ინტერდისციპლინური კომპლექტი**, რომელიც 15-მდე სხვადასხვა მეტამონაცემს - ქვეკომპონენტს შეიცავდა. გარდა ტრადიციული ინფორმაციისა (ავტორი, სათაური, გამომცემლობა, გამოცემის წელი) მეტამონაცემების კომპლექტი შეიცავდა ინფორმაციას გამომცემლის, კონტრიბუტორის, ტიპის, ფორმატის, წყაროს, ენის, საკონტაქტო პირისა და საავტორო უფლებების შესახებ. **დუბლინის მეტამონაცემების კომპლექტი** გამოირჩევა სიმარტივით, მოქნილობით და თავსებადობით. მეტამონაცემების მარტივი ფორმატი საშუალებას იძლევა ადგილად მოვახდინოთ მისი იმპლემენტაცია სხვადასხვა საცავებში, რასაც საძიებო სისტემების

თავსებადობა განაპირობებს და უზრუნველყოფს ძიების ეფექტურობას. თუმცა, როგორც იუნგ-რან პარკი ადნიშნავს, დუბლინის მეტამონაცემების კომპლექტს გარკვეული პრობლემები გააჩნდა მეტამონაცემების ორგანიზებული სორტირების თვალსაზრისით მანქანურად წაკითხვადი კატალოგიზირების დროს.

ვინაიდან მეტამონაცემების დუბლინის კომპლექტი ზოგადობით გამოირჩეოდა და არ იყო მორგებული სპეციფიკურ თემებზე, სამეცნიერო დარგებზე ან განსხვავებული ინტერესების მქონე საზოგადოებებზე, გარდაუვალი გახდა მისი განვითარება და დახვეწა ძიების ადეპვატურობისა და სიზუსტის გასაზრდელად. ძიების დახვეწა განხორციელდა საგანგებო კვალიფიკატორების შემოტანით, რომელიც რესურსის (საგნის, თემის და ა.შ.) უფრო ვიწრო და სპეციფიკური მახასიათებლებით დახასიათების საშუალებას იძლეოდა. კვალიფიკატორის შემოტანამ ძიების პროცესი გაცილებით უფრო ეფექტური გახდა, ვინაიდან რესურსების ინტერპრეტაციის პროცესში გათვალისწინებული იყო თემისათვის დამახასიათებელი სიტყვების, ნოტაციების და ავტომატური ანალიზის კომპონენტების გამოყენებით რესურსების შინაარსობრივად ზუსტი კვალიფიცირება.

მეტამონაცემის ეფექტური გამოყენება გლობალურ საკომუნიკაციო სისტემაში - მონაცემთა მოძიების სიზუსტე და სისწრაფე სხვადასხვა ტიპის საცავებში - დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ადეპვატურად და ამავე დროს ინტერდისციპლინურად არის იგი სტრუქტურირებული. ამიტომ ღია რესურსების შექმნის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს ფაქტორები.

#### **4. ლია არქივების ინიციატივა და ენობრივი არქივების ლია საზოგადოება**

წინამდებარე მონაკვეთში განვიხილავთ ლია არქივების იმ ინსტიტუციებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ლია არქივების კონცეპტუალიზაციასა და მის დახვეწაში. ესენი არიან: დუბლინის ბირთვის მეტამონაცემების ინიციატივა (**DCMI**), ლია არქივების ინიციატივა (**OAI**), ენობრივი რესურსების ლია არქივების საზოგადოება (**OLAC**).

ლია არქივების ინიციატივის საწყის ეტაპზევე დღის წესრიგში დადგა არსებითი საკითხი: იმისათვის, რომ შექმნილიყო ენობრივი რესურსების ლია არქივი, საჭირო იყო იმის განმარტება, თუ რა უნდა ჩაითვალოს ენობრივ რესურსად, ანუ რა უნდა გახდეს არქივის შემადგენელი ელემენტი. შეთანხმების შედეგად განისაზღვრა არქივის შემადგენელი უმცირესი ელემენტის, ანუ ენობრივი რესურსის რაობა:

- ენობრივ რესურსად ითვლება ყველა სახის მონაცემი, ტექნოლოგიური ინსტრუმენტი ან რეკომენდაცია-რჩევა, რომელიც მიემართება ბუნებრივი ენის დოკუმენტირების, აღწერის და ენობრივი რესურსების მოხმარებისა და განვითარების საკითხებს;
- ენობრივი რესურსები შეიძლება იყოს დიგიტალური ან არადიგიტალური, გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებული. ასეთებია: ტექსტები, ჩანიშვნები, ლექსიკონები, ენის სწავლების ელემენტები, შენიშვნები, საექსპედი-

ციო ჩანაწერები, პროგრამული უზრუნველყოფა, პრო-  
ტოკოლები, მონაცემთა მოდელები, ფაილების ფორმა-  
ტები, არქივები და ა.შ.

მეორე არსებითი კითხვა, რომელიც დადგა ენობრივი  
რესურსების განსაზღვრების შემდეგ, იყო ის, თუ როგორ მო-  
გიპოვთ ენობრივი რესურსები.

ენობრივი რესურსების აღმოჩენის ყველაზე გავრცელე-  
ბულ მეთოდად მიჩნეულ იქნა ენობრივი რესურსების ძებნა  
ისეთ ელექტრონულ საცავებში, როგორებიცაა:

1. საფოსტო გზაგნილები
2. ვებინდექსები
3. არქივები
4. გამომცემლობის კატალოგები და ა.შ.

მართალია, ეს მეთოდი უზუსტობით გამოირჩეოდა და  
რელევანტური რესურსების გარდა ბევრ არარელევანტურ რე-  
სურსებზე გაჟყავდა მომხმარებელი, მაგრამ იგი საშუალებას  
იძლეოდა სწრაფად მოგვეპოვებინა დიდი მონაცემები ამა თუ  
იმ ენისათვის გლობალურ ქსელებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ,  
რომ **OLAC**-ის მიზანს დღესაც წარმოადგენს დახვეწილი ინ-  
ფრასტრუქტურის შექმნა ენობრივი რესურსების აღმოჩენის გა-  
საუმჯობესებლად.

მესამე არსებითი საკითხი უკავშირდება მეტამონაცემე-  
ბის საკითხს: **რა არის მეტამონაცემი და შესაძლებელია თუ**  
**არა მეტამონაცემების უნივერსალური რეესტრის შექმნა.**

თავდაპირველად მეტამონაცემების კომპლექსი დაბლი-  
ნის ბირთვის მეტამონაცემების ინიციატივის Dublin Core

Metadata Initiative (DCMI) ფარგლებში დამუშავდა და ასეა გან-  
მარტივი:

- მეტამონაცემი განიმარტება, როგორც **სტრუქტურირებული მონაცემი მონაცემის შესახებ**;
- მეტამონაცემი არის დიგიტალური ან ფიზიკური ობიექტის ან რესურსის **აღწერითი ინფორმაცია**;

დამატებით ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: მიუხედავად იმისა, რომ მეტამონაცემი ახალი ცნებაა, თავად ამ ფენომენით ნაგულისხმევი კონცეპტი ძალიან ძველია და იმ დროიდან არსებობს, როდესაც პირველად დაიწყეს მოპოვებული ინფორმაციის სტრუქტურირებული და ორგანიზებული აღწერა. მეტამონაცემის წინამორბედია კატალოგის სისტემა და ბარათი. თანამედროვე არქივების მიზანია მეტამონაცემების ავტომატურად გენერირება.

თვალსაზინოებისათვის განვიხილოთ ერთი მაგალითი:  
Bloomfield, Leonard. 1933. *Language*. New York: Holt, Rinehart & Winston.

მეტამონაცემები ამ წიგნის შესახებ ამგვარად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

<b>Document type:</b>	Book
<b>Last name of author:</b>	Bloomfield
<b>First name of author:</b>	Leonard
<b>Year of publication:</b>	1933
<b>Title:</b>	Language
<b>City:</b>	New York
<b>Publisher:</b>	Holt, Rinehart & Winston

როგორც ვხედავთ, სტანდარტული ციტირება და ტაბულარული მეტამონაცემები ამ წიგნის შესახებ ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ:

- ტაბულარული მეტამონაცემები სტრუქტურირებულია და ექსპლიციტურად მარკირებული;
- მეტამონაცემები პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის მიმართაც გამოიყენება, სტანდარტული ციტირება კი - არა.

პროგრამის შემთხვევაში მეტამონაცემების კომპლექტი ამ-გვარად გამოიყერება:

<b>Name:</b>	The Linguist's Shoebox
<b>Platform(s):</b>	Windows (3.1, 95/98, NT), Macintosh (OS 6, OS 7, 68K, PPC)
<b>Categories:</b>	data management, parser, text analysis
<b>Domains:</b>	morphology, syntax, discourse, lexicon/dictionary
<b>Keywords:</b>	field notes
<b>Version:</b>	5
<b>Date:</b>	September 2000

<b>Description:</b>	Shoebox is a computer program that helps field linguists and anthropologists integrate various kinds of text data: lexical, cultural, grammatical, etc. It has flexible options for sorting, selecting, and displaying data. It is especially useful for helping researchers build a dictionary as they use it to analyze and interlinearize text.
<b>More: information:</b>	<a href="#">Shoebox Home</a>
<b>Contact:</b>	<a href="mailto:shoebox_support@sil.org">shoebox_support@sil.org</a>
<b>Licensing:</b>	Shoebox is licensed for \$45.00

აქვე აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ მეტამონაცემი არის მონაცემი მონაცემის შესახებ და თავად არ წარმოადგენს მონაცემს. მეტამონაცემების გამოქვეყნება არანაირ რისკს არ შეიცავს - იგი არანაირ სუბსტანციურ ცოდნას არ მოიცავს, ისევე როგორც წიგნის შესახებ ანოტაცია არ წარმოადგენს თავად წიგნს, ისევე როგორც მეტამონაცემები ონლაინ-რესურსების შესახებ არ წარმოადგენს თავად ონლაინრესურსებს.

დუბლინის მეტამონაცემების კომპლექსმა შემდგომი განვითარება პოვა დია არქივების ინიციატივის ფარგლებში, რომელიც ლოს ალამოსის ეროვნული ლაბორატორიის კვლე-

ვით ბიბლიოთეკაში სამეცნიერო პროექტის „ბიბლიოთეკა კედლების გარეშე“ (Libraries Without Walls) ფარგლებში განხორციელდა და ომლის შედეგებიც 1999 წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო ჯგუფმა. საკითხი განიხილებოდა სანტა ფიში გამართულ ფორუმზე, სადაც დაისვა საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი ალექტრონული პუბლიკაციების მოძებნა მეტამონაცემების მოქნილი სისტემის მეშვეობით ისე, რომ განხორციელდეს სხვადასხვა საცავებში რესურსების ერთდროული ძიება. ლია არქივების ინიციატივის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურა ემყარებოდა დუბლინის მეტამონაცემების კომპლექტს და ლია არქივების ინიციატივის პროტოკოლს, და მიზნად ისახავდა მეტამონაცემების ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც თავსებადი იქნებოდა ალექტრონული პუბლიკაციების საცავებში ეფექტური ძიების განხორციელების შემთხვევაში. ლია არქივების ინიციატივის ეს მიზანი მოტივირებული იყო სამეცნიერო ლიტერატურის სწრაფად და ფართოდ გაგრცელების აუცილებლობით. ამ პროცესს ჰერბერტ ვან დე ჟომპელი (Herbert Van de Sompel) ასე აფასებდა:

*„Santa Fe recommendations to interoperability at the level of metadata harvesting: 1. The definition of a set of simple metadata elements—the Open Archive Metadata Set (OAMS)—for the sole purpose of enabling coarse granularity document discovery among archives; 2. The agreement to use a common syntax, XML, for representing and transporting both OAMS and archive-specific metadata sets; 3. The definition of a common protocol—the Open Archives Dienst Subset—to enable extraction of OAMS and archive-specific metadata from participating archives.“*

ქვემოთ მოცემულია ძიების პროცესში მეტამონაცემების ინფრასტრუქტურის თავსებადობასთან დაკავშირებით სანჩა ფიში შემუშავებული რეკომენდაციები:<sup>6</sup>

1. მეტამონაცემების კომპლექტის the Open Archive Metadata Set (OAMS) შემადგენელი მარტივი ელე- მენტების განსაზღვრა;
2. საერთო სინტაქსის და XML ფორმატის გამოყე- ნების შესახებ შეთანხმება და ორივე - OAMS-ის და არქივებისათვის სპეციფიკური მეტამონაცე- მების კომპლექტის ტრანსფორმირება;
3. საერთო პროტოკოლის განსაზღვრა - ლია საარ- ქივო მომსახურების ქვეპრონენტების განსა- ზღვრა - OAMS-ის და სპეციფიკური საარქივო მეტამონაცემების ამოღება საძიებო არქივებიდან.

OAII-ის მეტამონაცემების კომპლექტი შემუშავებული იყო ელექტრონული პუბლიკაციების (E-Print) საერთაშორისო მოხმარების ქსელის გაფართოებისა და მეცნიერების განქსელ- ვის მიზნით. შესაბამისად, შემუშავდა საძიებო სისტემის ფუნ- ქციური თავსებადობის პარამეტრები, თუმცა ძალიან მაღა- გამოიკვეთა პროტოკოლის გაფართოების აუცილებლობა, კერ- ძოდ, მწვავედ დაისვა მეტამონაცემების კომპლექტის ეფიციენ- ტობის საკითხი - მეტამონაცემების ინფრასტრუქტურის გამო-

---

<sup>6</sup> ი. მეტამონაცემების ინფრასტრუქტურის თავსებადობასთან დაკავშირებით სანჩა ფიში შემუშავებული რეკომენდაციების ინფრასტრუქტურის გამო-

ყენების შესაძლებლობა არა მხოლოდ ელექტრონული სამეცნიერო პუბლიკაციების მოძიების, არამედ ზოგადად ციფრული რესურსების მოძიებისა და კლასიფიცირების პროცესში.

OAI-ის მეტამონაცემების პროტოკოლის შექმნას წარმოუდგენელი ეფექტი მოჰყვა გლობალური საკომუნიკაციო სისტემის განვითარების ისტორიაში. ლია არქივების მონაწილე პარტიციანტების რაოდენობა 192 პროგაიდერს მოიცავდა, თუმცა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძიების განხორციელებისათვის რეგისტრაცია აუცილებელი არ იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომხმარებელი პროგაიდერების რაოდენობა (ანუ OAI-ის პროტოკოლის მომხმარებელთა რაოდენობა) სინამდვილეში ბევრად აღემატებოდა ამ რიცხვს.

OAI-ის მეტამონაცემების კომპლექტმა სულ მაღლე განიცადა შემდგომი განვითარება. OAI-ის პროტოკოლის ინფრასტრუქტურულ ბაზაზე შეიქმნა OLAC-ის საძიებო სისტემის ინფრასტრუქტურა, რომელიც გაცილებით დახვეწილი და განშლილი იყო რესურსების სპეციფიკიდან გამომდინარე - ენბრივი არქივების დია საზოგადოების რესურსები ენბრივი რესურსების გარდა კულტურლოგიურ რესურსებსაც მოიცავდა და შესაბამისად, მოითხოვდა ოპერატორული საძიებო სისტემების გაცილებით რთულს პროტოკოლს, განვიცობილს მეტამონაცემების გაცილებით მეტი პარამეტრებით.

პროტოკოლი შემუშავდა ფილადელფიის უნივერსიტეტში ჩატარებული სემინარის ფარგლებში 2000 წელს. სემინარი საერთაშორისო ფორუმს წარმოადგენდა, ვინაიდან მის მუშაობაში მონაწილეობდა 100-მდე მეცნიერი - ენის პროგრამირების სპეციალისტები, ლინგვისტები და არქივის თანამშრომლები

ჩრდილოეთ ამერიკიდან, ევროპიდან, აფრიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, აზიიდან და ავსტრალიიდან. აქვე გადაწყდა ახალი საზოგადოების - ენობრივი არქივების დია საზოგადოების შექმნა.

სემინარის მიერ ასე განისაზღვრა საზოგადოების მიზანი:

„ენობრივი არქივების დია საზოგადოება (OLAC) არის ინსტიტუტებისა და კერძო პირების საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად შექმნილი საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ერობრივ რესურსები მომუშავე ჯგუფები. საზოგადოების მიზანია ენობრივი რესურსების მხოლოდ გირტუალური ბიბლიოთების შექმნა, და მოითხოვს სამი სახის ამოცანის გადაჭრას: (i) ენობრივი რესურსების დიგიტალური არქივისთვის საუკთხეო პრაქტიკის კონსენსუსის განვითარებას, (ii) საარქივო მასალებზე ადგილად ხელმისაწვდომი სამომხმარებლო პაკეტის განვითარებას და (iii) სამომხმარებლო პაკეტის სტანდარტიზაციას საბაზო ქსელში საცავების ეფუძნებული ჩართვისა და ეფიციენტური გამოყენების მიზანით.“

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დუბლინის მეტამონაცემების კომპლექტი არ იყო მორგებული სპეციფიკურ თემატიკურ რესურსებზე, რაც არ იძლეოდა ენობრივი რესურსების სრულფასოვანი კლასიფიცირების საშუალებას. მართალია, OLAC-ის მეტამონაცემების **set24 პაკეტი** დუბლინის მეტამონაცემების კომპლექტის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ იგი გაცილებით სრულყოფილი და მოსახერხებელი აღმოჩნდა მომხმარებლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა მაგ. OLAC, მუდმივად აქვეყნებენ რეკომენდაციებს მეტამონაცემების სტრუქტურის შესახებ, მეტამონაცემების შემქმნელს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, რომელი მონაცემები შეიტანოს მეტამონაცემთა კომპლექტში.

ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის შემთხვევაში მეტამონაცემების სამი ბლოკი შეიძლება გამოვიყენოთ. მაგ.:

- კიდეო/აუდიო ჩანაწერის დრო, ადგილი;
  - პროექტის დასახელება, პროექტის დაფინანსება;
  - კიდეოჩანაწერის ავტორი (და პარტიციპანტი).
- მეტაინფორმაციების კომპლექტი დამატებით შეგვიძლია განვავრცოთ ინფორმაციით მთქმელ(ებ)ის შესახებ.
- მეტამონაცემები მთქმელის შესახებ:
    - ასაკი, სქესი;
    - განათლება;
    - ოჯახური მდგომარეობა;
    - პროფესია;
    - მშობლიური ენა;
    - ენობრივი ტიპი:
      - მონოლინგვალი;
      - ბილინგვალი;
    - რელიგია;
    - მიგრაციული ფონი:
      - მიგრირების ადგილი (საიდან გადმოვიდა);

- მიგრირების მიზეზი (პოლიტიკური, რელიგიური შეხედულების ან სექსუალური ორიენტაციის გამო დევნა).

ინტერდისციპლინური კვლევებისათვის რესურსების ავაპტური გამოყენების მიზნით სასურველია მეტამონაცემების კომპლექტს დაგურთოთ ინფორმაცია თემატური შინაარსის შესახებ.

**– მეტამონაცემები თემატური კონტენტის შესახებ:**

- საყოფაცხოვრებო;
- რეწვა;
- სოფლის მეურნეობა;
- კულინარია;
- რელიგია;
- მორალი;
- ისტორია და ა.შ.

ასევე შეგვიძლია ენობრივ რესურსს დაგურთოთ მეტამონაცემები თავად ენობრივი რესურსის შესახებ:

**– მეტამონაცემები ენობრივი რესურსის შესახებ:**

- რესურსის ენა;
- რესურსის თემა;
- რესურსის სახე:

- ვერბალური: მონოლოგი, დიალოგი, ჯგუფური კონვერსაცია;
- ვიზუალური: ლანდშაფტი, მოსავლის აღება, ცეკვა;
- ვიზუალურ-ვერბალური: რიტუალური სცენები, სიმღერა.

გარდა აქ ჩამოთვლილი მეტამონაცემებისა, არსებითია მეტამონაცემების კომპლექტი ინფორმაციის ჩართვა მეტამონაცემის შესახებ - აქ იგულისხმება მეტამონაცემების ორიგინალური ბლოკი, რომელიც საბიბლიოოთეკო პატალოგებისათვის სრულიად უცხოა - ინფორმაცია იმისა შესახებ, თუ ვინ შექმნა მეტამონაცემი, ანუ **მეტამონაცემი მეტამონაცემის შემქმნელის** შესახებ.

საგანგებოდ უნდა მივუთითოთ, საავტორო უფლებების შესახებაც: როგორც რესურსების, ისე მეტამონაცემების შემთხვევაში, აუცილებელია შემქმნელის/ინსტიტუციის მითითება, რათა უზრუნველვყოთ საავტორო უფლებების დაცვა.

**რატომ უნდა შექმნათ და გავაგრცელოთ მეტამონაცემები?**

მეტამონაცემების შექმნისა და გავრცელების მთელი რიგი მიზეზები არსებობს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მეტამონაცემები აადვილებს არქივების მართვას და შესაბამისად, მოქნილს ხდის კვლევის პროცესს.

ქვემოთ ჩამოვთვლით რამდენიმე არგუმენტს:

- კარგად სტრუქტურირებული მეტამონაცემები საშუალებას აძლევს მკალევარს უფრო ადვილად და სწრაფად შეძლოს არქივში რესურსების მართვა და შენარჩუნება;
- დიდი არქივები, როგორც წესი, იმეორებენ მეტამონაცემების სტანდარტულად დადგენილ ნორმებს,

მაგრამ დამატებით თითქმის ყოველთვის აქვთ მეტა-  
მონაცემების შიდა სტანდარტები;

- ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერ არქივში რესურ-  
სების ძებნის სისტემის შენარჩუნება გრძელვადია-  
ნი პერსპექტივით - არქივში რესურსების მოძიება  
შესაძლებელი უნდა იყოს მაშინაც, როდესაც ძველ  
არქივარიუსს ახალი ცვლის;
- რაც უფრო ვრცელია მეტამონაცემების კომპლექტი,  
მით უფრო ზუსტი და ეფიციენტურია ძიების სისტე-  
მა და მით უფრო მაღალია თქვენი რესურსების მო-  
ძიების ხარისხი;
- გაითვალისწინეთ, რომ მაშინაც კი, თუ თქვენი  
კვლევისთვის არარელევანტურია რომელიმე მეტა-  
მონაცემი, მეტამონაცემების კომპლექტში მაინც უნ-  
და შეიტანოთ იგი, რათა ინტერდისციპლინურობის  
ხარისხი აუმაღლოთ თქვენს რესურსს; თვალსაჩი-  
ნოებისათვის: წარმოიდგინეთ, რომ გუგლში შე-  
გაქვთ მეცნიერის სახელი და იგი გაწვდით ინფორ-  
მაციას ამ მეცნიერის ინტერესების შესახებ.

მეტამონაცემების სტანდარტიზაცია აადვილებს მეტამო-  
ნაცემების „გადაწერას“ სხვადასხვა არქივში. ერთ-ერთ მნიშ-  
ვნელოვან ტექნიკურ ტერმინს ერთი ფორმატიდან სხვა ფორ-  
მატში მეტამონაცემების გადატანისა, წარმოადგენს „გადაფარ-  
ვა“ (*mapping* ან *crosswalking*). სხვადასხვა არქივის მეტამონაცე-  
მების „გაგებინებადობა“ აადვილებს არქივების ერთმანეთთან

კავშირს და ზრდის ძებნის არეალს. ბევრ არქივს თავისი საკუთარი, არასტანდარტიზებული მეტამონაცემები გააჩნია. მაგ., OLAC-ის მეტამონაცემებში გადაყვანისას, ძირითადად შენარჩუნდება ტიპიფირი მეტამონაცემები, როგორიცაა „შემქმნელი“, „თემა“, „ფორმატი“, „ენა“ და ა.შ. თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ, თუ როგორ გადაიყვანება OLAC-ის სტანდარტში.

მაგ.: იხ. ბანტუს შედარებითი ელექტრონული ლექსიკონის მეტამონაცემების ბაზი:

**Folder Name:** Gevove.vdVeen1994

**Language:** Gevove

**Guthrie:** B.30 (A.30?)

**Contributor:** Van Der Veen, Lolke

**Institution:** DDL

**Author:** Van Der Veen, Lolke

**Citation:** Van Der Veen 1994

**Count:** 1450

**Formats:** Word 5, Text

**Gloss Language:** French

**Condition:** 1

**Web Search:** Y

<b>MapMaker Status:</b>	None
<b>Recon Status:</b>	None
<b>Remarks:</b>	The Word version has a nice introduction which I made into an info file. –JG

**Record date:** 9/23/2001

**Set:** CBOLD:dictionaries

აქ მოყვანილი მეტამონაცემები შეგვიძლია დავახარისხოთ ორ ტიპად: **ძირითად** და **მეორად** მეტამონაცემებად. მაგალითად, მეტამონაცემი "Recon Status" (რაც იმას ნიშნავს, რომ რესურსში მოცემულია აგრეთვე ლექსიკური რეპონსტრუქციები) ძალიან სპეციფიური მეტამონაცემია და სავარაუდოდ მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის იქნება რელევანტური. ამიტომ OLAC-ის სტანდარტში გადატანის დროს არ გადაჰყება მეტამონაცემების კომპლექტს, თუმცა ტექნიკურად შესაძლებელია ამ პარამეტრის შეტანა OLAC-ის სტანდარტში. აღნიშნული მეტამონაცემების კომპლექტი OLAC-ში ამგვარად „ინტეგრირდება“:

**Title:** Gevove.vdVeen1994

**Subject language:** Gevove

**Contributor:** Van Der Veen, Lolke

**Date:** 2001-09-23

<b>Type:</b>	Dataset
<b>Formats:</b>	Word 5, Text
<b>Identifier:</b>	<a href="http://bantu.berkeley.edu/CBOLDFTP/CBOLD_Data/Gevove.vdVeen1994">http://bantu.berkeley.edu/CBOLDFTP/CBOLD_Data/Gevove.vdVeen1994</a>
<b>Language:</b>	French
	See:
<b>Rights:</b>	<a href="http://linguistics.berkeley.edu/CBOLD/Data/CBOLD.data.html">http://linguistics.berkeley.edu/CBOLD/Data/CBOLD.data.html</a>

OLAC-ის მეტამონაცემების კომპლექტის ელემენტები შედგება 15 DC მონაცემთა ელემენტებისგან, რომელიც განვრცობილია საგანგებო კვალიფიკატორებით. აღნიშნული კვალიფიკატორები ენობრივი რესურსების ძიების პროცესში არსებითი მნიშვნელობისაა და ორ ტიპად იყოფა: ატრიბუტები და კოდირების სქემა. OLAC-ის მეტამონაცემების კომპლექტი სამი სახის ატრიბუტს იყენებს: **დახვეწის ატრიბუტი, კოდის ატრიბუტი და ენის ატრიბუტი.** დახვეწის ატრიბუტი (refine-Attribut) უზრუნველყოფს ელემენტების დახვეწას; კოდის ატრიბუტი (code-Attribut) გამოიყენება კონკრეტული კოდირების სქემისგან მიღებული მეტამონაცემის დირექტულებების შესანარჩუნებლად; ენის ატრიბუტი (lang-Attribut) კი განსაზღვრავს იმ ენას, რომელ ენაზეც ტექსტის შინაარსი არის შექმნილი.

აქ მოკლედ შევჩერდებით კოდის ატრიბუტის, ანუ კონტროლირებადი ლექსიკის თემაზე. ენის რესურსების კლასიფიკაციისათვის მეტამონაცემის კომპლექტიდან ორი კომპონენტი

არის მნიშვნელოვანი: ენის იდენტიფიკატორი (რესურსის შინაარსის გადმოცემის ენა) და ლინგვისტური ტიპი (რესურსის სახე ან ჟანრი).

ლინგვისტური ტიპი ოთხი პარამეტრის მეშვეობით განისაზღვრება: **ტრანსკრიფია, ანოტაცია, დახასიათება** და **ლექსიკონი**. თითოეული ეს პარამეტრი რამდენიმე ქვეტიპს შეიცავს, როგორიცაა სიტყვების სია (ლექსიკონის ქვეტიპი), თეზაურუსი და ა.შ.<sup>7</sup>

ენის იდენტიფიკაციისათვის, OLAC-მა გადმოიღო SIL-ის ეთნოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ენის საიდენტიფიკაციო სტანდარტს (ISO 639) ეყრდნობა და შედარებით სრულყოფილია.

ქვემოთ მოვიყვანთ მეტამონაცემების კომპლექტის მაგალითს რამდენიმე კავკასიური ენისათვის რომელიც OLAC-ის რესურსებში არის ჩართული. ესენია ქართული, სვანური, მეგრული, უდიური და ბაცბური ენები.

---

<sup>7</sup> Barbara F. Grimes (editor), *Ethnologue: Languages of the World*. Dallas: Summer Institute of Linguistics, 14<sup>th</sup> edition, 2000  
(<http://www.sil.org/ethnologue>)

იხ. ქართული ენის მონაცემები:

The screenshot shows the Ethnologue Languages of the World website for the Georgian language. The page title is "Georgian". It features a "PLACE IN LANGUAGE CLOUD" section with a scatter plot and a "ETHNOLOGUE PRODUCTS" section for a "Language Map of Georgia". The main content includes ISO 639-3 code (kat), alternate names (Common Kartvelian), autonomy (Kartili, ქართველი ენა), population (3,200,000), language maps (Azerbaijan, Georgia, Turkey), language status (1 National, Statutory national language (1995, Constitution, Article 8)), and classification (Kartvelian, Georgian). A "Page Views Left: 2" message is visible.

იხ. მეგრულის მონაცემები:

The screenshot shows the Ethnologue Languages of the World website for the Mingrelian language. The page title is "Mingrelian". It features a "PLACE IN LANGUAGE CLOUD" section with a scatter plot and a "ETHNOLOGUE PRODUCTS" section for a "Language Map of Georgia". The main content includes ISO 639-3 code (xmf), alternate names (Margali, Margaluri, Megrel, Megrelian, Megruli), population (344,000), location (Abkhazia, Ingur, Chala, Mta, Gulf coast, Lasheti, Guria regions; Achmali municipality; Inner region; Samtskhe and Tskhinvali municipalities; Racha-Lochlumi Kvemo Svaneti region; Tsqaget municipality; Samegrelo-Zemo Svaneti region; southern half; all in west lowlands), language maps (Georgia), language status (6a (Vigorous)), and classification (Kartvelian, Zan). A "Page Views Left: 1" message is visible.

## იბ. სვანურის მონაცემები:

The screenshot shows the Ethnologue Languages of the World website for the Svan language. At the top, there's a navigation bar with links for TITUS: INDEX, Google Translate, About SIL International, 2017 Annual Update, SIL Annual Update, SIL International, and Svan Ethnologue. Below the header, there's a search bar and a 'Find a language or country...' button. The main content area has a title 'Svan' and tabs for LANGUAGE, MAP, and FEEDBACK. Under 'A language of Georgia', it lists ISO 639-3 (svb), Alternate Names (Swanuri), Autonym (Lushnu), Population (14,000), Location (Racha-Lochiumi-Khevi Swaneti region; Lestebeli municipality; Samegrelo-Zemo Svaneti region; Mestia municipality), Language Maps (7 (shiftsg.)), Language Status (Kartvelian, Svan), and Classification. To the right, there's a 'PLACE IN LANGUAGE CLOUD' scatter plot and a section for 'ETHNOLOGUE PRODUCTS' featuring a Language Map of Georgia for \$24.95 with an 'Add to cart' button. A sidebar on the left shows 'Page Views Left: 0'.

## იბ. უდიურის მონაცემები:

The screenshot shows the Ethnologue Languages of the World website for the Udi language. The layout is similar to the Svan page, with a header, search bar, and product sidebar. The main content area has a title 'Udi' and tabs for LANGUAGE, MAP, and FEEDBACK. Under 'A language of Azerbaijan', it lists ISO 639-3 (udi), Alternate Names (Uduri, Udi), Population (3,000), Location (Ogur and Qabala districts; Mirzabeyli, Niz, and Oghuz), Language Maps (Azerbaijan), Language Status (5 (developing). De facto language of provincial identity in Qabala District.), Classification (North Caucasian, East Caucasian, Lezgi, Udi), and Dialects (Oghuz (Vartashen), Nidzh (Niz, Niñ), Oktomberi, Oldtumberi dialect more divergent from Niz Udi than from Oghuz Udi. One of the most divergent Lezgi dialects.). A note at the bottom says 'Transferring data from ws-naamazon-adsystem.com...'. To the right, there's a 'PLACE IN LANGUAGE CLOUD' scatter plot and a section for 'ETHNOLOGUE PRODUCTS' featuring a Language Map of Azerbaijan for \$24.95 with an 'Add to cart' button.

## იხ. ბაცბურის მონაცემები:

The screenshot shows the Ethnologue Languages of the World website for the language Bat. Key details from the page include:

- ISO 639-3:** bbl
- Alternate Names:** Bac, Batanc, Batoba, Batbil, Batbilisay, Batsi, Nova-Tush, Tush
- Population:** 3,200 (2015 J. Leclerc). Active users may be far fewer than 3,000 (Salminen 2007).
- Location:** Kakheti region: Talaveti district, Zemo-Akhvi (Upper Akhvi).
- Language Maps:** Georgia
- Language Status:** 7 (Shifting).
- Classification:** North Caucasian, East Caucasian, Nakh, Batxi
- Language Use:** Modern Batxi heavily influenced by Georgian (Bat). Traditional Batxi perhaps known by a few elders (Salminen 2007). Few domains. Used by few children. Neutral attitudes.

On the right side of the page, there is a "PLACE IN LANGUAGE CLOUD" scatter plot and a section for "ETHNOLOGUE PRODUCTS" featuring a Language Map of Georgia.

OLAC-ის არქივში მეორე ტიპის რესურსებს წარმოადგენენ ენის ტექნოლოგიები - ელექტრონული დაქსიკონები, ელექტრონული ტექსტების კოლექციები, მულტიმედიალური და მულტიმოდალური მონაცემების ბანკები და ენის ელექტრონული დამუშავების საგანგებო პროგრამები, როგორიცაა მაგ., პარსერი, ენის ავტომატური ამოცნობის სისტემები და სხვ. აღნიშნული ტიპის რესურსებიც ინტერდისციალინურ რესურსებს წარმოადგენენ და მათი მომხმარებლები სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან: ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენლები, ინფორმატიკოსები, საბიბლიოთეკო დარგის წარმომადგენლები და ა.შ. საგულისხმოა, რომ OLAC-ის არქივში მრავალენოვანი დია რესურსების გამოყენების საშუალებებიც არის ჩართული, რომელიც მომხმარებელს ეხმარება რამდენიმე ენის რესურსები მოიძიოს ერთდროულად. მულტიმედიალური

რესურსების მოსაძიებლად, არქივირების გარდა, ინტეგრირებულია აგრეთვე დამწერლობის არქონე ენების არქივირების ტექნოლოგიური ხელსაწყოები.

OLAC-ი დღეისათვის აერთიანებს შემდეგ არქივებს:

- TalkBank
- The LDC (Linguistic Data Consortium)Corpus Catalog
- The Natural Language Software Registry
- Oxford Text Archive
- ATILF Resources
- Boiste
- CHILDES Data repository
- TRACTOR Test Archive
- European Language Resources Association (ELRA)
- A Digital Archive of Research Papers in Computational Linguistics

OLAC-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს, გარდა ენობრივი არქივებისა, წარმოადგენს Linguist-List.


OLAC აერთიანებს აგრეთვე ენის დოკუმენტირების ამსახველ არქივებსაც, რომლებიც მსოფლიოს 7000-მდე ენის დოკუმენტირების რესურსებს შეიცავენ, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ESL (English as Second Language) - ინგლისურის, როგორ მეორე ენის რესურსებს.

ეს არქივებია:

- Rosetta Project 1000 Language Archive
- Ethnologue: Languages of the World

- Academia Sinica Balanced Corpus of Modern Chinese
- Academia Sinica Formosan Language Archive
- Academia Sinica Tagged Corpus of Early Mandarin Chinese
- Cornell Language Acquisition Laboratory (CLAL)
- SIL Languages and Culture Archives
- Typological Database Project
- Surrey Morphology Group Databases
- Bielefeld Language Archive

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ენათა შენარჩუნების, დოკუმენტირებისა და განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა არაკომერციულმა ორგანიზაციამ SIL International-მა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ენობრივი რესურსების პოტენციალის გამოყენება ენისა და კულტურის გადარჩენა-შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით. დასახული მიზნის მისაღწევად SIL იყენებს კვლევას, თარგმანს, სწავლებასა და მასალების შეგროვება-დამუშავებას.



SIL (Summer Institute of Linguistics) დაარსდა 1934 წელს და მცირე ფორმატის საზაფხულო ლინგვისტური პროგრამიდან (პირველ წელს სულ ორი სტუდენტი მონაწილეობდა ამ პროგრამაში) და სულ მალე გადაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც დღეისათვის 5500 მონაწილეს აერთიანებს მსოფლიოს 60 ქვეყანაში. SIL-ის კვლევები მოიცავს 2590 ენას, რომელზედაც 1,7 მლნ. ადამიანი ლაპარაკობს მსოფლიოს 100 ქვეყანაში. ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ენათა შენარჩუნებას და განვითარებას რელიგიური შეხედულებების, პოლიტიკური იდეოლოგიის, გენდერის, რასისა თუ ეთნოლინგვისტური ფონის მიუხედავად.

## 5. ენათა ციფრული არქივები

ენა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ჩვენი შემეცნებითი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მშობლიურ ენასთან. ენა ადამიანთა შორის კომუნიკაციის, ცოდნის სტრუქტურირების და ორგანიზების საშუალებაა. მეტიც, იგი ადამიანის ინტელექტუალური და კულტურული მემკვიდრეობისა და ცოდნის თაობიდან თაობაზე უწყვეტი გადაცემის ერთადერთი გზაა, რომელსაც კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ინახავდა და აფიქსირებდა ინფორმაციის სხვადასხვა მატარებელზე: ქვაზე, პაპირუსზე, პერგამენტზე, ქაღალდზე, მოგვიანებით კი აუდიო-ვიდეოსა და ციფრული მედიის საშუალებითაც.

თუ ენის მნიშვნელობას ამ კუთხით - ინტელექტუალური და კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის კონტექსტში განვიხილავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ენა ადამიანის მოღვაწეობის მეტასაშუალებაა. როგორც სუზან ჰოკეი (Susan Hockey) OLAC-ის დამფუძნებელთა შეხვედრაზე აღნიშნავდა, ენობრივი რესურსების ღია არქივების დაარსების ინიციატივა მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან ლინგვისტიკა მეტადისციპლინაა. ენა გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ის, რაც ენობრივი რესურსების ღია არქივების დაარსების ინიციატივის შედეგად შეიქმნება, გავლენას მოახდენს და მნიშვნელოვნად შეცვლის სამეცნიერო საზოგადოებას და არა მარტო მას.

ლინგვისტიკის, როგორც მეტადისციპლინის, შესახებ ამგვარ აზრსაც გამოთქვამენ:

„იმ სამეცნიერო დისციპლინების სია, რომლებიც ენას და ენის რეალიზების ასპექტებს შეისწავლის, საგრძნობლად გრძელია: ლინგვისტიკა, ფონეტიკა, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია, კონსტურუი მეცნიერება, ნეიროლოგია, პოლიტოლოგია, ისტორია, ლიტერატურა, დიდაქტიკა, განათლების მეცნიერება, თარგმანი, ინფორმატიკა, კომუნიკაციის მეცნიერება.<sup>8</sup>

ენათა არქივებიც, აქედან გამომდინარე, არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ლინგვისტური რესურსი. იგი

---

<sup>8</sup> Steven Bird & Gary Simons, *Seven Dimensions of Portability for Language Documentation and Description*, *Language* 79 (3) (September 2003): 557-582.

უდაოდ ინტერდისციპლინურ კვლევით რესურსს წარმოადგენს და ლიაა პუმანიტარულ დარგებში მომუშავე მეცნიერთათვის.

ენობრივი რესურსების თანამედროვე არქივები, როგორც წესი, დია რესურსს წარმოადგენენ და ეფექტურად გამოიყენებიან როგორც კვლევით, ისე სასწავლო პროცესში. ზემოთ ჩვენ უპარ აღვწერეთ რამდენიმე ციფრული არქივი, რომლებიც დია რესურსია და წარმოდგენას გვიქმის იმ შესაძლებლობებზე, რომელიც გააჩნია დია არქივებს სხვადასხვა მეცნიერებისათვის.

ქვემოთ ჩვენ შევცდებით წარმოგიდგინოთ ის დია ციფრული არქივები, რომლებიც გამორჩეულ ადგილს იკავებენ თანამედროვე კვლევით სივრცეში მასში განთავსებული რესურსების უნიკალურობისა და მოცულობის გამო. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგასახელოთ ის არქივები, რომლებიც ინდიგენური და საფრთხეში მყოფი ენებისა და კულტურების დოკუმენტირების მიზნით შეიქმნა.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ არქივებში შესული მასალა იმითაც გამოირჩევა, რომ ის ენობრივი მასალის შეგროვებისა და დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით არის მოპოვებული და დამუშავებული - აღნიშნულ არქივებში მონაცემთა დიგიტალიზაცია და მეტამონაცემებით აღჭურვა კვლევის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება. არქივები მოიცავენ ენობრივ რესურსებს არა მხოლოდ კვლევების განსახორციელებლად, არამედ პირდაპირ წყაროს წარმოადგენენ ინდიგენური მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და შემდგომი განვითარებისათვის. ეს არქივები

ძირითადად შედგება ეთნოგრაფიული მასალებისაგან, რომელიც ვიდეოფირებზე ჩაწერილი ინტერვიუების, რიტუალური სცენების, სიმღერებისა და ცეკვების ნაკრებს წარმოადგენს. ვერბალური რესურსები გატექსტებულია და დიდწილად გრამატიკულად დამუშავებულია. საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მიმოქცევის მიზნით რესურსებს ხშირად ახლავს თარგმანი ინგლისურ ან რომელიმე ეპროპულ ენაზე.

## **5.1. Survey for California and Other Indian Languages** **კალიფორნიის და სხვა ინდიელთა ენების კვლევის არქივი**

კალიფორნიის და სხვა ინდიელთა ენების კვლევითი არქივი (Survey for California and Other Indian Languages) წარმოადგენს კალიფორნიის უნივერსიტეტთან (ბერკლი) არსებული ლინგვისტიკის დეპარტამენტის კვლევით ცენტრს და მიზნად ისახავს კალიფორნიისა და ამერიკის ინდიელთა ენების დოკუმენტაციას, შესწავლასა და განვითარება-აღორძინებას. ცენტრი აგროვებს საველე და სხვა დოკუმენტურ მასალებს არქივისათვის, რომელიც კატალოგიზებულია კალიფორნიის ენათა არქივში ([California Language Archive <http://cla.berkeley.edu/>](http://cla.berkeley.edu/)), გაციფრებულია და ხელმისაწვდომია ამ ენებით დაინტერესებულ მეცნიერთათვის. ზოგიერთი მასალა ხელმისაწვდომია ინტენეტში.

გარდა აღნიშნული რესურსებისა, არქივში განთავსებულია აგრეთვე ბერკლის ლინგვისტური არქივის ([Berkeley Language Center](http://berkeleylanguagecenter.berkeley.edu)) მიერ განხორციელებილი სხვადასხვა საველე ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალები ([Berkeley Language Center <http://blc.berkeley.edu/>](http://blc.berkeley.edu)).

საგულისხმოა, რომ არქივი ასევე დახმარებას უწევს სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს კვლევით საქმიანობაში.


კალიფორნიის და სხვა ინდიელთა ენების კვლევითი არქივის პროგრამაში წერია:

*„We provide financial and logistical support for students and scholars to conduct field work on American languages, including work space, field equipment, and computing facilities. We publish an occasional series of monographs, Survey Reports. We also sponsor a variety of events, including regular gatherings of the Group in American Indian Languages, the biennial Breath of Life Workshop for California Indian Languages, and occasional workshops on language documentation and revitalization for California Indian communities. Please let us know how we can help you!“*

## 5.2. Aboriginal Studies Electronic Data Archive (ASEDA)

### აბორიგენების ენათა კვლევის ელექტრონულ მონაცემთა არქივი

აბორიგენების ენათა კვლევის ელექტრონულ მონაცემთა არქივი (**ASEDA**) მოიცავს გაციფრებულ რესურსებს ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობის ენათა კვლევების შესახებ. აღნიშნული რესურსები მოპოვებულია ავსტრალიის აბორიგენული ინსტიტუტის მიერ და ტორესის სრუტის კუნძულებზე ჩატარებული კვლევების შედეგად. არქივში რესურსების შეგროვება დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან და გრძელდებოდა 2009 წლამდე (AIATSIS).



ASEDA-ს რესურსების უმეტესი ნაწილი ეხება ავსტრალიის ძირძველი მოსახლეობის ენებს და მოიცავს ისეთ რესურსებს, როგორიცაა ლექსიკონები, გრამატიკა, სასწავლო მასალები და ა.შ. AIATSIS-ში განსათავსებლად და მასალების ხელმისაწვდომობისათვის რესურსები უნდა დაარქივდეს პრო-

გაიდერის პირობების შესაბამისად და ხშირად მოითხოვს პრო-  
გაიდერის საგანგებო ნებართვას. რესურსები აღნიშნულ არ-  
ქივში რეგისტრირებულია მასალების მიმწოდებლის სახელით.

### **5.3. Archives of the Indigenous Languages of Latin America (AILLA) ლათინური ამერიკის ინდიგენური ენების არქივი**

ლათინური ამერიკის ინდიგენური ენების არქივი (AILLA) არის ვიდეოების, ტექსტებისა და სხვა მულტიმედიური მასალების ციფრული არქივი, რომელიც მოიცავს ლათინური ამერიკის ძირძველი მოსახლეობის ენების რესურსებსა და აგ-  
რეთვე სხვადასხვა სახის ინფორმაციას თავად მოსახლეობის შესახებ. AILLA-ს მისიაა, არა მარტო შეინარჩუნოს ეს ინფორ-  
მაცია, არამედ ხელმისაწვდომი გახადოს იგი მკვიდრი მოსახ-  
ლეობისათვის, მკვლევარებისთვის და ამ ენების გულშემატკივ-  
რებისათვის და რაც ყველაზე მთავარია, მომავალი თაობე-  
ბისთვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ არქივის მნიშვნე-  
ლობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ მეცნიერული.



2017 წლის 9 ოქტომბერს, ამერიკის ინდიგენური მოსახლეობის დღეს, ლათინური ამერიკის ინდიგენური ენების არქივი განახლებული ფორმით შეხვდა: განახლდა საიტის დიზაინი და დაემატა მომხმარებლის ფუნქციონალური მენიუ; მაგალითად, არქივის დაემატა ონლაინრეჟიმში ძიება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არქივში შესაძლებელია განხორციელდეს საკვანძო სიტყვების ძიება ყველა კოლექციაში მაშინაც კი, თუ შესაბამისი ფაილები არა აქვთ მომხმარებელს ჩამოტვირთული. AILLA-ზე და მის რესურსებზე წვდომა ზოგადად უფასოა. კოლექციაში არსებული რესურსების უმეტესობა ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის, თუმცა ზოგიერთ რესურსს აქვთ წვდომის სპეციალური შეზღუდვები.

#### **5.4. Australian Institute of Aboriginal and Torres Strait Islander Studies, the Aboriginal Studies Electronic Data Archive (AIATSIS)**

ავსტრალიის აბორიგენებისა და ტორესის სრუტის კუნძულების კვლევითი ინსტიტუტი, აბორიგენების კვლევების მონაცემთა ელექტრონული არქივი

ავსტრალიის აბორიგენებისა და ტორესის სრუტის კუნძულების კვლევითმა ინსტიტუტის (AIATSIS) უმთავრესი მიზანია შეისწავლოს ავსტრალიის აბორიგენთა და ტორესის სრუტის კუნძულების ენები და ხელი შეუწყოს კომპლექსური კვლევების განვითარებას, როგორც ავსტრალიაში სწავლების განმასხვავებელ, უნიკალურ და არსებით კომპონენტს, რომელიც აერთიანებს ისეთ დარგებს, როგორებიცაა განათლება,


ლინგვისტიკა, ეთნომუსიკოლოგია, ანთროპოლოგია, არქეოლო-  
გია, ხელოვნება, ჯანმრთელობის საკითხები და ა.შ.

AIATSIS-მა, როგორც ინსტიტუტმა, თავისი არსებობა დაი-  
წყო 1961 წელს დროებითი საბჭოს სახით. 1964 წელს პარლა-  
მენტის მიერ მიღებული საგანგებო აქტის საფუძველზე დაარ-  
სდა ავსტრალიის აბორიგენების კვლევის ინსტიტუტი (AIAS),  
რომელშიც გაერთიანებული იყო ოცდაორი წევრი, ძირითადი  
შემადგენლობა, აკადემიური საბჭო და 100-კაციანი ფონდი,  
რომლის დამფუძნებელიც გახლდათ ფრედერიკ დევიდ მაკარტი  
(Frederick David McCarthy).

პირველი აბორიგენი წევრი AIAS-ის საბჭოს 1970 წელს  
შეუერთდა. AIAS-ის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში საფუძ-  
ველი ჩაეყარა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერთა თა-  
ნამშრომლობას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მომავალი  
კოლექციების შექმნა და ხელი შეუწყო კვლევების თემატიკის  
გაფართოებას, რასაც ადასტურებს საერთაშორისო პუბლიკა-  
ციების ფართო ჩამონათვალი.

1964 წელს პარლამენტის მიერ მიღებული საგანგებო აქტი  
1989 წელს შეიცვალა აგსტრალიის აბორიგენების კვლევითი  
ინსტიტუტისა და ტორესის სრუტის კუნძულებზე ჩატარებული  
კვლევების შესახებ დადგენილებით. აღნიშნული დადგენილე-  
ბის საფუძველზე შეიქმნა სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო,  
რომლის შემადგენლობა ცხრა წევრით განისაზღვრა. დღეისა-  
თვის AIATSIS-ის საბჭოს წევრები ძირითადად აბორიგენული  
ან ტორესის სრუტის კუნძულების მკვიდრნი არიან, რაც თანა-  
მედროვე აბორიგენთა და ტორესის სრუტის კუნძულების კულ-

ტურების მრავალფეროვნების მაჩვენებელია. საბჭოში წარმოდგენილი მეცნიერები, როგორც აბორიგენული და ტორესის სრუტის კუნძულების, ისე არაინდიგენური მოსახლეობის წარმომადგენლები, ერთობლივად აგრძელებენ მუშაობას მრავალფეროვანი კოლექციების შესაქმნელად და უზარმაზარი წვლილი მიუძღვით AIATSIS-ის რესურსების გაფართოვებაში.



AIATSIS-ი 2001 წელს აქტონის ნახევარკუნძულზე გადავიდა. პირველად ავსტრალიის თანამედროვე ისტორიაში აბორიგენებისა და ტორესის სრუტე კუნძულების შემსწავლელმა ორგანიზაციამ მიიღო საერთაშორისო აღიარება და შექმნა უნიკალური შესაძლებლობა, წარმოექინა აბორიგენული და ტორესის სრუტის კუნძულების კულტურები და AIATSIS-ის კოლექციების სიმდიდრე ისე, როგორც არასდროს.

## **5.5. Pacific and Regional Archive for Digital Sources in Endangered Cultures (PARADISEC)**

**წყნარი ოკეანისა და რეგიონალური დიგიტალური რესურსების არქივი გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი კულტურების გადასარჩენად**

წყნარი ოკეანისა და რეგიონალური დიგიტალური რესურსების არქივი წარმოადგენს გაქრობის პირას მყოფი კულტურების დოკუმენტირებისა და გადარჩენის მიზნით შექმნილ არქივს, რომელშიც თაგმოყრილია წყნარი ოკეანისა და რეგიონში არსებული პატარა კულტურებისა და ენების ციფრული რესურსები. არქივი შეიქმნა, ერთი მხრივ, აღნიშნულ რეგიონში საფრთხეში მყოფი ენებისა და კულტურების დოკუმენტირებისა და გადარჩენის მიზნით, მეორე მხრივ კი იმისთვის, რომ უზრუნველყოს დიგიტალური არქივის განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

არქივის ფარგლებში შეიქმნა საგანგებო ჩარჩო ტექსტების, აუდიო- და ვიზუალური მასალის შესანახად, კატალოგების შესაქმნელად და ციფრული ასლების შესანარჩუნებლად. არქივის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოპოვებული მასალების უსაფრთხოდ შენახვა და შენარჩუნება, რაც არქივირების სტანდარტების დამუშავებაში გამოიხატება. ამ გზით იქმნება არა მარტო კვლევითი რესურსები, არამედ შეინახება და შთამომავლობას გადაეცემა ჩანაწერები მათი წინაპრების შესახებ, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მათი შთამომავლებისათვის.

PARADISEC Home - Mozilla Firefox

TITUS: INDEX Google Translate Language-Related Open Archives PARADISEC Home

Please note that the PARADISEC website has been redesigned.  
The new website can be found at <http://www.paradisec.org.au/>

**PARADISEC**

HOME | DEPOSIT | REPOSITORIES | ABOUT US | SERVICES | LINKS | CONTACT US | ADMINISTRATION | INTERNAL |

SEARCH

PARADISEC QUICK LINKS

Do you want to deposit with PARADISEC? See the ABC TV News item on [Digital preservation](#) and universities preserving Asia and Pacific cultures.

PARADISEC 2013 conference Australian Association for Digital Humanities Conference, Perth, March 2014

PARADISEC: Our team received the 2013 ABC Radio National Memory of the World programme, 2013.

PARADISEC in the Press - letter to the editor about the importance of indigenous recording on Radio Australia.

PARADISEC awarded the European Data Seal of Approval, 2012.

PARADISEC NEWS - Winners of 2009 PARADISEC grants announced.

Recent PARADISEC publications Ethnographic Research (EthnER) Endangered Languages & Cultures

The Pacific and Regional Archive for Digital Sources in Endangered Cultures offers a facility for digital conservation and access to endangered materials from all over the world. The research group has developed models to ensure that the archive can provide access to interested communities and conforms to emerging international standards for digital preservation. The archive is also making field recordings available to those recorded and their descendants. While initially conceived of as an archiving project focusing on the Asia-Pacific region, PARADISEC has developed into a centre for activities including:

- Training in data management (ethnographic software and transcription and interlinearising of texts), recording and digitisation.
- Provision of a catalogue in which users can create descriptions of their collections.
- Standardized Metadata - creating the descriptions in forms that conform to relevant standards and are harvested by the Open Archives Initiative search engines, enabling access for a wider community.
- Building models that show how to make reusable data (e.g. EthnER) and using current tools such as Elan and Toolbox
- Building models that show how to reuse data (e.g. EOPRS, online dictionaries, iTunes repositories)
- Cultural resources - audio and video recordings and other material to be made available for download for free.

Basic metadata describing PARADISEC collection can be freely and easily searched through OLAC, ANDS or the LUNGSU List Server.

Access to the collection and catalogue records is available here: [www.paradisec.org.au/](http://www.paradisec.org.au/).

Access to data in the PARADISEC repository is available to those who have clicked the access agreement (see the instructions above). There is no fee or charge for file delivery via CD/DVD. Completed forms should be posted or faxed to PARADISEC ([paradisec@sydney.edu.au](mailto:paradisec@sydney.edu.au)).

PARADISEC has been funded by the Universities of Sydney, Melbourne, New South Wales, Monash, Murdoch, Deakin, La Trobe, Flinders, Macquarie, Western Australia, Murdoch, Bond, University of Technology, and the University of Queensland.

არქივის ჩანაწერების ასლები ინახება აგრეთვე ვანუატუს კულტურის ცენტრში, ახალი კალედონიის უნივერსიტეტში, პაკუა-ახალი გვინეის კვლევით ინსტიტუტში, სოლომონის კუნძულების ეროვნულ მუზეუმსა და რაფა ნაუზე.

PARADISEC - Safeguarding research in Australia's region - Mozilla Firefox

TITUS: INDEX Google Translate Language-Related Open Archives PARADISEC - Safeguarding research

Home About Us Our Collections Deposit Resources Support Us Donate Q

ELAC Blog

PARADISEC

Pacific and Regional Archive for Digital Sources in Endangered Cultures

A digital archive of materials from endangered cultures from all over the world.

Transferring data from [www.paradisec.org.au...](http://www.paradisec.org.au/)

არქივის ახალი ვერსია

PARADISEC-ი წარმოადგენს სამი უნივერსიტეტის კონსორციუმს: სიდენის უნივერსიტეტი, მელბურნის უნივერსიტეტი და ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი.

PARADISEC-ის მმართველობას განახორციელებს წარმომადგენელობითი საბჭო, რომელშიც სამივე უნივერსიტეტის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული.

## 5.6. Perseus Digital Library

### პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა

პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკის კონცეფცია შემუშავდა 1985 წელს, მას შემდეგ, რაც დაისვა საკითხი იმის შესახებ, როგორი შეიძლება იყოს ონლაინბიბლიოთეკა. კონცეფციის შემუშავების ორი ათეული წლის შემდეგ გაჩნდა პუბლიკაციის ახალი ფორმები, მიღიონობით წიგნი ციფრულად ქვეყნება და ციფრული ბიბლიოთეკების აქტუალურობა დღეს ეჭვება აღარ დგის.

The screenshot shows the Perseus Digital Library website in a Mozilla Firefox browser. The address bar displays the URL [www.perseus.tufts.edu/hopper/](http://www.perseus.tufts.edu/hopper/). The main content area features the 'PERSEUS DIGITAL LIBRARY' logo and the name 'GREGORY R. CRANE, EDITOR-IN-CHIEF TUTTS UNIVERSITY'. Below this, there are several navigation links: Home, Collections/Texts, Perseus Catalog, Research, Grants, Open Source, About, and Help. A search bar is located at the top right. To the right of the search bar, there is a 'Popular Texts' sidebar containing a list of classical texts available in English and Latin, such as 'Caesar, Gallic War (English, Latin)', 'Catullus, Poems (English, Latin)', 'Cicero, In Catilinam I (English, Latin)', 'Vergil, Aeneid (English, Latin)', 'Herodotus, Histories (English, Greek)', 'Hesiod, Odes (English, Latin)', 'Plato, Republic (English, Greek)', and 'Tom Martin, Overview of Classical Greek History from Mycenae to Alexander (English)'. At the bottom right, there is a 'Art and Archaeology' section featuring images of the 'Aegina, Temple of Aphaia' and a 'Silver obol from Athens'.

Welcome to Perseus 4.0, also known as the **Perseus Hopper**.  
Read more on the Perseus version history.  
New to Perseus? Click here for a short tutorial.

**Perseus Updates**


- **March 15, 2018:** First Version of the Scaife Digital Library Viewer goes live: building the future while remembering a friend  
Announcing the first release of the [Scaife Digital Library Viewer](#), a reading environment for source texts that follow the Canonical Text Services (CTS) data model... [Read more](#).
- **February 24, 2018:** Using Clarin or Dariah to work with historical languages? [Read more](#)
- **September 11, 2017 (update): Design Sprint for Perseus 5.0/Open Greek and Latin**  
Eldarion.com has received the lead contract to develop the new Scaife DL Viewer. In this we build upon work already underway... [Read more](#)
- **August 18, 2017: Why we need user profiles and a new Perseus**  
"There is no greater topic for research in historical languages than enhancing the

Perseus-ი არის პრაქტიკული ექსპერიმენტი, რომელშიც ჩვენ ვიკილეგო ციფრული კოლექციების შესაძლებლობებსა და გამოწვევებს გლობალურ ქსელურ სამყაროში. Perseus-ის მისითა და მისი ამჟამინდელი კვლევის შესახებ ინფორმაციის გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ მის გვერდს, სადაც წარმოდგენილია ციფრული ბიბლიოთეკის კოლექციები, რომლებსაც წლების განმავლობაში აგროვებდნენ ბიბლიოთეკის შემქმნელები. ბიბლიოთეკის წამყვანი კოლექცია, რომელიც 1987 წლიდან ვითარდება, მოიცავს ბერძნულ-რომაული სამყაროს ისტორიას, ლიტერატურასა და კულტურას.

### **5.7. Tibetan and Himalayan Digital Library (THL)** **ტიბეტისა და ჰიმალაის ციფრული ბიბლიოთეკა**

ტიბეტისა და ჰიმალაის ციფრული ბიბლიოთეკა (THL) წარმოადგენს თანამედროვე ტექნიკური ინფრასტრუქტურით აღჭურვილ სოციალური ქსელის ტიპის ციფრულ ბიბლიოთეკას მრავალფეროვანი პროექტების შინაარსის კატალოგიზირების, სორტირებისა და გამოქვეყნების მიზნით. THL შეიქმნა, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, კერძოდ, შინაარსის მართვისა და გამოქვეყნების ტექნოლოგიების განსავითარებლად; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუსი უფრო მეტად შინაარსზეა მიმართული, ვიდრე ტექნოლოგიაზე. ციფრული ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალება ეძლევა საფუძვლიანად დაათვალიეროს THL-ის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებული პროექტები და სამეცნიერო თანამშრომლობით შექმნილი სხვა რესურსები. THL

იმითაც გამოირჩევა ბევრი ციფრული ბიბლიოთეკისაგან, რომ იგი ცენტრალიზებულია აქვეყნებს THL-თან თანამშრომლობით შექმნილ საცავებს, რომლებიც დია მოხმარებისაა და შევსებადია. ტექსტური რესურსების გარდა აქ განთავსებულია სხვადასხვა ტიპის რესურსი - სურათები, აუდიო-ვიდეო მასალები, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონები და სხვა. აქ შეგიძლიათ კონსულტაცია მიიღოთ ან გასცეთ თემატური პროექტების ფარგლებში. THL ტექნოლოგიები თავისთავად წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ტექნიკური პროექტების სერიას, რომელიც არეგულირებს კოლაბორაციას THL-ის თანამშრომლებს, Uva-ს პერსონალსა და მოხალისეებს შორის მთელს მსოფლიოში.



შეგიძლიათ კონსულტაციებისთვის აირჩიოთ პროექტების ჩამონათვალი THL-ის პროექტების რეკსტრში ვებგვერდზე [www.thlib.org](http://www.thlib.org). აქ იხილავთ ისეთ რესურსებს, როგორებიცაა ტიბეტის ლიტერატურული ენციკლოპედია, ტიბეტის ისტორიული

ლექსიკონი, რუქები, ტოპონიმების ლექსიკონი და სხვა. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ბიბლიოთეკის გებგერდი: <http://www.thlib.org/projects/#ixzz5A3bA8wGF>


## **5.8. Virtual Kayardild Archive ქეიარდილდის ვირტუალური არქივი**

ქეიარდილდის ვირტუალური არქივი ტრანსინსტიტუციონალური არქივია და აერთიანებს მელბურნის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების დეპარტამენტს (გამოყენებითი ენათმეცნიერება), კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტს (პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია) და ბაილიუს ბიბლიოთეკას (University of Melbourne, Department of Linguistics and Applied Linguistics, Department of Computer Science and Software Engineering, and Baillieu Library). ქეიარდილდის ვირტუალური არქივი მოცავს მასალებს ავსტრალიური ენების, კერძოდ ქეიარდილდის, ტანკური და ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთით, ბენტინკის კუნძულებზე გავრცელებული ენების რესურსებს. ენათა უმრავლესობა საფრთხეში მყოფი ენებია. ზოგიერთი ენისათვის მხოლოდ 10-ზე ნაკლები მოღაპარაკეა შემორჩენილი, რის გამოც ისინი საფრთხეში მყოფ ენათა რიცხვს მიეკუთვნება და ამ ენათა დოკუმენტირება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამ ენათა დოკუმენტირების აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ მათი გრამატიკა როგორია და მსგავსი ენობრივი ფენომენები სხვა ენებში არ მოიპოვება, რაც ტიპოლოგიური კვლევების თვალსაზრისით ფასდაუდებელია.

## **5.8. Alaska Native Language Center Archive (ANLA) ალიასკის ადგილობრივი ენების ცენტრის არქივი**

ალიასკის ადგილობრივ ენათა ცენტრის არქივი (ANLA) 2009 წელს შეიქმნა და აერთიანებს ალიასკის ენების კოლექციებს. 2013 წლის 22 თებერვალს ალიასკის ადგილობრივი ენების ცენტრის არქივს მისი დამფუძნებლის, **მიხეილ კრაუსს** სახელი მიენიჭა და ეწოდა **Michael E. Krauss Alaska Native Language Archive**. მიხეილ კრაუსი რამდენიმე ათეული წელი ემსახურებოდა ალიასკის ადგილობრივი ენების კოლექციების შექმნას და არქივისათვის მისი სახელის მინიჭებით პატივი მიეგო მეცნიერის დამსახურებას. ამერიკის შეერთებული შტატების დაარსებამდე, ალიასკის ადგილობრივი ენების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა და კოლექციები იქმნებოდა სპონსორების, ცალკეული ინდივიდის მიერ და სამეცნიერო ინსტიტუციების ფარგლებში. კვლევის შედეგები, ისევე როგორც კოლექციები, მიმოფანტული იყო არქივებში, ბიბლიოთეკებსა და კერძო კოლექციებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს მასალები მოიცავდა მაგალითად, ორიგინალურ ხელნაწერებს ამერიკის რუსული გპოქიდან და შეგროვებულია ადრეული არქტიკოსების მიერ. ალიასკას მშობლიური ენების არქივი შეიქმნა იმ მიზნით, რომ შევერიბა და გაეცემოთ ალიასკის ადგილობრივი ენების შესახებ არსებული რესურსები. გარდა ამისა, არქივი ემსახურება როგორც ANLA-ს, ანუ ადგილობრივი ენების რესურსების კვლევას ზოგადად, ისე ენათმეცნიერების განვითარებას ალიასკაში.

კოლექციებში შედის ორგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი მასალები. ცენტრის მიერ მოპოვებული მასალები შეიცავს ტექსტურ, აუდიო- და ვიდეო ჩანაწერებს. გამოქვეყნებულ მასალებში შედის წიგნები, ანაბეჭდები, სხვა არქივებში დაცული მასალების ასლები და აღიასკის **მშობლიური ენის ცენტრის** პუბლიკაციების ასლები. საარქივო დარბაზში ასევე განთავსებულია საცნობარო მასალები, რომლებიც აღიასკაში ენათმეცნიერული კვლევებს განვითარებას უწყობს ხელს.



ANLA-ს კოლექცია სრულიად უნიკალურია, ვინაიდან მასში თავმოყრილია ალიასკის ადგილობრივი ენების შესახებ არსებული მასალების სრული პაკეტი და დამატებითი რესურსები, როგორებიცაა დამწერლობის სისტემის განვითარება, აღიასკის ადგილობრივი ენების სწავლების პროგრამები და სხვა საგანმანათლებლო რესურსები.

წინამდებარე თაგმი ჩვენ მოკლედ მიმოვისილეთ დღეოსათვის არსებული დიგიტალური არქივების დიდი უმრავლესობა. სრული სურათის შექმნა ამ თვალსაზრისით მოცემულ ნაშრომში შეუძლებელია, ვინაიდან ლია რესურსების რაოდენობა ძალიან სწრაფად იზრდება და ინფორმაციის მუდმივ განახლებას მოითხოვს.

## თავი II

### პულტურა და მეხსიერება დოკუმენტირების კონტექსტი

#### 1. დოკუმენტირების ობიექტის განსაზღვრისათვის

დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებამ და თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ჰუმანიტარული მეცნიერებები. უპირველეს ყოვლისა, საჭირო გახდა კვლევის ობიექტის ხელახლი განსაზღვრა. შესაბამისად დაისვა კითხვა: რა არის დღეს ჰუმანიტარული მეცნიერების ცალკეული დარგის პრეფერირებული ტექნიკი? ჩვენს შემთხვევაში, ანუ ენისა და კულტურის დოკუმენტირების შემთხვევაში, საჭირო გახდა იმის განსაზღვრა, თუ რა არის ჩვენი კვლევის ობიექტი? რის დოკუმენტირებას ვცდილობთ?

კითხვაზე - რა არის ჩვენი კვლევის ობიექტი - ინტერდისციალური კვლევების კონტექსტში რამდენიმე შესაძლო პასუხი არსებობს:

1. ჩვენი კვლევის ობიექტი შესაძლოა იყოს ენა, როგორც ნიშანთა სისტემა. ამ შემთხვევაში წინაპლანზე წამოწეულია კვლევის ლინგვისტური ასპექტი;
2. ჩვენი კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ენა, როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტების ნაკრები. ასეთ შემთხვევაში ენის კვლევა ხორციელდება

**ლინგვოპულტუროლოგიური ასპექტების გათვა-  
ლისწინებით;**

3. ხოლო თუ ენას ვიკვლევთ, როგორც მის ბუნებრივ მოცემულობაში - კონკრეტულ დროში, კონკრეტულ სივრცესა და კონკრეტულ სოციალურ გარემოში ფუნქციონირებად მექანიზმს, მაშინ კვლევის ფოკუსი სოციოლინგვისტური ასპექტი.

მეორე საკითხი, რომელიც დიგიტალური ჰუმანიტარიის სწრაფმა განვითარებამ მოიტანა, არის შეკითხვა: **როგორ მოვიპოვოთ და შევინახოთ რესურსები ციფრული მეცნიერების საუკუნეში?** რა მეთოდები უნდა გამოვიყენოთ რესურსების მოპოვების დროს, რათა შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა დისკიპლინის ფარგლებში მათი ფართო გამოყენება, ანუ დიგიტალურად დამუშავება და საიმედოდ დაცვა მომავალი კვლევისთვის? სამეცნიერო ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, როგორ უზრუნველვყოთ რესურსების ინტერდისციპლინურობა და **მდგრადობა?**

თუ ჩვენ ენას განვიხილავთ, როგორც **ლინგვოპულტურული კონცეპტების ნაკრებს**, მაშინ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ენის დოკუმენტირება არსებითად კულტურის დოკუმენტირების ტოლფასია. შესაბამისად, ენის ელექტრონული დოკუმენტირება ამ ენის მატარებელი სოციუმის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის დოკუმენტირებას გულისხმობს. შესაბამისად, ენა, როგორც დოკუმენტირების ობიექტი, ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტად უნდა განვიხილოთ.

მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის შესწავლა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს და XXI საუკუნეში მხოლოდ დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების გზით უნდა ვითარდებოდეს. ვინაიდან ენა კულტურის ნაწილია, და კულტურა, გარდა დოკუმენტირებული მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობისა, მეხსიერების მეშვეობითაც გადაეცემა თაობიდან თაობას, ქვემოთ საგანგებოდ ვიმსჯელებთ ამ სამი საკითხის შესახებ: ა) კულტურა, როგორც ბინარული სისტემა, ბ) მეხსიერება და მისი სახეები და გ) კულტურის ტრანსმისია და მისი ფორმები. ეს თემები ჩვენ დაწვრილებით გვქონდა განხილული წიგნში „ენის დიგიტალური დოკუმენტირება“, მაგრამ საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე საჭირო მივიჩნიეთ წინამდებარე წიგნში მისი კვლავ გამეორება.<sup>9</sup>

## 2. კულტურა, როგორც ბინარული სისტემა

სიტყვა „კულტურა“ ლათინური წარმოშობისაა *colere* და „დამუშავებას, მოვლას, მიწათმოქმედებას“ ნიშნავს. კულტურასთან საერთო ძირს გვიჩვენებენ ისეთი სიტყვები, როგორებიცაა კოლონია და კულტი. ზოგიერთ ენაში, მაგ., ინგლისურში, კულტურა მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალი დონის არსებობასთან – ცივილიზაციასთან ასოცირდება (შდრ. ინგლისურად გამოცემული Samuel P. Huntington-ის

<sup>9</sup> ადნიშნული ქვეთავები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ჩვენი ნაშრომიდან „ენის დიგიტალური დოკუმენტირება“; გამომცემლობა „შოთა რესთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2016.

წიგნის *Clash of Civilisations* გერმანული თარგმანი *Kampf der Kulturen*)<sup>10</sup>.

პირველი მეცნიერი, რომელმაც სისტემურად გამიჯნა ერთმანეთისაგან ეს ორი ცნება, გახლდათ ემანუელ კანტი (Immanuel Kant). იგი ერთმანეთისაგან განასხვავებას კულტურას, როგორც მორალური საზოგადოების წინაპირობას, ცივილიზაციაში კი სოციალურ თავაზიანობას და მანერულ დახვეწილობას გულისხმობს.<sup>11</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის 400-მდე განსაზღვრება არსებობს როგორც მისი ფართო, ისე ვიწრო გაგებით, შესაძლებელია გამოვყოთ კულტურის ცნების განსაზღვრების სამი ძირითადი ელემენტი:

1. კულტურა არის **სოციალური მემკვიდრეობა**, ანუ ის, რაც საზოგადოების განვითარების პროცესში თაობიდან თაობას გადაცემა, როგორც სოციუმის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული და ტრადიციად ქცეული ცოდნა; ანუ სოციალური მემკვიდრეობა არის **სოციალური ტრადიცია**. კულტურის გადაცემა არის ერთგვარი პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურა გადადის მომდევნო თაობებზე არაგენეტიკური ანუ სწავლების გზით. ამ პროცესს, როგორც ფენომენს, კულტურულ ტრანსმისიას უწოდებენ. სწორედ კულტურული ტრანსმისიის შედეგია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მისი დროში უწყვეტობა. ამ

<sup>10</sup> Samuel Phillips Huntington: *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. Simon & Schuster, New York 1996.

<sup>11</sup> Immanuel Kant: *Idee zu einer allgemeinen Geschichte in weltbürgerlicher Absicht*, Akademie-Ausgabe, Bd. 8, 1784, S. 26.

თვალსაზრისით კულტურა არსებითად განსხვავდება სოციალური სისტემისაგან, რომელიც დროში ცვალებადია. რომელიმე მოცემული ეთნიკური ჯგუფის კულტურა სოციალური სისტემისაგან დამოუკიდებლად ვრცელდება ერთი სისტემიდან მეორეზე.

2. კულტურა არ არის ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლენა, ის სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობაა;

3. კულტურა არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ფენომენს, იგი ზოგადობით ხასიათდება და იმ ნიშანთა ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საყოველთაოდაა მიღებული, ანუ იგი საზოგადოებისათვის მისაღები და აუცილებელი საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა.

ამდენად, **კულტურა**, ერთი მხრივ, სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების დეტერმინანტი. ანთროპოლოგი **ი. გუდუნაუ კულტურის შემადგენელ ოთხ ელემენტს** გამოყოფს<sup>12</sup>:

1. **ენობრივი ფენომენები** (ცნებები, კონცეპტები), რომლებიც ადამიანის (ჯგუფის) გამოცდილების რელევანტურია, რამდენადაც ამ გამოცდილების მოწესრიგებასა და ორგანიზებას ახდენს;

2. **ცნებებს შორის მიზეზ–შედეგობრივი და ფუნქციური კავშირების გამომხატველი ურთიერთობები;**

---

<sup>12</sup> სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, ლოგოს პრესი, თბილისი, 2004 (რედ.: მარინე ჩიტაშვილი).

**3. ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნებთან, რომელთა მიღწევისკენაც მიისწრაფვის საზოგადოება;**

**4. წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას დირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნულ წესებთან და ნორმებთან დაკავშირებულია სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს დასჯას ან წახალისებას ნორმების დარღვევის ან შესრულების შემთხვევაში.**

**კულტურის შემადგენელი ეს ოთხი კლემენტი ქმნის სოციუმის კულტურულ ხატს, რომელიც კულტურული მეცნიერების სახით გადაეცემა მომდევნო თაობებს ტრანსმისიის გზით.**

**კულტურული მეცნიერება** არ არის კონსტანტური, უცვლელი ოდენობა. იგი დროში შეიძლება განივრცოს ან ტრანსფორმირდეს იმისდა მიხედვით, თუ რა ფაქტები და მოვლენები ახდენენ გადამწყვეტ გავლენას **სოციუმის თვითხატის** ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, ცნობილია, თუ რა დიდი გავლენა იქონია რესთაველის „ვეფხისტყაოსანმა“ ქართული კულტურული იდენტობის ფორმირებაზე, ისევე როგორც უდიდესი გავლენა იქონია დავით აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის, სამასი არაგველის ან ქეთევან დედოფლის თავგანწირვამ ქართველი ერის ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბებაზე.

**კულტურული მეცნიერება** მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის: მდიდრდება რა ახალი ფაქტებითა და მოვლენებით, იგი ეროვნული ცნობიერების უმთავრეს განმსაზღვრელ ნიშანს (დეტერმინატორს) წარმოადგენს.

### 3. მეხსიერება და მისი სახეები

ადამიანთა სწრაფვა, შექმნან ინდივიდთა ორგანიზებული სისტემა - **სოციუმი**, მისი თანდაყოლილი, უმთავრესი თვისებაა და, ჯერ კიდევ უძველესი ციფილიზაციებიდან მოყოლებული, საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

სოციუმის არსებობისათვის აუცილებელია ორი რესურსი: **ფიზიკური** და **სოციოპულტურული**. სოციუმის ფიზიკურ რესურსს ინდივიდები წარმოადგენენ, რომლებიც ორგანიზებული სისტემის შექმნისა და მისი ისტორიულობის ხარჯზე სოციუმის **სოციო-კულტურულ რესურსს** ქმნიან, ნიშან-თვისებათა იმ ერთობლიობას, რომელიც მოცემულ სოციუმს თვითმყოფადობას, განუმეორებლობას ანიჭებს და რის მიხედვითაც ერთი სოციუმი მეორისაგან განსხვავდება.

სოციუმის ფიზიკური რესურსი ადამიანის ბიოლოგიური არსებობით არის განპირობებული და ბუნებრივი გზით ფიზიკური გამრავლების უწყვეტობის გამო **მუდმივ** და **თვითრეგულირებად რესურსს** წარმოადგენს.

რაც შეეხება სოციოპულტურულ რესურსს, მას ცნობიერი ხასიათი გააჩნია და **კულტურული მეხსიერების** სახით არსებობს.

**კულტურული მეხსიერება** წარმოადგენს სოციუმის კულტურულ ხატს, რომელიც შედგება ენობრივი ფენომენების, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციური კავშირების, ღირებულებების, წესებისა და

ნორმებისაგან. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა და ქმნის ეროვნული ცნობიერების დერბს.

**პულტურული მეხსიერება** არ წარმოადგენს მხოლოდ კოლექტიურ მეხსიერებას. იგი ინდივიდისა და კოლექტივის ურთიერთმიმართების შედეგად იქმნება და ინტერაქციული პროცესის შედეგია.

**მეხსიერების სუბიექტი**, მ. ჰალბგაქსის მიხედვით, არის და იქნება ინდივიდი, მაგრამ იგი დამოკიდებულია იმ სოციალურ ჩარჩოზე, რომელიც მის მეხსიერებას ორგანიზებულობას ანიჭებს. ანუ ინდივიდის მეხსიერება შედგება იმ ფაქტებისა და მიმართებებისაგან, რომელიც დღევანდელობის თვალსაზრისით რელევანტურია მოცემული საზოგადოებისათვის და არ შეიცავს წარსულის იმ ფრაგმენტებს, რომელსაც თანამედროვეობაში შესაბამისობა არ მოჰყოვება ან არარელევანტურია აწმეოსთან მიმართებით.

მეხსიერება „ცოცხლობს“ და „ინახება“ სოციუმის შიგნით კომუნიკაციის (ინტერაქციის) გზით. ის ფაქტები და მიმართებები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების (მაგ., მათი არარელევანტურობის) გამო კომუნიკაციის პროცესში არ „აქტიურდება“, დროთა განმავლობაში „მკრთალდება“ და „დავიწყებას ეძლევა“. ინდივიდი „იხსენებს“ მხოლოდ იმას, რასაც იგი სოციალური კომუნიკაციის პროცესში მოიხმარს და

რომელსაც კოლექტიური მეხსიერების სოციალურ ჩარჩოში მიუჩენს ადგილს<sup>13</sup>. ინდივიდის მიერ ამგარად „შენახული“ მეხსიერება წარმოადგენს აგლომერატის, რომლის ერთობლიობა საზოგადოებრივ მეხსიერებას ქმნის, რომელიც თავის მხრივ რელევანტურობას ანიჭებს აგლომერატებს, ქმნის ჯგუფური მეხსიერების კონგლომერატს ან მის უფრო მაღალ ფორმას - საზოგადოებრივ (მაგ., ეროვნულ) მეხსიერებას.

#### 4. ტრანსმისია და მისი ფორმები

მეხსიერება, მიუხედავად მისი აბსტრაქტული ბუნებისა, კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს, მაგრამ ვიდრე ფაქტი ან მოვლენა საზოგადოებრივი მეხსიერების ნაწილად იქცევა, მან კონკრეტული ფორმა უნდა მიიღოს: ერთი მხრივ, იგი უნდა არსებობდეს სივრცესა და დროში, მეორე მხრივ კი მას უნდა ჰყავდეს მატარებელი კონკრეტული სოციუმის სახით.

საგნები და მოვლენები სოციალურად მარკირებულ ოდენობებს წარმოადგენ - მნიშვნელობა, ღირებულება და სიმბოლური დანიშნულება ანიჭებს მათ სოციალური ფაქტორის სტატუსს. თუ ადამიანთა ჯგუფს კონსოლიდაციის სურვილი ამოძრავებს, ანუ სოციუმს პრეტენზია გააჩნია „მთლიანობაზე“ და იდენტიფიკაცია ესაჭიროება, მაშინ მეხსიერების აქტუალიზაციას სწორედ საგნებისა და მოვლენების

---

<sup>13</sup> Maurice Halbwachs, *Das Gedächtnis und seine sozialen Bedingungen*, Frankfurt a/M, Suhrkampf, 1985; Kap. 4 „Die lokalisierung der Erinnerungen“.

საშუალებით ახდენს. მ. პალბგაქსი მათ „მეხსიერების ფიგურებს“ უწოდებს.

მ. პალბგაქსი მათ „მეხსიერების ფიგურის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს პორსტ კოლერის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 2005 წლის 2 თებერვალს:

„აასუებისმგებლობა შოას (ებრაელთა მასობრივი კლება) გამო გერმანელი ერის იდენტობის ნაწილად იქცა. იმ თაობამ, რომელიც ომის შემდეგ დაიბადა, შესანიშნავად იცის, რომ გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის მმართველობის წლები გერმანიის ისტორიის ნაწილია. მართალია, მათ არ ჩაუდენიათ ეს დანაშაული, მაგრამ შესანიშნავად იციან, რომ ვალდებული არიან თავადაც შეინახონ და თაობებსაც გადასცენ მოგონება ამ პერიოდის შესახებ და უკეთესი მომავალი შექმნან.“

მეხსიერების ფიგურები იმავდროულად არიან მოდელები, მისაბაძი მაგალითები და ერთგვარ სასწავლო ფუნქციას ასრულებენ. მათში აისახება საერთო ჯგუფური ქცევა. ისინი ასახავენ არა მხოლოდ წარსულს, არამედ განსაზღვრავენ სოციუმის არსებობის ფორმას და თვისებებს. სოციალური ჯგუფი, რომელიც **საერთო სოციალური მეხსიერების** მქონე საზოგადოებად ყალიბდება, თავის წარსულს ინახავს და ახდენს თვითიდენტიფიკაციას ისტორიის (განვლილი დროის) ფონზე და მომავლის პერსპექტივაში. ვინაიდან ტრანსმისია მეხსიერების ტრანსპორტირებაა, ქვემოთ ვისაუბრებთ მეხსიერების ფორმების შესახებ.

## 5. მეხსიერების ფორმები

ა. **ასმანი** მეხსიერების ოთხ ფორმას განასხვავებს ერთმანეთისაგან: 1. ინდივიდუალური მეხსიერება, 2. სოციალური მეხსიერება, 3. კოლექტიური მეხსიერება და 4. კულტურული მეხსიერება.<sup>14</sup>

### ა) ინდივიდუალური მეხსიერება

ის, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს, არის ინდივიდუალური მეხსიერება – მისი პიროვნული ბიოგრაფია განსაზღვრავს მისი, როგორც ინდივიდის, იდენტობას. ინდივიდუალურ მეხსიერებას, ა. ასმანის მიხედვით, ოთხი ნიშანი ახასიათებს:

1. ინდივიდუალური მეხსიერება არის ფაქტებისა და მოვლენების ინდივიდუალური აღქმა; იგი ინდივიდის პერსპექტივიდან აღქმული სურათია და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მისი შეცვლა, ჩანაცვლება ან ერთი ინდივიდიდან მეორეზე გადატანა.
2. ინდივიდუალური მეხსიერება არ არის იზოლირებული. ინდივიდუალური მეხსიერება სხვა ინდივიდთა მეხსიერებასთან არის დაკავშირებული და მასთან ერთად ქმნის სოციალურ და კოლექტიურ მეხსიერებას.

---

<sup>14</sup> Aleida Assmann, *Vier Formen von Gedächtnis - Von individuellen zu kulturellen Konstruktionen der Vergangenheit*, Wirtschaft & Wissenschaft 9 (2001) H. 4, S. 34 – 45.

3. მეხსიერებაში შენახული ფაქტები და მოვლენები ფრაგმენტულია. ისინი მხელოდ პერფორმანსში იძნენ ფორმასა და სტრუქტურას, მაშინ, როდესაც ინდივიდს თავისი მოგონებები ენობრივ ფორმატში გადააქვს.
4. მეხსიერებაში შენახული ფაქტები და მოვლენები მეხსიერების არასტაბილურ და არამდგრად კომპონენტებს წარმოადგენენ. ისინი შეიძლება „გაფერმკრთალდნენ“ და საერთოდაც გაქრნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ღირებულებებისა და ნორმების ამსახველ ფაქტებსა და მოვლენებს.

**ინდივიდუალური მეხსიერება კონკრეტულ სოციალურ გარემოსა და კონკრეტულ დროში არსებობს. მისი ხანგრძლივობა შეადგენს 80-100 წელს, პიროვნული მოგონებების ურთიერთგაცვლის გზით ინარჩუნებს არსებობას და სამიდან ხუთ თაობამდე ვრცელდება. როგორც კი წყდება პიროვნული მოგონებების გაცვლის პროცესი, ეს მოგონებები დავიწყებას ეძლევა.**

### **ბ) სოციალური მეხსიერება**

ინდივიდი, როგორც სოციუმის ნაწილი, სოციუმის მეხსიერების მატარებელია. სოციუმის მეხსიერებას ქმნის ის ისტორიული მოვლენები და ფაქტები, რომლებიც სოციუმის, როგორც ინდივიდების ერთობლიობის, ფორმირების პროცესზე ახდენს გავლენას. ამიტომაა, რომ თაობათა ცვლასთან ერთად მკვეთრად იცვლება მეხსიერების პროფილი. მაგ., საქარ-

თველოში 90-იანი წლებიდან საბჭოური მეხსიერების პარალელურად გაჩნდა პოსტსაბჭოური, 9 აპრილის ტრაგედიითა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიებით დატერმინირებული მეხსიერება, რომელიც ასალი თაობის სოციალური მეხსიერების სახით ჩამოყალიბდა და რომელიც ინდივიდუალურ მეხსიერებას, უამრავი ადამიანის პირად განცდებსა და მოგონებებს ეყრდნობა.

**სოციალური მეხსიერების „ჩანაცვლების“ დროს იცვლება ღირებულებები და ნორმები. თაობათა ცვლასთან ერთად ტრანსფორმირდება სოციალური მეხსიერებაც. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მეხსიერება უცვლელად ინახება, იგი კოლექტიური მეხსიერების კომპონენტად იწყებს ჩამოყალიბებას.**

### **გ) კოლექტიური მეხსიერება**

**კოლექტიური მეხსიერება** არსებითად განსხვავდება ინდივიდუალური მეხსიერებისაგან: ინდივიდისაგან განსხვავებით კოლექტივს არა აქვს საკუთარი მეხსიერება, როგორც ბიოლოგიურ არსებას. ის ამ „მეხსიერებას“ **ქმნის** სიმბოლოების მეშვეობით. ასეთ სიმბოლოებს წარმოადგენს სოციალური თანაცხოვრების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა ზეპირმეტყველება, მორალური ხატი, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ისტორიული და რიტუალური მნიშვნელობის გეოგრაფიული ადგილები და მონუმენტები.

**კოლექტიური მეხსიერების შექმნა ინდივიდუალური მეხსიერების სოციალიზაციის გზით მიიღწევა. ინდივიდუალური მეხსიერების (მრიცხველის) მათემატიკური**

შეკრება იფილტრება და დაიყვანება მეხსიერების საერთო „მნიშვნელზე“, რომელიც კოლექტიური მეხსიერების სახით განაგრძობს არსებობას. ინდივიდუალური მეხსიერების მატარებელი არის თავად ინდივიდი, კოლექტიური მეხსიერების მატარებელი კი კოლექტივია. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივი ინდივიდთა კრებულს, ერთგვარ მათემატიკურ ჯამს წარმოადგენს, კოლექტიურ მეხსიერებასა და ინდივიდუალურ მეხსიერებათა მათემატიკურ ჯამს შორის ტოლობის დასმა დაუშვებელია – კოლექტიური მეხსიერება ინდივიდუალური მეხსიერებების არაინდივიდუალური კომპონენტების ნაკრებია. კოლექტიური მეხსიერება არ მოიცავს სპონტანურ მომენტებს. იგი საგანგებოდ შექმნილი და სიმბოლური კონსტრუქტია – ნებელობით ხასიათდება და ამდენად, **სასურველი მეხსიერებაა.**

**კოლექტიური მეხსიერების** განსახიერებას წარმოადგენს **ეროვნული მეხსიერება** და რადგან შესაძლებელია კოლექტიური მეხსიერებისათვის კონტროლის გაწევა, ეროვნული მეხსიერების მართვაც შესაძლებელია საზოგადოების შეგნებული გადაწყვეტილების შედეგად. ეროვნული მეხსიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოზიტიური ფაქტები და მოვლენები, როგორებიცაა საომარი წარმატებები, აღმშენებლობითი პროცესები (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), ისტორიული მონუმენტები და ა.შ. თუმცა, ნეგატიური ფაქტები და მოვლენებიც შეიძლება გახდეს ეროვნული მეხსიერების მაიდენტიფიცირებელი, თუ იგი ერშიუსამართლობის კოლექტიურ განცდას უკავშირდება: მაგ., აღაშვილ-ხანის მიერ თბილისის აოხრება. საბჭოთა არმიის მიერ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში განხორცილებული აქცია,

როგორც ქართველი ერის მასობრივი დამცირებისა და დემორალიზაციის აქტი, დღეისათვის სოციალური მეხსიერების კომპონენტია, რომელიც ეროვნული მეხსიერების კომპონენტად იქცევა, თუ მას ქართველი ერი შეინახავს დროში, როგორც მეხსიერების ფიგურას.

საგულისხმოა, რომ სამარცხინო ისტორიული მოვლენაც შეიძლება იქცეს ეროვნული მეხსიერების ნაწილად. მეორე მსოფლიო ომში ებრაელების მიმართ ჩადენილი დანაშაულის შეგნებული გააზრება გერმანელი ერის იდენტობის ნაწილად იქცა, როგორც უარყოფითი გამოცდილება და პასუხისმგებლობა მსოფლიოს წინაშე. ამის ნათელი მაგალითია ის სიტყვები, რომელიც გერმანის პრეზიდენტმა ჰორსტ კოლერმა წარმოთქვა 2005 წლის 2 თებერვალს შოას (ებრაელთა მასობრივი ჟღების) შესახებ, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ. დროის დერძზე ახალი ფაქტების გამოჩენას შეუძლია გარკვეული კორექტივები შეიტანოს სოციუმის თვითიდენტიფიკაციის პროცესში. გერმანელების დამოკიდებულება უახლეს ისტორიასთან სწორედ ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

## დ) პულტურული მეხსიერება

ა. ასმანი პულტურას უწოდებს „წარმავლობის შემაჩერებელ სადაზღვევო სისტემას საყოველთაო დავიწყების წინააღმდეგ“<sup>15</sup> ამიტომ, მეხსიერების უმაღლეს ფორმად

<sup>15</sup> ob. Aleida Assmann, *Vier Formen von Gedächtnis: Von individuellen zu kulturellen Konstruktionen der Vergangenheit*, Wirtschaft & Wissenschaft 9 (2001) H. 4, S. 34 – 45.

**კულტურულ**      **მეხსიერებას**      **მიიჩნევს.**      **სოციალური**  
**მეხსიერებისაგან**      **განსხვავებით,**      **კულტურული**      **მეხსიერება**  
**დროის** კონტინუუმში დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის  
მატარებელია, რომელსაც საზოგადოება ინახავს და თაობიდან  
თაობას გადასცემს. დღეისათვის კულტურული მეხსიერების  
მატარებლები არიან ისეთი ინსტიტუციები, როგორებიცაა  
არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და მონაცემთა  
დიგიტალური ბანკები (მაგ., ვიკიპედია, ვებგვერდები, ბლოგები  
და ა.შ.). კულტურული მეხსიერების ფორმირება ხორციელდება  
მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება იღებს და  
ითავისებს კულტურული მეხსიერების შინაარსს.

**კულტურული** მეხსიერების ფორმირების პროცესში  
ორი ასპექტი უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან: მეხსიერების  
შენახვის და მეხსიერების ფუნქციონირების. პირველის  
შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ პასიურ მეხსიერებასთან –  
კულტურულ არქივთან, რომელშიც ინახება კულტურული  
მეხსიერების კონკრეტული შინაარსი (მათ შორისაა ისეთი  
კულტურული ფენომენები, რომლებიც შესაძლოა  
საზოგადოებისათვის აღარ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ან  
საზოგადოების ცნობიერებაში აქტიურად აღარ არიან  
წარმოდგენილი), მეორე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს აქტიურ,  
ფუნქციურ მეხსიერებასთან. აქ იგულისხმება ის კულტურული  
ხატი, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში მყარადაა  
დაცული და მას დავიწყების საშიშროება არ ემუქრება.  
აქტიური კულტურული მეხსიერება საზოგადოებრივი ზრუნვის  
ობიექტია და უშუალოდ აისახება კულტურული მეხსიერების  
მატარებელ საზოგადოებაში სინქრონიულად, მაგ.,

სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებში (იგულისხმება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი), კულტურულ სფეროში მიმდინარე პროცესებში (ტრადიციული და ინოვაციორული ხელოვნების ბალანსი ან დისპალანსი) და ა.შ.

აქტიურ და პასიურ კულტურულ მეცნიერებას შორის ზღვარი მკაფიოდ არ არის გავლებული – ის, რაც პასიური მეცნიერების კულტურულ არქივში ინახება, შესაძლებელია აქტიურ კულტურულ მეცნიერებაში გადმოინაცვლოს და კულტურული მეცნიერების ფუნქციურ ელემენტიდ იქცეს. მაგ., 1829 წელს ფელიქს მენდელსონ-ბარტოლდის მიერ იოპან სებასტიან ბახის „მათეს ვნებანის“ შესრულებამ ბახის რენესანსი გამოიწვია და კულტურული არქივიდან კულტურული მეცნიერების ფუნქციურ კომპონენტად აქცია როგორც გერმანელი, ისე მსოფლიოს სხვა ერებისთვისაც.

## 6. მეცნიერება და ისტორია

ამთავითვე გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ **მეცნიერება**, განსაკუთრებით კოლექტიური მეცნიერება, ყოველთვის არ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს. იგი აუცილებლობით არ იმეორებს **ისტორიულ ფაქტებს** და აქედან გამომდინარე, არ არის ისტორიის აღეკვატური, ზუსტად შენახული სოციუმის მეცნიერებაში.

**მ. პალბეგესი** საგანგებოდ უსვამს იმ გარემოებას ხაზს, რომ მეცნიერება და ისტორია ერთი და იგივე არ არის. პირიქით, სოციუმი თავის წარსულს „იმასსოვრებს“ ისეთი ფორმით,

რომელიც სრულიად გამორიცხავს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს. კოლექტიური მეხსიერებიდან ისტორიის გარკვეული მოვლენების „გაფერმპროტალება-წაშლა“, მისი აზრით, იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რომ „კოლექტიურ მეხსიერებას“ და „ისტორიას“ მ. პალბვაქსი ოპოზიციურ ტერმინებად მიიჩნევს.

ისტორია ობიექტურად არსებული ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობაა, მაშინ როდესაც კოლექტიური მეხსიერება სუბიექტურობის ნიშნით ხასიათდება და იმავე ფაქტებსა და მოვლენებს სუბიექტურად, „შიგნიდან“ ხედავს. ამასთან, კოლექტიური მეხსიერების შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი ისტორიის იმ ფაქტებზეა გამახვილებული, რომლებიც სოციუმს, როგორც განსაკუთრებულ, ინდივიდუალობის მქონე ჯგუფს ახასიათებს. ეს ხელს უწყობს მის თვითიდენტიფიკაციას. ისტორია კი პირიქით, სპეციფიკური ნიშნებისა და განსხვავებულობის რეგისტრაციას ახდენს არა იმისთვის, რომ ამა თუ იმ ჯგუფის ინდივიდუალური ხასიათი დაადგინოს, არამედ პირიქით – განიხილავს რა ფაქტებს ჰომოგენურ ისტორიულ სივრცეში, ადარებს მათ, ადგენს მიმართებებს ფაქტებს შორის და გამოავლენს ისტორიულ კანონზომიერებებს, რათა საბოლოო ჯამში შეკრას მსოფლიო ისტორიის საერთო სურათი. აქედან გამომდინარე, არსებობს უამრავი კოლექტიური მეხსიერება, მაგრამ მსოლოდ ერთი ისტორია. უარყოფს რა კონკრეტულ მიმართებებს ცალკეული სოციუმის იდენტობასა და სპეციფიკურობასთან, ისტორია წარსულის რეკონსტრუქციას ახდენს იდენტობისაგან თავისუფალ, სუფთა ტაბლოზე, ლოიალობისა და თანამონაწილეობის გარეშე და ამდენად,

„ცივი“ მეხსიერების უმაღლესი ფორმით - ობიექტურობით ხასიათდება.

აქ შეგნებულად არ ვეხებით იმ საკითხს, რომ კოლექტიური მეხსიერებისა და ისტორიის ეს შეპირისპირებითი დეფინიცია ისტორიასთან მიმართებით იდეალიზებულია, რომ ნებისმიერი დროის ისტორია დადგასმულია თანამედროვეობის ინტერესების შესაბამისად - უამთააღმწერელთა და ისტორიკოსთა ნაშრომები ეპოქისა და მმართველთა ინტერესების ამსახველია. სწორედ ამიტომ უწოდებენ ისტორიას „სოციალურ მეხსიერებას“<sup>16</sup>.

კიდევ ერთი არსებითი მიმართება უნდა განვიხილოთ ამ საკითხთან დაკავშირებით: **მეხსიერება** და **ტრადიცია**. პ. ჰალბვაქსი ტრადიციას მეხსიერების კონკრეტულ ფორმად მიიჩნევს, ა. ასმანი მეხსიერებას ზეცნებად განიხილავს, რომელსაც ორ ქვეცნებად ანაწევრებს: კომუნიკაციურ მეხსიერებად და კულტურულ მეხსიერებად.

**მეხსიერება** ყოველთვის კონკრეტულ სოციუმთან მომართებით და კონკრეტულ დროში განიხილება. ეთნოლოგი იან ვანსინა, იკვლევდა რა დამწერლობის არმქონე ერების ზეპირი გადმოცემის ისტორიულობის საკითხს<sup>17</sup>, აღნიშნავდა,

---

<sup>16</sup> ob. Aleida Assmann/Dietrich Hart (Hrg.): *Mnemosyne. Formen und Funktionen der kulturellen Erinnerungen*, Frankfurt a/M, 1991, S. 289.

<sup>17</sup> ob. Jan Vansina, *Oral Tradition. A Study in Historical Methodology* (Translated from the French by H. M. Wright). London: Routledge & Kegan Paul, 1965.

რომ თუ ორალური ლიტერატურის მთლიან კორპუსს განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ მეხსიერება სამ ეტაპად არის დაყოფილი:

1. უახლესი ისტორიული ფაქტები;
2. ისტორიული ფაქტები;
3. უძველესი ისტორია, რომელიც ხშირად გენეზის (წარმოშობის ისტორიას) უტოლდება.

აქედან, პირველი და უკანასკნელი ეტაპი მეხსიერებაში კარგად შენახული ფაქტების კონგლომერატს წარმოადგენს, შეალებული ეტაპი კი, როგორც წესი, ერთგვარ სიცარიელეს ქმნის და მას ი. ვანსინა „მოძრავ სიცარიელეს“ (“The floating Gap”) უწოდებს. (შდრ. ისტორიკოსების ტერმინი “შავი პერიოდი” Dark Age).

მეხსიერების ეს ორი, უძველესი და უახლესი ეტაპი, მეხსიერების ორ განსხვავებულ ჩარჩოს ქმნის და ერთმანეთოსაგან კატეგორიალური თვალსაზრისითაც განსხვავდება. არსებითად აქ მეხსიერების ორ ფორმასთან გვაქვს საქმე: უძველესი ფორმა ქმნის კულტურულ მეხსიერებას, უახლესი კი – კომუნიკაციურ მეხსიერებას.

## 7. კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერება და მისი ობიექტივიზაცია

კომუნიკაციური მეხსიერება აერთიანებს იმ მოგონებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხალ წარსულს მიემართება. ეს ის მოგონებებია, რომელსაც ინდივიდი თავის თანამედრო-

ვეებთან ერთად ფლობს, რომელსაც მათთან ერთად ინაწილებს. მას შეიძლება თაობათა მეხსიერება ვუწოდოთ, რომელიც, როგორც წესი, 3-4 თაობის მეხსიერებაა. კომუნიკაციური მეხსიერება იბადება თაობათა მოცემულ დროში და ქრება მასთან, როგორც მეხსიერების მატარებელთან, ერთად.

**კოლექტიური** მოგონება-მეხსიერება ბიმოდალურია: იგი ფუნქციონირებს ფუნდამენტური მოგონებებისა და ბიოგრაფიული მოგონებების სახით.

**ფუნდამენტური** მოგონებების მოდული უწყვეტია, როგორც დამწერლობის მქონე, ისე დამწერლობის არმქონე ერგბის მეხსიერებაში და ვერბალური და არავერბალური ფორმის მყარი ობიექტივაცია ახასიათებს. მათ მიეკუთვნება: რიტუალები, ცეკვები, მითები, ტრადიციული ტანსაცმელი, სამკაული, მხატვრობა, ლანდშაფტი, ყველა სახის ნიშანთა სისტემა, რომელსაც ადამიანი მნემოტექნიკის საშუალებით (მოგონება + თვითიდენტიფიკაცია) შემნახველ ყეთში – „მემორიაში“ ინახავს. მნემოტექნიკა საშუალებას აძლევს სოციუმს უკათესად შეინახოს და გადასცეს რელევანტური ინფორმაცია.

**კულტურული** მეხსიერება ემყარება შორეულ ისტორიას, უფრო სწორად, ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც, როგორც წესი, მოგონებებში ტრანსფორმირდება, ფაქტობრიობას კარგავს და მითად იქცევა. მას საკრალურობის ელფერი დაპკრავს, ხშირად რელიგიურ შინაარსს იძენს და საზეიმო ნიშნები უჩნდება. აქედან გამომდინარე, კულტურული მეხსიერება ყოველდღიურობის ელფერს მოკლებულია, იგი ამაღლებული, საზეიმო რიტუალია და ამდენად პოლარულია კომუნიკაციური

მეხსიერებისა, რომელსაც ყოველდღიურობის ელფერი და-  
ჰქონდა.

კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერება ერთმა-  
ნეთისაგან რამდენიმე არსებითი, კატეგორიალური ნიშნის  
მიხედვით განსხვავდება:

1. **კომპეტენტურობა** - კომუნიკაციური მეხსიერების მა-  
ტარებელი ერთნაირად კომპეტენტურია. კულტურული  
მეხსიერების შემთხვევაში კი მატარებლის მონაწილე-  
ობა მკვეთრად დიფერენცირებულია: ყველას არ ძა-  
ლუმს აქტიური მონაწილეობა მიიღოს კულტურული  
მეხსიერების შექმნა-გააქტიურების პროცესში. ეს გან-  
საკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს შე-  
უძლიათ: შამანებს, ბარდებს, გრიოტებს, ისევე რო-  
გორც მღვდლებს, მასწავლებლებს, მთხრობლებს, ხე-  
ლოვანებს და ყველას, ვინც ცოდნის მატარებლად და  
გადამცემად მიიჩნევა.
2. **მონაწილეობის სარისხი** – კომუნიკაციური მეხსიე-  
რების შემთხვევაში მეხსიერების მატარებელთა მონა-  
წილეობა დიფუზურია, კულტურული მეხსიერების შე-  
მთხვევაში კი – დიფერენცირებული.
3. **დროითი ასპექტი** - დროით განხომილებაში კომუ-  
ნიკაციური მეხსიერება ყოველდღიურობაზეა გათვალი-  
ლი, კულტურული მეხსიერება კი – მრავალსაუკუ-  
ნოვან, ტრადიციულ საზეიმო რიტუალურზე.
4. **სოციალური ასპექტი** – სოციალურ ასპექტში კულ-  
ტურულ მეხსიერებაზე სოციალური ელიტა ზრუნავს:  
მას უფლება აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის

შექმნაში, მაგრამ ამავე დროს გალდებულია კიდეც მე-  
ხსიერების აქტუალიზაციაზე; კომუნიკაციური მეხსიე-  
რება კი სოციალური ჯგუფის თითოეული წევრის აქ-  
ტივობაზეა დამოკიდებული და აქედან გამომდინარე,  
ჯგუფური ხასიათისაა.

ინდივიდების კომპეტენცია და მათი თანამონაწილეობა  
კომუნიკაციური მეხსიერების შექმნის დროს განსხვავებულია,  
სოციუმის ერთმა წევრმა მეტი იცის, ვიდრე მეორემ.  
მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის ცოდნა უახლოეს  
წარსულზე უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ახალგაზრდებისა,  
თითოეულის თანამონაწილეობა კომუნიკაციური მეხსიერების  
შექმნაში მაინც შეუზღუდვავია. აქ არ არსებობენ სპეციალის-  
ტები და ექსპერტები. არც არის საჭირო – ჯგუფის წევრები  
ყოველდღიურად მონაწილეობენ ამ პროცესში ყოველგარი  
გალდებულებისა და პასუხისმგებლობის გარეშე. ის ცოდნა,  
რაც მათ მოეთხოვებათ, თითქმის ენის ათვისებასთან ერთად  
„შეიწოვება“ და ყოველდღიურ საკომუნიკაციო აქტში მყარდე-  
ბა.

კულტურული მეხსიერების შექმნა-შენახვაში თანამო-  
ნაწილეობა გამორჩეული ადამიანების ხვედრია. მთქმელების  
თავდაპირველი ფუნქცია დამწერლობის არმქონე ენებისათვის  
სწორედ კულტურული მეხსიერების ახალი თაობებისათვის  
გადაცემა და მათი შენახვაა. შესაბამისად, ერთმანეთისაგან  
უნდა განვასხვაოთ მეხსიერების **თანამონაწილე** და მეხსიერე-  
ბის **მატარებელი**. კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერე-  
ბა ამ თვალსაზრისითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. კომუნიკაციური მეხსიერების შემთხვევაში სოციალური ჯგუფის თითოეული წევრი იმავდროულად თანამონაწილე და მატარებელია;
2. კულტურული მეხსიერების შემთხვევაში სოციალური ჯგუფის წევრები მეხსიერების თანაბრად მატარებელი არიან, მაგრამ მათი თანამონაწილეობაა განსხვავებული: მხოლოდ გამორჩეულ წევრებს აქვთ უფლება (და ამავე დროს ნებელობითი ვალდებულება) მონაწილეობა მიიღონ კულტურული მეხსიერების შექმნასა და შენარჩუნებაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების ასმანისეული შეპირისპირება ხუთი არსებითი ნიშის მიხედვით:

1. მეხსიერების შინაარსი;
2. მეხსიერების ფორმა;
3. მედიალური საშუალებები;
4. მეხსიერების სანგრძლივობა;
5. მეხსიერების მატარებელი:<sup>18</sup>

მეხსიერების თითოეული ფორმისათვის გადამწყვეტი კრიტერიუმებია: შინაარსი, ფორმა, მედია, დროის ხაზი და მატარებელი.

---

<sup>18</sup> Jan Assmann, *Das kulturelle Gedächtnis. Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen*, 6. Auflage. Beck, München 2007, S. 56.

<b>კრიტიკული</b>	<b>კომუნიკაციური მეხსიერება</b>	<b>გულტურული მეხსიერება</b>
შინაარსი	საკუთარ ბიოგრაფიაზე და-მყარებული ისტორიული გა-მოცდილება	მითიური წარსული, მო-ვლენები აბსოლუტური წარსულიდან
ფორმა	არაფორმალური, ნაკლებად სტრუქტურირებული, ინტერ-აქციასა და ყოველდღიურ სა-ქმიანობაში გამოყენებული განსხვავებული ფორმები	მკაცრად სტრუქტურირე-ბული და გაფორმებული, ცერემონიალური, საზეიმო ფორმატის შესაბამისი
მედია	ორგანული მეხსიერების ცო-ცხალი მოგონებები, დამყარე-ბული საკუთარ და სხვათა გამოცდილებებზე	მყარი ობიექტივაცია, ტრა-დიციულ-სიმბოლური კო-დირება ინსცენირებული სიტყვაში, ხატში, მელოდი-აში, ცეკვაში (ბეგერა, ფერი, მოძრაობა).
დროის ხაზი	80-100 წელი, 3-4 თაობის უშუ-ალო გამოცდილებით ნიშან-დებული	აბსოლუტური წარსული მითური ძველი დროიდან
მატარებელი	არასპეციფიკური, უახლესი ისტორიის მატარებელი მე-ხსიერების სოციალური ჯგუ-ფის წევრი	სპეციფიკური, აბსოლუტუ-რი (და უახლოესი) ისტო-რიისა და ტრადიციების მატარებელი ინდივიდი

დამწერლობის არმქონე ერებში იდენტობის განმსაზღვრელი ცოდნის შენახვის ერთადერთი გზა ადამიანთა კო-ლექტიური მეხსიერებაა. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მთლიანობა და ქცევაზე ორიენტირებული (ნორმატიული და ფორმალური) იმპულსები, კოლექტივს უნდა შეეძლოს:

1. ცოდნის შენახვა (ცოდნის არქივირება);
2. საჭიროების შემთხვევაში ცოდნის გამოყენების  
ინტენსივობა (ცოდნის აქტუალიზება);
3. ცოდნის მომავალი თაობისათვის გადაცემა  
(ცოდნის ტრანსმისია).

ჯგუფის იდენტობის შესანარჩუნებლად რელევანტური ცოდნის შენახვა კულტურული მემკვიდრეობის სპეციალური ფორმით ხორციელდება და უპირველეს ყოვლისა, მნემოტექნიკური დანიშნულებით გამოიყენება.

**კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ცოდნა, მულტიმედიალური ინსცენირების სხვადასხვა ფორმით რეალიზდება – ტექსტი ხმის, მიმიკის, ჟასტიკულაციის, ცეკვის, რიტმიკის და რიტუალური ქცევის თანხლებით და, როგორც წესი, კოლექტიური თანამონაწილეობით ხორციელდება.**

**თანამონაწილეობა კულტურული მემკვიდრეობის გადაცემა-მიღების განხორციელებისათვის აუცილებელია. რიტუალებსა და დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება, როგორც იდენტობისათვის რელევანტური ცოდნის გადაცემის უველავე ეფექტური საშუალება, კულტურული იდენტიფიკაციის რეპროდუციონებას იწვევს და აქვთ გამომდინარე, ეთნიკური იდენტიფიკაციის შენარჩუნებას უწყობს ხელს.**

**კულტურული მეხსიერების ფიგურა, არცოუიშვილითად, გარკვეული გარემო, გეოგრაფიული ადგილი ან ლანდშაფტი შეიძლება იყოს. ამ ტიპის ფიგურებს კულტურული მეხსიერების ტოპოგრაფიული „ტექსტი“ – მნემოტოპი ეწოდება. მნემოტოპებად მიიჩნევა ის ადგილები, რომლებსაც სოციუმი განსაკუთრებულ ადგილს მიაკუთვნებს კოლექტიურ**

მეხსიერებაში, ვინაიდან მას უკავშირებს საკუთარ იდენტობას. ასეთია მაგალითად, ე.წ. ტოტემური ლანდშაფტები ავსტრალიაში – ავსტრალიელი აბორიგენების მოგზაურობა ტოტემურ ადგილებში, საკუთარი იდენტობის აქტუალიზაციის მიზნით. ტოტემური ლანდშაფტი ავსტრალიელი აბორიგენების კოლექტიურ მეხსიერებაში მნემოტოპის ფუნქციას ასრულებს. იერუსალიმიც მნემოტოპს წარმოადგენს – იქ მოსალოცად წასვლა ნებისმიერი ქრისტიანისათვის ოცნებაა, ვინაიდან რელიგიური იდენტობის გააქტიურებას უწყობს ხელს.

**მნემოტოპი** მხოლოდ ისტორიული ადგილი არ არის. მნემოტოპები იქმნება თანამედროვე საზოგადოებაშიც. ამის საინტერესო მაგალითია ევროპული კულტურის მნემოტოპის შექმნის კონცეფცია, რომელიც კულტურული ტურიზმის ფარგლებში აღმოცენდა და მიზნად ისახავს ევროპის, როგორც ევროპული კულტურის კონტინუუმის, როგორც მეხსიერების ლანდშაფტის ანუ მნემოტოპის შემოტანას. ვროპული კულტურული ტურიზმის ფარგლებში ტურისტული მარშრუტები ისეა შემუშავებული, რომ წარმოაჩინოს ევროპის, როგორც ძულტურული კონტინუუმის (ანუ ევროპული კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების) ერთიანი სურათი და არა როგორც მატერიალური კულტურის ცალკეული ძეგლების გეოგრაფიული კონგლომერატი.

იმისათვის, რომ გაადვილდეს ძულტურული ტრანსმისია, ინფორმაციის თაობიდან თაობაზე გადაცემის სხვადასხვა მედიუმი გამოიყენება, როგორც მატერიალური, ისე სულიერი

კულტურის სფეროდან. ერთ-ერთ ასეთ მედიუმს წარმოადგენს ენა. სწორედ ენაში არქივირდება სოციუმის (ერის / ეთნიკური ჯგუფის) კულტურული და ეროვნული მეხსიერება. ენის დოკუმენტირება, აქედან გამომდინარე, მეხსიერების ამ ფორმების დოკუმენტირების ტოლფასია – ენის დოკუმენტირებაში იგულისხმება ენისა და კულტურის დოკუმენტირებაც.

## **8. იუნესკოს კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ**

ენა, როგორც სოციუმის არსებობის განმსაზღვრელი კომპონენტი, კულტურის ფენომენს წარმოადგენს. მატერიალური კულტურა, როგორც კულტურის ბინარული სისტემის ოპოზიციური ცნება, სულიერ კულტურასთან ერთად ერის კულტურულ პარადიგმას ქმნის. ამ ბინარული სისტემის შემცველი თითეული ცნება კულტურის მატერიალურად და სულიერად დაყოფის შედეგად გაჩნდა. მატერიალური კულტურა აღნიშნავს „ყოველგვარ მატერიალურ საგანს, აგრეთვე, გამოგონებებსა და ცვლილებებს ტექნოლოგიის განვითარების პერიოდში. მატერიალური კულტურის ცნებით ხშირად უპირისპირდებიან სულიერი კულტურის ცნებას, მაგრამ ამგვარ დაპირისპირებას შედარებითი ხასიათი აქვს, რამდენადაც კულტურის ნებისმიერი ფენომენი სემიოტიკური ქმნილებაა. მატერიალური კულტურის საგნები ადამიანთა ცხოვრებაში ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ისინი პრაქტიკული მიზნების მიღწევის,

მეორე მხრივ კი სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის საშუალებებია. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ მხოლოდ მეორე ფუნქციის მეშვეობით იქცევიან ისინი კულტურის ფენომენებად<sup>19</sup>.

**არამატერიალური ანუ სულიერი კულტურა კულტურის ბინარული სისტემის მეორე კომპონენტს შეადგენს და მატერიალურ კულტურასთან ერთად ერთს კულტურულ პარადიგმას ქმნის. იგი ერთს შემოქმედებაშია განივთებული, თაობიდან თაობას გადაეცემა ენობრივი (ნარატიული) ფორმების, ცეკვის, სიმღერის, რეწვის, რიტუალების, წარმოდგენების სახით.**

**კულტურა კაცობრიობის არსებობის აუცილებელ ატ-რიბუტს წარმოადგენს. მისი (განსაკუთრებით არამატერიალური კულტურის) დაცვა და შენარჩუნება კაცობრიობის შემდგომი არსებობის სტრატეგიული აუცილებლობაა. საერთაშორისო დონეზე მისდამი ზრუნვის გამოვლინება იყო 2003 წლის 17 ოქტომბერს იუნესკოს მიერ მიღებული კონვენცია არამატერიალური (სულიერი) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 20 აპრილს.<sup>20</sup>**

<sup>19</sup> სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა დექსიკონი-ცნობარი, ლოგოს პრესი, თბილისი, 2004 (რედ.: მარინე ჩიტაშვილი).

<sup>20</sup> <http://www.unesco.org/culture/ich/en/states-parties-00024>

The screenshot shows the official website of the Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage (2003) on the UNESCO website. The main title is "The States Parties to the Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage (2003)". Below the title, it says: "The Convention entered into force on 21 April 2006 for the forty States that had ratified it on or before the 20 January 2006. With respect to any other State, the Convention enters into force on the day of its ratification, subject to the deposit of ratification, acceptance, approval or accession." A note indicates that the following list of States is presented by electoral group and provided for easy reference, but has no official status. The list is organized into two columns: "GROUP I/II STATES" and "TERMS OF OFFICE".

GROUP I/II STATES	TERMS OF OFFICE
Andorra	
Austria	
Bolivia	Council of State Member: 2012-2016
Croatia	
Denmark	
Finland	

აღნიშნულ კონვენციას, რომელსაც 2016 წლის მონაცემების მიხედვით 163 ქვეყანა აღიარებს, 2008 წლის 18 მარტს საქართველოც შეუერთდა.

სულიერი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით იუნესკომ შეიმუშავა არამატერიალური მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრი, რომელიც სამი ტიპის სიას მოიცავს:

1. წარმომადგენლობითი (რეპრეზენტაციული) სია, რომელიც არამატერიალური კულტურის მრავალფეროვნებას ასახავს მსოფლიო მასშტაბით;
2. განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების სია, რომელიც არამატერიალური კულტურის იმ კულტურულ ფორმებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას, მუდმივ ყურადღებას საჭიროებს, ვინაიდან გაქრობის საშიშროება ემუქრებათ;

3. სამაგალითო აქტივობების სია, რომელშიც აღრიცხულია ის პროექტები თუ აქტივობები, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და მისაბაძია, რადგან მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა არამატერიალური კულტურის ობიექტების არა მარტო შენარჩუნება, არამედ მათი რევიტალიზაცია – დაცვა, შემდგომი განვითარება და თაობიდან თაობისთვის გადაცემის მექანიზმის შექმნა.<sup>21</sup>

**კულტურა, როგორც ბინარული სისტემის ორივე კომპონენტის** (როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის) ერთობლიობა, არის ფორმები, რომელიც ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ძალისხმევით არის შექმნილი. იგი განსხვავდება ადამიანის გარემომცველი ბუნებისაგან, რომელიც ადამიანის ძალისხმევის გარეშე არსებობს. ბუნების შემადგენელ კომპონენტებზე, ბუნებრივ მოვლენათა ან პროცესთა განვითარებაზე ადამიანის ჩარევის შემთხვევაში უკავ პულტურული ფენომენი იქმნება. სწორედ ამიტომა, რომ ვსაუბრობთ ქართველის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ვაზის კულტურისადმი, ვინაიდან საქართველოში ვაზის სხვადასხვა ჯიშის გამოყვანისა და მოვლის საუკუნეობრივი გამოცდილება კულტურის

---

<sup>21</sup> დღეისათვის 12 ასეთი პროექტი არის ამ სიაში შესული, მათ შორისაა ზარების ტრადიციული მუსიკა ბელგიიდან (Carillon-music), უნგრეთსა და ტრანსილვანიაში გავრცელებული ხალხური ცეკვების რევიტალიზაციის მეთოდი, ფუჯიანის თოჯინების თეატრის რევიტალიზაცია (ჩინეთი) და ა.შ.

განუყოფელი ნაწილია. მეტიც, იგი ქართველი ერის მენტალობის განუყრელ კომპონენტად არის ქცეული.

**ბუნება,** როგორც თავისთავად მოცემული გარემო და **კულტურა,** როგორც ადამიანის ძალისხმევით შექმნილი მატერიალური ან სულიერი ფასეულობა, კაცობრიობის არსებობისა და განვითარების სუბსტანციურ კომპონენტს წარმოადგენს და ადამიანის გეოგრაფიული, სოციალური და ფსიქოლოგიური ყოფიერების ქვაკუთხედს ქმნის. **კულტურა** ახდენს ამ კულტურის მქონე ჯგუფების ეთნიკურ, სოციალურ, რელიგიურ და სხვა ნიშნების მიხედვით დეტერმინირებას და თაობიდან თაობას გადაეცემა **კულტურული მეხსიერების** სახით.

**კულტურის,** როგორც ცნების, განსაზღვრება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. ამ ცნების შინაარსი იცვლებოდა, ერთი მხრივ, კაცობრიობის არსებობის ქრონოლოგიურ დერძზე ეპოქისდა შესაბამისად – კაცობრიობის განვითარების ანუ მისი ისტორიული და **კულტურული** გამოცდილებისდა შესაბამისად და, მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრებოდა **კულტურა** მეცნიერების გადასახედიდან, განსაკუთრებით საკითხის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით.

**კულტურა,** როგორც ცნებათა სისტემის კომპონენტი, შეიძლება განვიხილოთ აღწერით ცნებად – მოცემულ კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებულ ფენომენად და **ნორმატიულ ცნებად** – კულტურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კომპონენტთა საგალდებულო ერთობლიობად. ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებამ, ერთი

მხრივ და მენტალური და ინფორმაციული რესურსების გაცვლის თანამედროვე საშუალებებმა (მათ შორის მზარდმა მიგრაციულმა პროცესებმა), მეორე მხრივ, საყოველთაო გლობალიზაციას შეუწყო ხელი. კულტურათა ინტენსიურმა გაცვლამ კულტურული გლობალიზაცია გამოიწვია. კულტურათა ურთიერთგაცვლის თანამედროვე ფორმებმა კულტურათა შერევის პროცესს დაუდო სათავე და კულტურების კრეოლიზაცია გამოიწვია. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიგრაციულ ქვეყნებში: მიგრანტები ცდილობენ, ერთი მხრივ, საკუთარი კულტურის შენარჩუნებას, მეორე მხრივ, ახალ კულტურულ გარემოში ინტეგრირებას, რის შედეგადაც იქმნება ერთგვარი კულტურული სიმბიოზი. ორი კულტურის შერევის შედეგად წარმოიქმნება ახალი კულტურული ფორმები, რომლებიც მხოლოდ მიგრანტთა მოცემული სოციუმისთვის არის დამახასიათებელი. ევროპაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ფონზე კულტურების კრეოლიზაციის პროცესი თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთ საკვანძო საკვლევ თემას წარმოადგენს.<sup>22</sup>

კულტურათა კრეოლიზაცია, რომელიც შედარებით ტაბუირებულ თემას წარმოადგენდა მაგალითად, ევროპის განვითარებული, ცივილური საზოგადოებებისათვის, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების თანმდევი პროცესია; იგი თანამედროვე

---

<sup>22</sup> Fatima El-Tayeb, *The Forces of Creolization. Colorblindness and Visible Minorities in the New Europe*, Françoise Lionnet/Shu-mei Shi (eds.), The Creolization of Theory, Duke University Press, 2011.

კომუნიკაციის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს და კაცობრიობის განვითარების არსებითი მახასიათებელი თვისებაა.

კულტურათა შერევა არ ხორციელდება მომენტალურად, იგი ხანგრძლივი პროცესია და მისი არსის აღწერა მულტიდისციპლინურ და ამასთან, დიაქრონიულ კვლევას მოითხოვს. აჭარის რეგიონი ამ თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო რეგიონს წარმოადგენს: ისლამურ კულტურასთან მისი ოთხსაუკუნოვანი კონტაქტის შედებად ამ რეგიონში ჩამოყალიბდა კულტურული სიმბიოზი, რომელიც აჭარაში მცხოვრებ მულტიეთნიკურ (და შესაბამისად, მულტილინგვალურ და მულტიეულტურულ) მოსახლეობაში არაერთგვაროვან სურათს ქმნის. სწორედ ამ კულტურული სიმბიოზის კვლევას ისახავდა მიზნად საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“, რომელიც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა ბათუმის უნივერსიტეტში ფრანკურტის უნივერსიტეტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. არქივი ჩაფიქრებულია, როგორც ქართული ენის ზეპირმეტყველების რესურსების უახლესი ტექნოლოგიებით დამუშავებისა და არქივირების თანამედროვე შესაძლებლობა.

### თავი III

## ინფორმაციის ტრანსმისია და მისი მნიშვნელობა ისტორიული და კულტურული მექსიერებისათვის

წინა თავში ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ კულტურის ფენომენის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ კულტურა არის სოციალური მემკვიდრეობა, ის, რაც საზოგადოების განვითარების პროცესში თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სოციუმის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული და ტრადიციად ქცეული ცოდნა; ანუ სოციალური მემკვიდრეობა არის სოციალური ტრადიცია. იქვე აღვნიშნეთ, რომ კულტურის გადაცემა არის ერთგვარი პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურა გადადის მომდევნო თაობებზე არაგენეტიკური ანუ სწავლების გზით. ეს პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც კულტურული ტრანსმისია.

განუსაზღვრელია კულტურული ტრანსმისიის როლი დამწერლობის არმქონე ერების შემთხვევაში, ვინაიდან ერის იდენტობის განმსაზღვრელი ცოდნა ერთადერთი გზით – ადამიანთა კოლექტიური მექსიერების მეშვეობით ინახება. კულტურული იდენტობის (ფართო გაგებით) უწყვეტობა დამოკიდებულია იმაზე, შეუძლია თუ არა ამა თუ იმ სოციუმს

შეინარჩუნოს მთლიანობა და ქცევაზე ორიენტირებული (ნორ-მატიული და ფორმალური) იმპულსები, კერძოდ, შეუძლია თუ არა კოლექტივს:

1. ცოდნის შენახვა (**ცოდნის არქივირება**);
2. საჭიროების შემთხვევაში ცოდნის გამოყენება (**ცოდნის აქტუალიზება**);
3. ცოდნის მომავალი თაობისათვის გადაცემა (**ცოდნის ტრანსმისია**).

საგულისხმოა, რომ აქ დასახელებული სამი კომპონენტი შედარებით პატარა სოციალური ჯგუფებისთვისაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, ვინაიდან სწორედ მათთვის არის დამახასიათებელი მექანიზმების სპეციფიური ფორმა - კომუნიკაციური მექანიზმება.

**კომუნიკაციური მექანიზმება**, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აერთიანებს უახლოესი წარსულის მოგონებებს. ამ მოგონებებს ინდივიდი თავის თანამედროვეებთან ერთად ფლობს და მათთან ერთად ინაწილებს. ამიტომ მას **თაობათა მექანიზმება** ვუწოდეთ ზემოთ. თაობათა მექანიზმება, როგორც წესი, 3-4 თაობის მექანიზმებაა. კომუნიკაციური მექანიზმება იბადება თაობათა მოცემულ დროში და ქრება მასთან, როგორც მექანიზმების მატარებელთან, ერთად.

ზემოთ ვთქვით და აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ **კოლექტიური მოგონება-მექანიზმება** ბიმოდალურია: იგი ფუნქციონირებს ფუნდამენტური მოგონებებისა და ბიოგრაფიული მოგონებების სახით. ქვემოთ ჩვენ საგანგებოდ ვიმსჯელებთ ლინგვისტულტუროლოგიური დიგიტალური არქივის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ

მაგალითზე, რომელიც სწორედ კომუნიკაციური მეხსიერების ერთ-ერთ კერძო შემთხვევას - ინფორმაციის ტრანსმისიის საკითხს იკვლევს ერთი გვარის მაგალითზე.

## 1. საგვარეულო ისტორიის კვლევა ზემო აჭარის ერთი ოჯახის მაგალითზე

ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წინამდებარე პროექტში ჩვენთვის წარმოადგენდა ზეპირი ისტორიების მოპოვება ინფორმაციის ტრანსმისიის კვლევის მიზნით, მნემოტექნიკის გამოყენების შემთხვევები და მნემოტოპები. როგორც ცნობილია, კომუნიკაციური მეხსიერება თაობათა მეხსიერებაა, რომელიც ინდივიდუალური ისტორიების თაობიდან თაობაზე ინფორმაციის გადაცემის - ტრანსმისიის გზით ინახება. კვლევის მეთოდის ეფექტურად გამოყენების მიზნით მასალების შეკრების დროს საგანგებოდ ამ საკითხის საკვლევად ამოვირჩიეთ ხალვაშების ოჯახი ზემო აჭარიდან, რომელიც მრავალრიცხოვნობითა (5 თაობა წარმოდგენილი 54 პირით<sup>23)</sup> და საინტერესო ბიოგრაფიით გამოირჩეოდა.

ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ინტერვიუების ჩაწერის შემდეგ საინტერესო ბიოგრაფიული სურათი გამოიკვეთა, რომელიც ლიტერატურული ქსეს სახით ასე შეიძლება გადმოვცეო:

---

<sup>23</sup> აქ არ იგულისხმებიან ამ გვარის მეხუთე და მეექვსე თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც არასრულწლოვანები არიან.

ოჯახის დიდი ბაბუა გულა დაქორწინებული იყო გაბაიძების გვარის ქალზე, ფადიმეზე. მათ შეეძინათ სამი ვაჟი: ხაშიმი, იროდი და გენადი. მეტი ადრე დაობლდნენ, მამა საყოველთაოდ გავრცელებულმა ავადმყოფობამ (სავარაუდოდ ტიფმა) იმსხვერპლა. ბებიამ (თუნთი ნენე) დაქვრივებული ფადიმე, მიღებული ტრადიციის შესაბამისად, იძულებით გაათხოვა სხვა სოფელში. დაობლებული ბავშვები ბებიასთან დარჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ობლად დარჩენილი მცირეწლოვანი ბავშვების მოსამსახურებად გაცემა გავრცელებული იყო აჭარაში, ბებიამ არავის გაატანა ობლები. თავად ბებია, თუნთი ნენე, იშხნელიძის ქალი, ასაკში შესული იყო და გადაადგილება უჭირდა, მაგრამ ობლებს კერა არ მოუშალა და მამისეულ ოჯახში გაზარდა შვილიშვილები. უფროსი მმა მაშინ 9 წლის იყო და ფაქტობრიგად მამობას უწევდა უმცროს მმებს. მიუხედავად იმისა, რომ მას ადრე მოუწია სამუშაოდ გასვლა და ვერ ისწავლა სკოლაში, სხარტი აზროვნებითა და გონიერებით გამოირჩეოდა. სწორედ მან იზრუნა იმაზე, რომ მის იმცროს მმებს სკოლაში ესწავლათ და შემდეგ უმაღლესი განათლება მიეღოთ. შუათანა მმა შემდგომში ხულოს რაიონის აღმასკომის მდივანი გახდა, ხოლო უმცროსი - ხიხაძირის თემის საბჭოს თაგმჯდომარე. ხაშიმმა ცოლად შეირთო დუმბაძეების ქალი მიკრი და შუათანა მმას თავისი ცოლისდა - ინუსი გაურიგა (ანუ მმებს დები ჰყავდათ ცოლად). უმცროსი მმა სიყვარულით დაქორწინდა, მაგრამ შვილი არ შეეძინათ. 30 წლის ცოლქმრობის შემდეგ, თავად ცოლის ინიციატივით მან მეორე ცოლი, ბევრად ახალგაზრდა დაქვრივებული ქალი შე-

ირთო, რომელთანაც 7 შვილი გაუჩნდა. პირველი ცოლი ოჯახში დარჩა და მეორე ცოლს ეხმარებოდა შვილების გაზრდაში. ბავშვები, რომლებმაც არ იცოდნენ ეს ისტორია, ასაკობრივი სხვაობიდან გამომდინარე, პირველ ცოლს ბებიას ეძახდნენ, ხოლო მეორე ცოლს კი - დედას. სამივე მმას 7-7 შვილი გაუჩნდათ. უფროს მმას 7 ვაჟი შეეძინა: რევაზი, არჩილი, მამია, ტემუბები იოსები და ვლადიმერი, გივი და მიხეილი. 1948 წელს, აჭარის მთავრობის თაგმჯდომარის, მამია გოგოლიშვილის ინიციატივით, მთელს აჭარაში თურქელი სახელების ქართული სახელებით ჩანაცვლების კამპანია დაიწყო. საშიმის უფროს ვაჟებსაც თავდაპირველი თურქელი სახელები<sup>24</sup> ქართული სახელებით შეუცვალეს. სახელმწიფო დავალებით ეს პროცესი იმ პერიოდში მთელ მთიან აჭარაში განხორციელდა სკოლის ფარგლებში.<sup>25</sup> სკოლებში დაიგზავნა ქართული სახელების სია და სკოლის მოსწავლეებს საშუალება პქონდათ, თავად აერჩიათ ქართული სახელი. გულამ რევაზი დაირქვა, აჭმედმა - არჩილი, მემედმა - მამია, იუსუფმა - იოსები, ჰასანმა - ვლადიმერი. სხვათა შორის, საგულისხმო ისტორია არის შემორჩენილი ტყუპების სახელების გადარქმევასთან დაკავშირებით: სკოლის მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ ტყუპებს უნდა დარქმეოდათ იოსები და ვლადიმერი, იოსებ სტალინისა და ვლადიმერ ლენინის საპატივცემულოდ. გზაში

<sup>24</sup> საგულისხმოა, რომ ეს წესი უფროს ვაჟიშვილზეც გავრცელდა მიუხედავად იმისა, რომ მას ქართული სახელი - გულო ერქვა. ვინაიდან უმცროსი ვაჟები ამ აქციის შემდგომ დაიბადნენ, მათ თავიდანვე ქართული სახელები დაარქვეს: გივი და მიხეილი.

<sup>25</sup> წყარო: ზეპირი ისტორია.

ძმებს ჩხუბი მოსვლიათ, ორივე ძმას იოსები უნდოდა, რომ რქმეოდა. საბოლოოდ დავა იუსტიციის სასარგებლოდ გადაწყვდა სახელის პირველი ასოს შესაბამისობიდან გამომდინარე. ხაშიმი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და მოსიყვარულე მამა იყო. არათუ შვილები, არამედ შვილიშვილებიც თითქმის აღმერთებდენ მას და დღემდე მაგალითად ჰყავთ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა. ხაშიმიც და მაპრიც სოფელში გულისხმიერებითა და ქველმოქმედებით გამოიჩინებინენ. ხაშიმი ხელმარჯვეობით იყო ცნობილი. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. სოფელში წყლის მომარაგების პრობლემა იყო. ხაშიმმა არა მარტო თავისთვის გამოიყვანა წყალი, არამედ სოფელსაც გამოუყვანა. მიპრის კერვა ეხერხებოდა და ზინგერის ფირმის საკერავი მანქანით, რომელიც მას ქმარმა აჩუქა და როგორც შთამომავლები გვიამბობენ, ზურგით აუტანა სახლში, სოფლის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი დარიბი ოჯახის ბავშვებს ტანსაცმელს უკერავდა და მოსავდა. ხაშიმისა და მიპრის შვილებიდან ყველამ მიიღო უმაღლესი განათლება. მათ შორის ერთი უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, ერთი - რაიონში ცნობილი ქქიმი, ორი მათგანი - სკოლის დირექტორი, ერთიც - სამხედრო პირი, ერთმა მათგანმა, რომელიც რუსულის სპეციალისტი იყო, „გეგხისტყაოსანი“ თარგმნა რუსულად. ხაშიმი თვლიდა, რომ ისტორიულად ქრისტიანები იყვნენ აჭარლები და მაპმადიანობას არ აღიარებდა, თუმცა მაპმადიანი მეუღლის რწმენას პატივს სცემდა და არ უკრძალავდა რელიგიის მსახურებას. ზოგადად, ეს ოჯახი რელიგიური ტოლერანტობით გამოიჩინდა: ხაშიმის შვილების უმეტესობას მაპმადიანი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ცოლების რწმენას პატივს სცემდნენ და

შვილებსაც თავად მისცეს არჩევანის უფლება, თუ რომელ რელიგიას გაჰყოლოდნენ.

## 2. ინფორმაციის ტრანსმისიის სტრუქტურული ანალიზი

ზემოთ აღწერილი ოჯახის ისტორიიდან ჩვენ რვა ფაქტი ანუ მეხსიერების რგა ელემენტი ავირჩიეთ და პირადი ინტერვიუებისა და შემდგომ ჩაღრმავებული ინტერვიუების მეშვეობით შევეცადეთ შეგვესწავლა ინფორმაციის ტრანსმისიის საკითხი თაობებში. ეს ელემენტებია:

1. **დიდი ბაბუის გარდაცვალების ისტორია**
  - გულა ახალგაზრდა გარდაიცვალა ავადმყოფობით;
2. **დიდი ბაბუის შვილების (3 მმა) დაობლების ისტორია**
  - მმები მცირებულოვანნი დაობლდნენ;
3. **დაქვრივებული ქალის გათხოვების ისტორია**
  - ბავშვების დაქვრივებული დედა, ფადიმე, ოჯახმა გაათხოვა ისე, რომ შვილები არ გაუტანებია;
4. **ობლების გაშვილების მცდელობის ისტორია**
  - მცირებულოვანი მმები ბებიამ არ გააშვილა და თავად გაზარდა;
5. **ორცოლიანობის ისტორია**
  - უმცროს მმას, გენადის, ჰყავდა ორი ცოლი, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ ოჯახში;
6. **სახელების გადარქმევის ისტორია**
  - ოჯახში ბავშვებს მუსლიმური სახელები გადაარქვეს - ქართულით შეუცვალეს;

## **7. წინაპრების ქველმოქმედება**

- დიდმა ბაბუამ სოფელს წყალი გამოუყვანა, დიდი ბებია კი სოფლის მაცხოვრებლებს ტანსაც-მელს უკერავდა;

## **8. რელიგიური ორიენტაცია**

- ოჯახის წარმომადგენლები თაგს ისტორიულად ქრისტიანებად თვლიან და საბჭოთა პერიოდში ოჯახის ბევრი წევრი ეკლესიაში მოინათლა კიდეც, თუმცა, ოჯახის ყველა წევრი რელი-გიური ტოლერანტობით გამოირჩევა და პატივს სცემს მუსულმან ქართველებს.

ჩვენ ჩავიწერეთ ოჯახის 29 წარმომადგენელი. არას-რულწლოვანების გამო ინტერვიუები არ აგვიღია 12 პირისაგან, უცხოეთში ცხოვრების გამო ვერ შევხვდით 4 პირს, პირადი პრობლემების გამო კი - 2 პირს, 7 პირი გარდაცვლილია. კონფედერაციალურობის დაცვის მიზნით აღებული ინტერვიუების ანალიზისას რესპონდენტებს მივანიჭეთ მხოლოდ ორი მახასიათებელი: სქესი და რომელ თაობას ეკუთვნის. თაობების ათვლა დავიწყეთ დიდი ბაბუადან ანუ გულადან. მეორე თაობა - სამი მმა - გარდაცვლილია. რეალურად ინფორმანტები მესამე, მეოთხე და მეხუთე თაობის წარმომადგენლები არიან. ჩვენი კვლევის მიზანი იყო მესამე თაობაში შემონახული ინფორმაციის ტრანსმისიის კვლევა მომდევნო თაობებში. ქვე-მოთ სათითაოდ განვიხილავთ მესიერების ელემენტებს სხვა-დასხვა სქესისა და თაობის წარმომადგენლებთან და თვალს მივადევნებთ ინფორმაციის ტრანსმისიას თაობათა შორის.

## I. დიდი ბაბუის გარდაცვალების ისტორია

პირველი ელემენტი - დიდი ბაბუის, გულას, გარდაცვალების ისტორია - რამდენიმე ვერსიით არის შენახული თაობების მეხსიერებაში. მესამე თაობის წარმომადგენლები გულას გარდაცვალების მიზეზად ასახელებენ შავ ჭირს. მეოთხე თაობაში დაავადებად დასახელებულია ტიფი ან შავი ჭირი. შოთამომავალთა ნაწილი არ აზუსტებს დაავადებას, ვინაიდან არ ფლობს ინფორმაციას. შესაბამისად, არსებობს დიდი ბაბუის გარდაცვალების რამდენიმე ვერსია:

- დიდი ბაბუა ავადმყოფობით გარდაიცვალა

### 4/მამრ.:

„30 წლამდე იყო [როცა გარდაიცვალა]... მეოცე საუკუნის დასაწყისში. ზემო აჭარაში მძვინვარებდა ეპიდემია... მე მცონი, შეგი ჭირი.“

### 4/მამრ.:

„35 წლის ასაუში გარდაიცვალა, უცვათ. რაღაც... მაშინ იყო რაღაც დაავადება, მასიურათ კრცელდებოდა და საღაციდან ალბათ გადაედო რაღაც დაავადება, მოქლევთ“ (ზ.ბ.).

### 5/მამრ.:

„სამი ძმები იყვენ, ხაშიმი, გენადი და იროდიონი, ხაან ადრე დაობლდენ, აა, ოცდაცამეტი წლის იყო მამა, შავი ჭირით რო

გარდაიცვალა, გულა ერქვა მათ მამას და ეს თითქმის თავისი გაზრდილი არის ეს ძმებიც, რა (თ.ხ.)“

- დიდი ბაბუა რეპრესიების შედეგად გარდაიცვალა

### 5/მდედრი:

„აქიდან ის ვიცი, რომ ეს მამა საბჭოთა რეპრესიების მხევერ-პლია, თუ არ კვდები. მემგონი რაღაცა ის პერიოდია, რცდაშ-ვიდმეტი. არა, შეიძლება მანამდები. რაღაცა გარდაცვლილია, საბჭოთა რეპრესიების მხევერპლად მიიჩნევა, თუ არ კვდები... (თ.თ)“

შენიშვნა: მეხუთე თაობას არა აქვს ინფორმაცია დიდი ბაბუის გარდაცვალების მიზეზის შესახებ, ამიტომ ინფორმაციულ ვა-კუუმს კოლექტიური მესხიერების ნიადაგზე „აღადგენს“ და სა-კუთარ ინტერპრეტაციას - რეპრესირებული დიდი ბაბუის ისტორიას ყვება. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ ეს მოსაზრება შეიძლება სანდო არ იყოს, რაც ენობრივადაც არის გაფორმებული წინადაღებაში: მემგონი, თუ არ კვდები.

- დიდი ბაბუა ომში დაიღუპა

### 5/მდედრი:

„ - არ ვიცი ეს, თუ არ კვდები, რაღაც ომის პერიოდი უნდა იყოს მათი მამის გარდაცვალება. ყავდათ ბიძა, გულა ხალვაში, მამა იყო არ ვიცი გულა ხალ.. ხალვაში. აა, რაღაც ეს სახელი... გვარი მახსოვებ. (თ.თ.)

- ანუ ხაშიმის მამას რა ერქვა, არ იცი? (პ.თ.)
- შეიძლება გულა იყო მამა, შესაძლოა. ანუ ზუბტად არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რო ადრე გარდაიცვალა.“ (თა.თ.)

**შენიშვნა:** ამ ვერსიის ავტორიც, რომელიც მეხუთე თაობის წარმომადგენელია, არ ფლობს ინფორმაციას დიდი ბაბუის გარდაცვალების მიზეზის შესახებ და კოლექტიური მეხსიერების საფუძველზე „აღადგენს“ გარდაცვალების მიზეზს: მისი აზრით, გულა ომში გარდაიცვალა, თუმცა რესპოდენტი არ მალავს, რომ ამ გულას გარდაცვალების ფაქტის შესახებ ზუსტი ცნობა არა აქვს, რაც წინადადებაშიც არის შესაბამისად ენობრივად გაფორმებული: თუ არ ვცდები.

- რესპოდენტი დიდი ბაბუის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს

#### 4/მდგრადი..:

- „ - ა...ბაბუის მამის შესახებ ხომ არაფერი იცით? (პ.თ.)
- აა... ბაბუის მამის შესახებ? არაფერი (ი.ხ.)
- ხახელიც არ გახსოვთ, არახოდეს უხერხებია ბაბუან? (პ.თ.)
- კი, როგორ არა! უბრალოდ, მე არ მახსენდება, თორებ კი, ყოველთვის იყო ხაუბარი, მაგრამ რატომდაც მე ვერ ვიხსენებ (ი.ხ.)
- რამდენი წლის იყავით, როდესაც ბაბუა გარდაიცვალა? (პ.თ.)
- თუქმებები წლის (ი.ხ.)
- გქონდათ ურთიერთობა, ვთქვათ, ზაფხულობით... (პ.თ.)

- კი, მე თვითონ ბაბუაჩემწან გავიზარდე... ხიხაძირში ვცხოვრობდით. მერე რომ სტუდენტი გავხდი და მერე გავთხოვდი, აქეთ გადმოვედი, თორემ... (o.b.)
- ანუ ბაბუის ხახლში გაიზარდე? (მ.ო.)
- კი, კი, ბაბუის ხახლში გავიზარდე. (o.b.)“

**შენიშვნა:** საგულისხმოა, რომ რესპონდენტი, რომელიც თავად მირი ოჯახის მეოთხე თაობის წარმომადგენელია და სოფელში ბაბუასთან გაიზარდა, არ ფლობს ინფორმაციას დიდი ბაბუის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში, როგორც თავად ამბობს, „ყოველთვის იყო საუბარი, მაგრამ რატომდაც მე კერ ვიხსეживებ“. ზოგადად, მდედრობითი სქესის დამოკიდებულება საგვარეულო ისტორიების შენახვისა და გადაცემის მიმართ თვალშისაცემია: მამრობითი სქესის შთამომავლებისაგან განსხვავებით ისინი ნაკლებად ინტერესდებიან ოჯახური ისტორიებით. ეს ფენომენი ცალსახად დასტურდება სხვა რესპონდენტებთან ჩაწერილი ინტერვიუებიდანაც.

## II. მმების დაობლების ისტორია

მესამე თაობის წარმომადგენლები დაწვრილებით ყვებიან სამი ძმის ისტორიას, რომლებიც ადრეულ ასაკში დაობლდნენ: მამა ავადმყოფობით გარდაუცვალათ და დედა ძალით გაათხოვეს. ამ ისტორიას მესამე თაობის წარმომადგენლები ასე გადმოგვცემენ:

### 3/მამრა:

- „ - იყოთ, რა მაინტერესები? თქვენი მამა და ბიძები... სამი  
ძმა... დაობლდენ ადრეულ ასაკში (ძ.თ.)
- მამა იყო ცხრა წლის, შემდეგი ძმა - ხუთი წლის და  
პატარა- ორი წლის (გ.ბ.)
- კი, და დედა? (ძ.თ.)
- დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო. დედა... სხვათა შორის,  
მამაჩემს რო ვეტყოდი, რომ, აი, რანაირი ქალი იყო ბებია, სამი  
ბიჭი დაგტოვათ და გათხოვდა... ნუ, გარკვეული დროს შეძღვე  
გათხოვდა... მამაჩემს არასდროს თავის დედაზე აუგი არ  
უთქვამს. და ბოლოს, როდენაც პატარა დრო გავიდა, ასე  
განმარტავდა, რომ დედაჩემი იყო ძალიან ლამაზი, ძალიან  
ლამაზი იყოთ. იმ დროს ჯერ კიდევ ეს ბებები, ეს ამბავი იყო  
და ესენი წყვეტდნენ (გ.ბ.)
- მათ ნებაზე ათხოვებდენ? (ძ. ბ.)
- ხო, ხო, ასეთ ლამაზ ქალს არ დატოვებდენო და გაათხოვეს  
ძალითო, თორემ კი არ უნდოდა გათხოვება! (გ.ბ.)
- ასეთი რამ, რომ აი, დაქვრივებულ ქალს, იმის გამო, რომ  
სახელი არ გასტებოდა, ათხოვებდნენ, იმ პერიოდში მიღებული  
იყო? (ძ.თ.)
- იმ პერიოდში კი. (გ.ბ.)“

### 4/მამრა:

- „ - ბაბუაჩემი ადრე დაობლდა, უფროსი ძმა იყო თვითონ და  
ეს უფროსი ძმა ნიშნავს, რომ იყო ცხრა წლის, ბავშვები იყვნენ  
ისინი, ცხრა წლის, ხუთი წლის და ორი წლის. ასე დარჩენ

ძმების სამნი, სამნი იყვნენ. დარჩათ ერთი დრმად მოხუცებული ძებია (კ.ბ.)“

ძმების ასაკი დაობლების დროს და თავად დაობლების ისტორიაც რამდენიმე ვერსიით არის შემონახული:

- **საშიმი და მისი ძმები დაობლდნენ მამით, როდესაც იყვნენ:**

- 3/მამრ.: 9, 5 და 2 წლის
- 3/მამრ.: 9, 5 და 2 წლის
- 3/მამრ.: 9, 5 და 2 წლის
- 4/მდედ.: 11, 9 და 6 წლის
- 4/მამრ.: 11, 7 და 5 წლის
- 4/მამრ.: 7, 4 და 2 წლის
- 4/მამრ.: 9, 5 და 2 წლის
- 4/მდედ.: 9, 5 და 3 წლის
- 5/მამრ.: 5-დან 15 წლამდე
- 5/მდედ.: არ იცის („ძალიან პატარები იყვნენ“)
- 5/მამრ.: არ იცის („იმ დროს იყვნენ მცირეწლოვნები“)

**შენიშვნა:** როგორც ვხედავთ, მესამე თაობა ერთსულოვანია დაობლების დროს ძმების ასაკის განსაზღვრაში. მეოთხე თაობაში ძმების წლოვანება ვარირებს, თუმცა ადსანიშნავია, რომ აცდენები უფრო მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში შეიმჩნევა. მეხუთე თაობაში ძმების ასაკი კონკრეტულობას კარგავს და ინფორმანტები ზოგად გამოთქმებს იყენებენ: ძალიან პატარები, მცირეწლოვნები.

- საშიმი და მისი ძმები დაობლდნენ, მაგრამ დედით, მა-  
მით თუ ორივეთი, რესპონდენტებმა არ იციან:

### 5/მდედა:

„ - ვიცი, რო აღრე გარდაუცვალათ დედა, თუ მამა არ ვიცი.“

### 5/მდედა:

„ - ზუსტად არ მახსოვს, მგონი ჯერ დედა გარდაუცვალათ და  
მერე მამა, თორე როგორც ასეთი, ნე ახალგაზდები, ახალგაზ-  
დები გარდაიცვალნენ, რამდენადაც მე ვიცი.“

შენიშვნა: მეოთხე და მეხუთე თაობის მდედრობით წარმომად-  
გენლებში ინფორმაცია ძმების დაობლების შესახებ ტრან-  
სფორმირდება: ძმები დედით და მამით დაობლდნენ. მეხუთე  
თაობის წარმომადგენლებმა ხშირად არ იციან და ვარაუდო-  
ბენ, რომ ჯერ დედა გარდაუცვალათ და მერე მამა, ან არ  
იციან, დედა გარდაუცვალათ თუ მამა. იციან მხოლოდ ის, რომ  
მეორე თაობის სამი ძმა მცირეწლოვნები დაობლდნენ და ის,  
რომ მშობლები ახალგაზრდები გარდაიცვალნენ.

### III. დაქვრივებული ქალის გათხოვების ისტორია

რესპონდენტთა უმრავლესობამ იცის საგვარეულო  
ისტორიაში დიდი ბებიის დაქვრივების ისტორია. ისინი  
ადასტურებენ ქვრივის ძალით გათხოვების ფაქტს და ამ  
გარემოებას სხვადასხვა ახსნას უძებნიან.

რესპონდენტთა ნაწილი ამას მთის წესად მიიჩნევს:

#### 4/მამრა:

- „— ბაბუაჩემი ადრე დაობლდა. სამხი იყვნენ, სამი ძმები და დარჩათ ერთი ღრმად მოხუცებული ბებია (გ.ბ.)
- დედა? (მ.თ.)
- დედა...უკურეთ, აი, ასეთი ცუდი ხიტუაცია მოხდა, მანდ. ზემოაჭარაში იყო ასეთი პრეცენდენტები, გაათხოვეს ეს დედა, ახალგაზრდა ქალი არ დატოვეს გაუთხოვარი (გ.ბ.)
- რატომ? (მ.თ.)
- რა ვიცი, დღემდე ჩემთვის გაუგებარია ეს. (გ.ბ.)
- ანუ ხაშიმს და მის ძმებს, რომლებიც მცირებულოვნები იყვნენ, მამა გარდაუცვალათ და დედა გაუთხოვეს. ვინ გაუთხოვა? ვინ იყო ინიციატორი? (მ.თ.)
- ხოჯელმა, მთამ, რა ვიცი, მთას თავისი წესები აქვს. (გ.ბ.)
- და ასეთი ისტორიები გაგებული გაქვთ ზოგადად? ხშირად ხდებოდა? (მ.თ.)
- საქართველოს მთაში, ქალბატონო მანანა, საქართველოს მთაში იმდენი რამე მაქვს გაგებული, არამარტო აჭარის მაღალმთიანეთში, არამედ ზოგადად... (გ.ბ.)
- აა, აი, რადგან თქვენ შევხეთ ზოგადად არამარტო აჭარის, არამედ საქართველოს მთიანეთის თემას, დაგეთანხმებით, დაქვრივებული ქალის გათხოვების ფაქტი არამხოლოდ აჭარაში დახტურდება. ზოგადად მთისთვის იყო დამახასიათებული ასეთი ტრადიცია. თქვენ თქვით, რომ აი, ხოჯელმა გაათხოვა, ანუ იყო ხაზოგადოების ზემოდა ქალის მიმართ. (მ.თ.)
- რა თქმა უნდა! აბა, ის მის შეიღებს რატომ მიატოვებდა? (გ.ბ.)“

მესამე და ნაწილობრივ მეოთხე თაობის წარმომადგენლები ყვებიან, რომ ქვრივი ძალით გაათხოვეს, გათხოვების მიზეზად კი რამდენიმე გარემოებას ასახელებენ: მორალურს (ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იყო და სახელი გაუტყდებოდა), ეკონომიკურს (თავს ვერ შეინახავდა მარტო ქალი და აუცილებლად უნდა „გაეჩინა“ პატრონი), ისლამური ტრადიციის გავლენას აჭარაზე ან ყველაფერს ერთად.

მაგალითად:

### 3/მამრა:

„ - იცით, რა მაინტერესებს? მამა და ბიძები... დაობლენდენ აღრევულ ასაკში... (ძ.თ.)

- მამა იყო ცხრა წლის, შემდეგი ძმა - ხუთი წლის და პატარა - ორი წლის (გ.ბ.)

- კი. და დედა? (ძ.თ.)

- დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო (ძ.ბ.)

- დედა...სხვათა შორის, მამაჩემს რო ვეტყოდი, რომ, აი, რანაირი ქალი იყო ბებია, სამი ბიჭი და... დაგტოვათ და გათხოვდათ... ნუ, გარბევული დროის შემდეგ გათხოვდა... მამაჩემს არასდორს თავის დედაზე აუგი არ უთქამს. და ბოლოს, როდესაც პატარა დრო გავიდა, ასე განმარტავდა, რომ დედაჩემი იყო ძალიან ლამაზი, ძალიან ლამაზი იყო. იმ დროს ჯერ კიდევ ეს ბებია! (გ.ბ.)

- მათ ნებაზე ათხოვებდენ. (ძ.ბ.)

- ხო, ხო, ასეთ ლამაზ ქალს არ დატოვებდენო და გაათხოვეს ძალითო, თორემ კი არ უნდოდა გათხოვება! (გ.ბ.)

- ბებიამ გაათხოვა! (ძ.ბ.)

- ბებიამ? და... ეს ზოგადათ ხშირად ხდებოდა ხოლმე? (ძ.თ.)

- ასეთი რაშ? (გ.ბ.)
- ასეთი რამ, რომ აი, დაქტივული ქადა, იმის გამო, რომ  
სახელი არ გასტეოდა... ძალით ათხოვებდნენ. (გ.თ.)
- იმ პერიოდში კი (გ.ბ.)“

#### 4/მამრა:

- „ - ხამწუხარო იხტორია იყო, მამა ადრე გარდაიცვალა და  
დედა, ფაქტიურათ, გაუთხოვეს. ეს იყო ერთგვარი ტენდენცია,  
წესათ ითვლებოდა, ანუ წესათ ითვლებოდა. ათხოვებდნენ, ბა-  
ტონო, ბევრი მიზეზი არსებობდა, სხვადასხვა მიზეზი, იქ (ზ.ბ.)
- და რა მიზეზები იყო? (გ.თ.)
  - მიზეზები იყო... იხლამური ტრადიციაც იყო, რომ უნდა გა-  
თხოვილიყო, პლიუს აღბათ იქ მიწების თემაც შეიძლებოდა  
ყოფილიყო (ზ.ბ.)
  - ანუ კეთონმიერი საფუძველიც არსებობდა? (გ.თ.)
  - ჰო, ეკონომიკურიც იყო. ხეობაში, ზემო აჭარაში ეს იყო წესი  
ერთგვარი, დაუწერებლი კანონივით იყო, ქვრივი ქალი უნდა  
გათხოვილიყო, აუცილებლათ ათხოვებდნენ, ეს არ იყო, თვით  
შეიძლება ქალის სურვილი არ იყო არცერთ შემთხვევაში, მი-  
ნით, გამიგონია, რომ ბევრ შემთხვევაში ნების საწინააღმდე-  
ვოთ ხდებოდა აფხოლიტურათ, მაგრამ ათხოვებდნენ (ზ.ბ.)“

#### 4/მდედრა:

- „ - ეს სამი ძმა...რამდენათაც ვიცი, ადრე დაობლდა. (გ.თ.)
- დიაბ, დიაბ, დიაბ. (ლ.ბ.)
  - რა იხტორია იცით ამის შესახებ? (გ.თ.)

- აქედან ...ადრე დაობლდა....დედა გაათხოვებ, მე მცონი და გაიზარდნენ... არ ვიცი, მაგრამ ხშირად ახეგნებდა მზია მამიდას და რაღაცა. ერთად იზრდებოდნენ, თუ რა არი, კარგათ არ ვიცი. (ლ.ბ.)
- ანუ, მამა გარდაუცვალათ და დედა გაათხოვებ. (მ.თ)
- მცონი. (ლ.ბ.)
- ვინ გაათხოვა? (მ.თ)
- ეგ არ მახსოვხ, ეს არ ვიცი. მე ვიცი, რომ პატარა ასაკში დაობლდენ და ბაბუაჩემმა, ხაშიმმა, ხაკუთარ მხრებზე აიღო ოჯახის მოვლა-პატარონობა-მხრუნველობა პატარა ძმებზე, ეს ასე ვიცი მე. (ლ.ბ.)
- ეს წესი, რომ დაქვრივებულ ქალებს ათხოვებდნენ ხოლმე ზემო აჭარაში, იცით ზოგადად, არა? (მ.თ)
- ისე ვიცი, რომ ათხოვებდნენ. იმიტომ, რომ ...ხო...ვიცი, რომ ათხოვებდნენ, ეს მათი ხურვილით არ ხდებოდა. (ლ.ბ.)
- ვინ ათხოვებდა? ქმრის ოჯახი? (ლ.ბ.)
- ან ქმრის ოჯახი, ან თვითონ მამის ოჯახი, გააჩნია, როგორ იყო! ახლა ვიხსენებ... ვერ ვიხსენებ, ვინ გაათხოვა ეს. (ლ.ბ.)
- და რა აუცილებლობა იყო გათხოვების? რატომ ათხოვებდნენ? (მ.თ)
- არ ვიცი, მე უფრო უფიქრობ, რომ ეს უფრო გადმონაშოი არის იმ სამახსლიანი თურქეთის ბატონობის და რაღაც იქცდან გამომდინარე ხდებოდა. ვფიქრობ, იმ რელიგიის ზეგავლენით ხდებოდა ალბათ. მე ასე ვფიქრობ. (ლ.ბ.)“

- ქვრივი თავისი ნებით გათხოვდა/გამოთხოვდა  
მეცნიერებული თაობის წარმომადგენლებში ინფორმაცია  
ქვრივის ძალით გათხოვების შესახებ ფერმკრთალდება.

### **5/მდებ:**

„ - მაგათი დედა, მემონი, სხვაგან გათხოვდა მერე, მე მგონი გათხოვილი არის სხვაგან თუ იქ სხვა აღილიდან არის აქეთ გამოთხოვილი. რაღაცა მერე ახსენებდნენ, რომ აი, კიდე ყავ-დათ ანუ ბაბუას, იგენს რაღაცა სანათესაო, მაგრამ ის სხვა, სხვა ქმრისგან იყო, მაგრამ არ ვიცი, აქ გათხოვებამდე ყავდა სხვა ქმარი, არ ვიცი - მერე. ეს ახო პროცენტით არ ვიცი. უფრო მგონია რო შემდეგ გათხოვდა.“

**შენიშვნა:** მეცნიერებული თაობის წარმომადგენლებში უფროსებისაგან იციან, რომ მათ ქვრივის მხრიდან სანათესაო პყოლიათ. აქედან ასკნიან, რომ ქვრივი რამდენჯერმე იყო გათხოვილი, თუმცა ზუსტად არ იციან, დიდი ბებია დაქვრივების შემდეგ გათხოვ-და თუ პირიქით, გამოთხოვებამდე ჰყავდა ოჯახი ანუ დაქვრი-ვებული იყო, როდესაც დიდ ბაბუას გამოჰყვა ცოლად. ყოველ შემთხვევაში, ძალით გათხოვებას არ ახსენებენ.

- რესპონდენტები უარყოფენ დიდი ბებიის ძალით გათხო-ვების ფაქტს:

მეცნიერებული თაობის წარმომადგენლები ნაწილი კატეგორი-ულად უარყოფს ქვრივის ძალით გათხოვების ფაქტს.

### **5/მდებ:**

„ - ერთი შეკითხვა მაქს, აჭარაში არის ასეთი ტრადიცია: როდესაც დაქვრივდება ქალი, მას ათხოვებენ.

- არა!
- არ გავიგიათ?
- ადრე შეიძლება კი. ადრე... იციოთ, ჩემს ირგვლივ არ გამიგია, არ გამიგია.
- თქვენს ოჯახში მსგავსი ფაქტი არ მომხდარა?
- არა, არ მომხდარა მსგავსი ფაქტი. თუ ახლა თავის სურვილით გათხვდა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ როგორც ახეთი, დაქვრიცდა და გაათხოვებ, არ გამიგია.“

**შენიშვნა:** მეცნიერების მდედრობითი წარმომადგენლები მირითადად არ იცნობენ ქალების იძულებით გათხოვების ტრადიციას ზემო აჭარაში და კატეგორიულად უარყოფენ დიდი ბების ძალით გათხოვების ფაქტს. ერთი მათგანი საერთოდ არ იცნობს ზემო აჭარაში გაგრცელებულ ამ წესს.

საგულისხმოა, რომ დედის გათხოვებამ თავისი დადი დაასვა შვილების ფსიქიდას. მეოთხე თაობის წარმომადგენელი ამ ფაქტს ასე იხსენებს:

#### 4/მამრა:

- „ - ხომ არ იციოთ რაიმე იხტორია, რა რეაქცია ქონდათ ბავშვებს? (მ.ო.)
- გეტეგით ეხლავე, ვიცი, როგორ არ ვიცი. შეათანა ძმა... პატარას საერთოდ არ ახსოვდა დედა... არ ახსოვდა რა... ეს ქალი... დიდხანს იცოცხლა ამ ქალმა მერე, ბაბუაჩემის დედამ. ბაბუაჩემი ძალიან პუმანური კაცი იყო და მან აპატია დედას, მე როგორც ვიცი, და იმ ორმა-არა. (გ.ხ.)
- და რაში გამოხატებოდა? (მ.ო.)

- არ უყვარდათ, არ დადიოდნენ მასთან. (გ.ბ.)
- კონტაქტი არ ქონდათ დედახთან? (მ.თ.)
- ხო და ნუ, რომ დადიოდნენ, მაშინაც არ ქონდათ ურთიერთობა და სიცოცხლის ბოლომდე მე, გენადი და იროდიონი, ჩვენ ვმეგობრობდით, ახლა, ბუნებრივია და ბევრჯერ მოუყოლიათ, რომ ვერ ვიგულო, ვერანაირათო, ვერა. დედა ვერ დავუძახეთ. (გ.ბ.)

### 3/მამრა:

- „ - აა, ერთი შეკითხვა მაქვს: როდეხაც დაობლდნენ ეს ბავშვები და დედა გაუთხოვეს, რაიმეზე რეაქცია ხომ არ ჰქონდათ პატარებს, რაიმე ისტორია ხომ არ იციოთ? (მ.თ.)
- ისტორიები, კი, კაცო, ახლა მამაჩემი უფროსი იყო და ამას შეგნებით ეკიდებოდა, აა...შეათანა ბიძა ისეთ ასაკში იყო, რომ ვერ შეეგუა და ახეთი გა...ისხაც არი, რამდენად სიმართლეა, არ ვიცი, უფროსები ყველოდნენ ამას: პატარა ბიჭმა აიღო ცული და იქ ავაზანს ეძახიან, დიდი ხეი ამოჭრილი, წყალი და ზამთარში საქონელი გამოდის... (გ.ბ.)
  - აჲა (მ.თ.)
  - ეს გაუჭრა, დაუზიანა და ამ ბი... ისეთი გულნატკენი იყო, რომ დედამისზე არასდროს არაფერს არ იღლაპარაკებდა. (გ.ბ.)
  - აჲა (მ.თ.)
  - არც კარგს ამბობდა, არც ცუდს ამბობდა. (გ.ბ.)“

#### IV. በፊት የዕለታዊ ስራውን እና የሚመለከት የዕለታዊ ስራውን አገልግሎት

ობლების გაშვილების მცდელობის ისტორია ერთ-ერთი მტკიცნეული ისტორიაა ამ გვარის წარმომადგენლებისათვის. მესამე თაობის წარმომადგენლები დაწვრილებით ყველაზე ამ ისტორიას და ვინაიდან ეს ისტორია მათი უახლოესი წარსულიდანაა, ხშირად ემოციური ფონი ახლავს თან.

3/மாம்ர..:

- ույզ մօնքա քաջուծնեց ձյօս տյման...ա....(թ.ա.)
  - իշխ... իշխ ձյօս տյման, եռթ? (Յ.Բ.)
  - քուե (թ.ա.)
  - իշխ ձյօս, յ.օ. Ռուդյեաց ձածյա գարժանցալու մալուն աեալցանրդա, ուշացամյից վլուս գարժանցալու, ձյօսիահյիմ յշտեանե ոյտ ոչաեթո, նրդուա ամ մշուցիւն տացու քյամտուուան յշտաց, անց մամահյմու ձյօսիաետան յշտաց. Ռուդյու մամահյմ... մամահյմո զըշանեցուուա, ու ոյտ լամանո յալու և ոմ ձյրուութո ու սյուլուցլաց շնու գատեալուու և գատեալու, մյթուցյան երացուութո ըերացյան մոյշցա ձյօսիամ ուղարկուա. մաե, - մամահյմու մամուցյու ոյբյե, ուրո մամուա, աելուս գատեալուու և - յ.օ. ամ մամուցյու, այալցյան... տյուտոն յոնքատ աելու, յաշատ մրտեյծո, յամյիյծո, ըերացյան առ շյուրդատ, մաշրամ մաե առ մյյմլու, շոյիցատ, իաւյլուու ծռեցլութո, մոյեցա, շոյիցատ և ամեացո. մոեշյու յալու ոյտ և ամ տացու քաջուծնեց այալցյան, յշտ յշուան մյե, յշտ յշուան մյե, մոեցալու և ապացեմարյանուու. ամ Ռյյումտու գաութարյան յե ձոյշյան. մյշրյ մամահյմո գաութարդա, մյշմառի քաությու, մյշրյ մամառանո ձյօսիաբ... գարժանցալու. մյշրյ

დაქორწინდა და გაგრძელდა ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში... (გ.ბ.)

- ა... დაობლებული ბავშვების შემთხვევაში ესეც ცნობილი იყო და წელანაც ვახსენეთ, რომ ხოფელი... რაღაც ზოგადად გარკვეულ პასუხისმგებლობას იღებდა ობლების მიმართ. ხომ არ იყო მცდელობა, რომ ეს ბავშვები, რომლებსაც მამა გარდაუცვალათ და დედა გაათხოვებ, ხადმე დაებინავებინათ? (გ.თ.)

--ა.. მაშინ... ზემო აჭარაში ამბობენ, ხიზმეთქრებად განაწილება, ანუ მოჯამავირები [არიან]... ეს ბებია, მამაჩემის ბებია... მამაჩემის ბებია, ისეთი ქალი ყოფილა, რომ ამის უფლებას არა...არავის არ მიხვდდა და ამასთან ამ თემაზე ლაპარაკს კერავინ ვერ გაბედავდა (გ.ბ.)

- ხო, აი, რამე ისტორია იცით, მამისგან გადმოცემით, რომ ასეთი ხაკითხი [ხიზმეთქრებად განაწილება] მათ მიმართაც დაისვა? (გ.თ.)

- მამაჩემს ასეთი რამე აქვს მოყოლილი, რომ, ბა..ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, მამა იყო ცხრა წლის, პოდა, ხასაფლაოზე გაყვა ამ პროცესიას და უკან რომ გბრუნდე... გბრუნდებოდითო, ხასაფლაოდან, ერთმა მეზობელმა, უფროსმა, მეორეს უთხრა, რომ ამ ბავშვებს ახლა რა ეშველებათო და დავანაწილებთო ხიზმეთქრებათო და... ამან ხომ ხიზმეთქარი რა იყო, არ იცოდა. მოვიდა და ბებიას შეეკითხა, თავის ბებიას, რომ ხიზმეთქარი რა არიო და ბებია ძალიან... მამაჩემის ბებიაზეა ხაუბარი, ძალიან ჭიკიანი ქალი ყოფილა. ხელად მიხვდა და მაშინ გადაწყვიტა, რომ ამ თემაზე მასთან არავის არაფერი არ უნდა დაელაპარაკა და ისე მოახერხა მოხუცმა ქალმა, რომ ხამი,

სამი მცირებულოვანი შეიღიოშეიღიო გაეზარდა, ფეხზე დაუკუნებდინა და რავი, მერე გავმრავლდით, ახლა ბევრი გართ (პ.ბ.)“

#### 4/მამრა:

„ - ერთხელ, ბაბუაჩემი მოდიოდა ცენტრიდან უფროს საძლეთან ერთათ და წინ... მისი წინა თაობა და იქ უთქმიათ, რომ აგენტაცო გავაშვილებთო, ფოცხოვში. ფოცხოვი მაშინ თურქეთის განკარგულებაში იყო და გავაშვილებთო სამივე შვილსო, ერთხო ფოცხოვში და ორსაც სადაცა, რა... ანუ გაშვილება ნიშნავდა, ხიზმეთქარი. ეს თურქელი ხიტყვაა, ხიშნავს აძლევ და საჭმელს აჭმევს, ნუ, მონობიზა და ალბათ სადღაც... როცა გაივეხ, რომ ხიზმეთქებათ უპირებდენ ამათ თურქეთში, ანუ ფოცხოვის რეგიონში, ოღონდ ეს არ მომხდარიყო, ყველაფერზე თანახმა ვიყავით და ბებიას ვებმარებოდითო, ძროხის მოწევდასაც... ჩვენ გვიწევდა, იმიტომ, რომ ბებია ვერ ჩამოდიოდა, ყველაფერში ვებმარებოდითო, მოკლეთ, მთავარი იყო, იმ სახლიდან არ წაგხულიყავით და არ დავპარგულიყავით და არ დავშლილიყავით. (ზ.ბ.)“

შენიშვნა: საინტერესოა, რომ მეოთხე თაობის მამრობითი სქესის ამ წარმომადგენელში ასევე დატალებში არის მოთხრობილი ობლების ხიზმეთქებად გაცემის ისტორია, რომელსაც, ისევე როგორც მესამე თაობის წარმომადგენელი, ძალიან ემოციურად ყვება.

## V. የጥቃቅወጫናኝነትዎች ከፌተኛዎች

უმცროს მმას, გენადის, ორი ცოლი ჰყავდა და ორივე  
მის ოჯახში ცხოვრობდა. ამ ისტორიას ასე გადმოსცემენ  
მესამე თაობის წარმომადგენლები:

3/8989:

„- და კიდევ ერთი შეკითხვა, ესეც ოჯახურ ამბებს ეხება... გენალი ბიძას თქახის...ა...ამბავი მაინტერენტებს: მის ცოლს იცნობდით? (მ.თ.)

- როგორ არ ვიცნობდი, კაცო! კი. მან...ახალგაზრდობაში შეუყვარდა თანასოფლელი გოგო, შეუდღდებ ძალიან დიდი სიყვარულით და საქმაო, რამდენი წელი... თითქმის ოცი წელი ცხოვრობდნენ ძალიან დიდი სიყვარულით, ძალიან დიდი პატივისცემით... ძალიან კულტურული ქალი იყო, საქმაოდ განათლებული, მაგრამ შვილი არ გაუჩნდათ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მცდელობა ჰქონდათ, მკურნალობა, ნუ, არ გაუჩნდა, ღმერთმა არ ინდომა, მაგრამ იმდენად უყვარდა ბიძაჩემი, რომ...თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, რომ მისი ტოლები, ყველას შვილი ყავს, ამბავი და რატომ უნდა იყოს ეს უშვილო დარჩენილი, რატომ უნდა გადაეგოს და თვითონ გადაწყვიტა, რომ ეს იყო, კი. სამოციანი წლების დასაწყისი, ბიძაჩემი თანამდებობაზე იყო, ოფიციალურად, სასამართლოს წესით განქორწინდნენ, ისე დაქორწინების უფლებას არ მიცემდნენ, პარტიის წევრი იყო და თვითონ, მისი ინიციატივით მოიყვანა მეორე ცოლი და გაუჩნდა შვილი შვილი. და ეს ბავშვებიც... იმ ბიოლამ ამ ბავშვების

გაზრდაში ძალიან დიდი როლი ითამაშა, ფაქტიურათ თვითონ ხდიდა. (პ.ბ.).

- მე ვიცი, რომ ოჯახში ერთათ ცხოვრობდნენ თრივე... (მ.თ.)
- გასაგებია, რაღაცა განხაკუთრებული ფაქტია და დიდეულოვნების და კეთილ შობილების ძალიან თავისებური ფორმა (მ.თ.)
- ხევათა შორის, რაიმე, ხომ შეიძლებოდა რაღაცა მომხდარიყო, ამდენი ხანი, რამდენი... დაახლოებით ოო..ოცდახუთ წელზე მეტი იყვნენ ერთად და აქ რაიმე კამათის დონეზეც არ უკამათიათ, ძალიან შეხმატებილებულად ცხოვრობდნენ. საინტერესოა. (პ.ბ.)“

#### 4/მამრა:

„ - თქვენ გენადი ბაბუასთან და იროდი ბაბუასთან გქონდათ ურთიერთობა? (მ.თ.)

- კი, უახლოები... (გ.ბ.)
- მათ მეუღლეებხაც, რახაკვირველია, იცნობდით. იროდის მეუღლეს რა ერქვა? (მ.თ.)
- კი, როგორ არა, ლუბა (გ.ბ.)
- აპა, ლუბა. და გენადის მეუღლეებ? (მ.თ.)
- ქოთვანი, კი (გ.ბ.)
- ქოთვანი. რაიმე იხეთი განხაკუთრებული იხტორია ხომ არ იცით მათი ოჯახის შეხახებ? (მ.თ.)
- გენადის უავდა... მაქ კიდე საინტერესო იყო გენადისთან დაკავშირებით. ვგ რომ დაქორწინდა, პირველ ცოლთან არ ეყოლა]. არ გაუჩნდა შვილი. ესეც მთის რაღაცა უკუდართობა იყო, დიდხანს იცხოვრებ, გენადი თანამდებობის

პირი იყო. ანუ გენადი სანამ თანამდებობის პირი იყო, ეს ქალი ყავდა, რომელთანაც შვილი არ გაუჩნდა. მერე ამ ქალმა აიღო და ეს გენადი დააქორწილა (გ.ხ.)

- ა...ოგითონ? (ძ.თ.)
- პო, ბატონო და საინტერესო ამბავია, ეს ქალი არ წასულა არსად, იმ სახლში იყო. (გ.ხ.)
- ანუ იმ სახლში დარჩა? (ძ.თ.)
- კი, კი. იხიც და ამ ბავშვებს, მის ბავშვებს, დიდხანს კვონათ, რომ ის ბებია იყო. (გ.ხ.)
- აპა, ანუ, პირველი ცოლი ბებია კვონათ? რატო? სხვაობა იყო ასაკში დიდი პირველსა და მეორე ცოლს შორის? (ძ.თ.)
- იქნებოდა, ახალგაზდა ქალი იყო ეს ქოფებანი შედარებით. ექვენი შვილი შეეძინა მერე გენადის. (გ.ხ.)
- ქვთვებანი რომელს ერქვა? პირველ ცოლს, თუ მეორეს? (ძ.თ.)
- არა, აი შვილების დედას (გ.ხ.)
- შვილების დედას. და შვილი ვიხიც არ შეეძინა? (ძ.თ.)
- ვერიადე (გ.ხ.)

#### 4/მამრა:

- „ - გენადის ორი ცოლი პყავდა, ორიგვე სახლში იყო ერთდრო-  
ულად. (ზ.ხ.)
- რა, რა იცი მათი სიყვარულის შესახებ? (ძ.თ.)
  - ვიცი, რომ მის ოჯახს არ უნდოდენ ბაბუაჩემბე, ანუ ბაბუა-  
ჩემის ძმაზე გოგოს (მიცემა) (ზ.ხ.)
  - ანუ ქალის ოჯახს არ უნდოდა? (ძ.თ.)
  - მაგრამ ისეთნაირათ უყვარდენ მათ ერთმანეთი, რომ მოიყვანა  
და ბოლომდე მიხთახ შებერდა, ერთათ იცხოვრებ. პლიუბ ამას,

არ ყავდათ შვილი. ძალიან საინტერესო ისტორიაა, მოქლევთ, ამ დროს ეს ბაბუაჩემის ძმა იყო საბჭოს თაგმადომარჯ, კოლექტივის თაგმადომარჯ. არ ყავდათ შვილი (ზ.ბ.)

- ანუ, გენადი (მ.თ.)
- დიახ, გენადი ხიხაძირის საბჭოს თაგმადომარჯ იყო კოლექტივის, სხვადასხვა წლებში. შვილი არ ყავდათ და ამ დიდგულოვანმა ქალმა უთხრა, რომ გენადიო, მე იხე მოყვარხარ, რომ უშვილოთ არ დარჩებით და დათანხმდა და მოაყვანია მეორე ცოლი. (ზ.ბ.)
- შენ თქვი, რომ გენადის პყავდა ორი ცოლი. ზოგადად, ახლა თრცოლიანობა მუსულმანური სარწმუნოებისთვის და კულტურისთვის არის დამახასიათებელი. (მ.თ.).
- არა, სხვათა შორის, მიუხედავად ამ მუსლიმანური ხიტუაციისა, იმ პერიოდში ჩვენს ხეობაში არ გრცელდებოდა თრცოლიანობა, არ იყო... არახოდებ. (ზ.ბ.)“

საგულისხმოა, რომ გამოკითხულთაგან ზოგიერთი მათგანი თრცოლიანობის ისტორიას მორალური და სოციალური ასპექტიდან განიხილავს (შვილის გაჩენის აუცილებლობა და პირველი ცოლის შეგნებული დამოკიდებულება მეორე ცოლის მოყვანისადმი) და თითქმის ლიტერატურულ ხარისხში აჲყავს ეს ისტორია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თრცოლიანობის ისტორიისა გვარის წარმომადგენელში, ამ ფაქტს მაინც არ მიიჩნევენ რესპონდენტები მუსულმანური რელიგიის გავლენად. პირიქით, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს გამონაკლისი იყო:

#### 4/მამრ.:

- „ - ანუ, გენადის ორი ცოლი ჰყავდა. ეს ფაქტი, თვითონ, ორ-ცოლიანობა, მუსულმანური რელიგიისთვის არის დამახასიათებელი, არა?... (მ.თ.)
- პო, (მაგრამ) მაინცდამაინც ეს ჩვენთან არ იყო გავრცელებული. არანაირი ფაქტი მე არ მახსოვრ, რო თრცოლიანობა ყოფილიყო. ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა. მიუხედავად ისლამისა, მაინც მიუღებელი იყო თრცოლიანობა, არ იყო დაშვებული. მე არ გამიგონია, ყოველი შემთხვევისთვის .... სხვათა შორის, პირველ ცოლს ვეძახდით ბებიას, მეორე ცოლს ვეძახდით ბიცოლას. (ზ.ბ.)“.

შენიშვნა: მესამე თაობამ დაწვრილებით იცის ბიძის თრცოლიანობის ისტორია და დეტალებში ყველა მას. მეოთხე თაობიდან გამოკითხულებიდან მხოლოდ ორმა იცის ეს ისტორია, ხოლო მეხუთე თაობის წარმომადგენლისთვის უცნობია ერთდროულად ორი ცოლის ოჯახში არსებობის ფაქტი. იცის, რომ გენადის მეორე ცოლი ჰყავდა, მაგრამ პირველი მეუღლე გარდაცვლილი ჰგანია.

#### 5/მამრ.:

- „ - გენადის მეუღლეს, მეორე მეუღლეს, კარგად ვიცნობდი, პირველს - არა (თ.ბ.)
- ანუ გენადის ორი მეუღლე კავდა? (მ.თ.)
- კი (თ.ბ.)
- გარდაიცვალა გენადის მეუღლე? (მ.თ.)
- ხო, გარდაიცვალა... (თ.ბ.)“

## VI. სახელების გადარქმევის ისტორია

7 მმიღან თოს მმას ოურქელი სახელები ერქვათ და სასკოლო ასაკში ქართული სახელებით შეუცვალეს. ეს ინფორმაცია უფროს თაობაში (ანუ დედმამიშვილებში) დეტალურად არის შემონახული, მეოთხე და განსაკუთრებით მეხუთე თაობაში დეტალები ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა ან საერთოდ ქრება.

საგულისხმოა, რომ დეტალური ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ, გარდა თავად მესამე თაობის წარმომადგენლებისა, უფროსი ძმის შთამომავლებსა (მეოთხე თაობის მამრობითი სქესის წარმომადგენლებში) და ძირი ოჯახის მეოთხე თაობის მამრობითი სქესის წარმომადგენლებში არის შემონახული. რაც შეეხება იმავე თაობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს, მათ არ იციან სახელების გადარქმევის ისტორია ან იციან, მაგრამ ოურქელი სახელები არ ახსოვთ. მეხუთე თაობის როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა არ იციან ამ ფაქტის შესახებ; მეტიც, ზოგიერთი კატეგორიულად უარყოფს მას.

### 3/მამა:

- „ - საინტერესო ისაა, იმიტომ, რომ მე რომ დავიბადე, მაშინ ჯერ კიდევ ოურქელ სახელებს არქმევდნენ და, აი, უკვე მის შემდეგ, მთის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომე ეს ოურქელი სახელები შეცვლილიყო ქართული სახელებით (გ.ბ.)
- მამა გოგოლიშვილი იყო ამის ინიციატორი, ხომ? (რ.ბ.)

- მე კაცრაზ ამ პერიოდში დავიძადე და ამიტომ მეორე სახელი არ შემხვდა. (გ.ბ.)“

### 3/მამრ.:

- „ - ჩვენს უფროს [ძმას] აღრე ერქვა გულა... და რატომდაც ჩათვალეს, რომ ეს გულა არის თურქული და გადაარქვებს და დაარქვებს რევაზი. გულა სუფთა ქართულია, რევაზი - საბარსული. (გ.ბ.)“

### 4/მამრ.:

- „ - კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს და დაგახრულებ ინტერვიუს. ამ შვიდ ძმას რა სახელები ერქვათ? (მ.თ.)
- არჩილი, მამია, იოსები, ვლადიმერი (ვლადიმერი და იოსები) ტექშები იყვნენ და მე მგონი, მიხვდებით, რატომაც ვლადიმერი და იოსები. (გ.ბ.)
- სხვა სახელებიც ხომ არ ქონდათ ძმებს? რა ერქვათ? (მ.თ.)
- კი არ მახსოვებ ახლა! ბიძაჩემს არ ქონდა! რამაზის მამას არ ქონდა მე..მუსლიმანური სახელი, იმიტომ, რომ იმას ერქვა პაპის სახელი და ეს იყო გულა (გ.ბ.)
- აჰა, გულა. დანარჩენებს მუსლიმანური სახელი ერქვათ? (მ.თ.)
- კი, გიგის და მიხეილის გარდა კველას. (გ.ბ.)
- მაგალითად, [თქვენს] მამას რა ერქვა? (მ.თ.)
- უიმე, რომ არ ვიცი?! (გ.ბ.)
- მაგრამ იცით, რომ ერქვა! (მ.თ.)
- კი, კი, კი, თუ არ დავიძაბები, გავიხევნებ კიდევ...უბრალოდ, კერ ვიხსენებ. (გ.ბ.)

- ანუ, იცით, რომ ქართული სახელის გარდა პქონდათ მუხლებიანური სახელები. ოჯახში, ალბათ, არ ხმარობდნენ და ამიტომ არ გახსოვთ? (გ.თ.)
- არა, არც გამიგია ან კინძებ მიემართათ მაგათავის, მაშინ მყვოლინებოდა. (გ.ბ.)
- თავიდანვე თრი სახელი პქონდათ? (გ.თ.)
- არა, არა, არა. ისტორია, ამ ტყუპების ისტორია კიცი, გადაარტვებები. პირველ კლასში კიყავით და შენო, კლადიმერი გერქვევათ და მეო, იოსებიო. ახლა ლენინი კის უნდოდა და სახლში ასვლამდე, კიჩეუბეთო, რომ მე მქვიაო იოსებიო და შენ - არაო. (გ.ბ.)

#### 4/მდედა:

- „ - სხვა სახელებითაც ხომ არ იცნობთ მათ? რამეს ხომ არ ეძახდებნ? (გ.თ.)
- სახელებიდან? არა, რაღაცა მეორე სახელები კი, კი ქონდათ, მაგრამ მე არ გახსოვბ.“

#### 4/მდედრი:

- „ - თქვენი მამა, არჩილ ხალვაში იყო მრავალ შვილიანი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენებელი. რამდენი ძმები იყვნენ? (გ.თ.)
- შვიდი, შვიდი ძმა. (ლ.ბ.)
  - სახელები იცით? (გ.თ.)
  - დიახ, რეზო, რევაზი, მერე - მამაჩემი, არჩილი, შემდეგ - ძმია, შემდეგ - კლადიმერი და იოსები, ტყუპები, გიგი და ბოლო, ნაბოლარა, მიხეილი. (ლ.ბ.)

- ააა, თქვენ მარტო მაგ სახელებით იცნობთ მათ? (შ.თ)
- ქონდათ [სხვა] სახელები, მაგრამ ყველახი არ ვიცი და მამაჩემს ეძახდნენ ახმედს, მონი და მამია ბიძიას - მემედს. მეტი არ ვიცი. (ლ.ბ.)
- და ეს ორი სახელი საიდან მოღის? (შ.თ)
- ეს, ადრე, ძალიან ადრე, იცით ისტორია აჭარის, აი, ეს სახელები ქონდათ და მერე მე გონი, გადაარქვებ ეს სახელები. მე მახსოვს, მამაჩემის სახელი იყო ახმედი, ბებიაჩემიც ბოლომდე ახმედს ეძახდა. კ. ი, მერე დაარქვეს არჩილი და იმას ვერ შევუა. სკოლაში რომ მივიღებ თუ რაღაცა იყო... ეს ისტორია მახსოვს, ვლადიმერი და იოსები... ტეჟაებს დაარქვეს ვლადიმერ ილიხ ლენინის და იოსებ სტალინის საპატივიერებულოდ. (ლ.ბ.)
- და ვინ დაარქვა, სახელები ვინ შეურჩია? (შ.თ)
- სკოლაში დაარქვეს თუ ბაბუამ, ეგ არ ვიცი. სახელები მარტო გაგონილი მაქს და რამდენადაც მახსოვს... ასე იყო. არ ვიცი ზესტად. (ლ.ბ.)“

**შენიშვნა:** მმებისთვის სახელების გადარქმევის ისტორია, როგორც ვნახეთ, შემონახულია მესამე თაობისა და უფროსი ან ძირი ოჯახის მამრობითი სქესის წარმომადგენლებში; უმცროსი მმების შთამომავლებსა და მეოთხე თაობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში ეს ინფორმაცია დაკარგულია, ან თუ იციან, სახელებს ვერ იხსენებენ. ელიციტაციის მეთოდის გამოყენების შედეგად ზოგიერთი იხსენებს, რომ **მზონი** ჰქონდათ სხვა სახელები, მაგრამ მოფერებით ფორმებს ასახელებს (იოსები>იოსეპა), ან მიიჩნევს, რომ ტეჟაებს სახელები

- იოსები და ვლადიმერი - მამამ თავად შეურჩია, რაც სიმარ-  
თლეს არ შეგვერება.

შდრ.:

#### 4/მდედ.: (უფროსი მმის შთამომავალი)

„- და იმ სახელების გადარქმულაზე უნდა გითხრა, რომ ბიძები  
ეხლა.. ამ შვილი ძმა ხომ არიან, შვილი. მათ შორის ორია  
ტყუპი: ვლადიმერი და იოსები, ზვიადის ძამა. და ამ ტყუპებმა,  
ტყუპებს, რახან ტყუპები ხართო, ძახულებელმა შეხთავაზა  
თურმე, რო ვლადიმერი და იოსები დაურქვათ, ლენინის და...  
ჩხუბი მოუკიდათ რაზე, რო იოსები უნდოდა ორივეს და ზვია-  
დის ძამამ გაიძარჯვა იმიტო, რო იუსუფი ერქვა მას და დაირ-  
ქვა იოსები. (ე.ბ.)“

#### 4/მდედ.: (მეოთხე მმის, ძირი ოჯახის შთამომავალი)

„ - არა, მე ვიცი, რომ ბაბუაჩემმა მაგალითად, ძამაჩემს და  
ბიძაჩემს დაარქვა ვლადიმერი და იოსები, ანუ, ხტალინის და  
ლენინის და... ძეორე სახელები არ ვიცი, არ მხმენია. შეიძლება  
და ქონდათ... მამაჩემს იუსუფ, იუსუფი მე მგონია, კი, კი. (ი.ბ.)“

### VII. წინაპრების ქველმოქმედების ისტორია

უფროსი თაობა იხსენებს წინაპრების დამსახურებას და  
შეუძლია კონკრეტულად ისაუბროს ამ თემაზე დეტალების  
მოშველიებით, თუ როგორ გაუყვანა ბაბუამ სოფელს წყალი,  
როგორ უკერავდა ბებია მეზობლის ბავშვებს და  
განსაკუთრებით ღარიბი ოჯახის შვილებს ტანსაცმელს.

მეოთხე თაობიდან შეინიშნება ამ ინფორმაციის სელექცია რესპონდენტთა სქესის მიხედვით: მდედრობითი სქესის რესპონდენტები საუბრობენ ბებიის ქველმოქმედებაზე, მამრობითი სქესის წარმომადგენლები კი - ბაბუისაზე.

#### 4/მამრი:

- ეს გაშინ ყველას წყალი არ ქონდა. ათ ოჯახში შეიძლება ხუთს არ ქონდა, ან სამს, ხოლო თითქმის სამოცი-სამოცდაათი პროცენტი ბაბუაჩების გაყვანილი იყო, ეს იყო უსასყიდლოთ აფხოლიტურათ და არანაირი ანაზღაურების გარეშე. (b.b.)

#### 5/მდედარი:

- ვიცი, რომ აი, ხაშიძ ბ... აი რაღაც ლეგენდასავით არი, გადმოცემასავით ვიცით, რო მის მეუღლეს აუტანა ზურგით ხაკერავი მანქანა, რომ შეკერა და ზოგადად ტანსაცმელი და უფასოდ უკეთებდა, რაც მთავარია, ამ ყველაფერს იქაურ მოსახლეობას. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ რაღაც გადმოცემასავით ესე ვიცით ოჯახის წევრების... (თ.თ.)

შენიშვნა: მესამე თაობას ორივე ისტორია ახსოვს, თანაც დეტალებში ყვება. საგულისხმოა, რომ მომდევნო თაობებში ინფორმაცია გენდერული თვალსაზრისით არის გადანაწილებული: მამრობითი სქესის წარმომადგენლები წინაპრების ქველმოქმედების ფაქტად ასახელებენ ხაშიძის მიერ წყლის გაყვანას, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები კი იმ ფაქტს, რომ მიპრი უფასოდ უკერავდა სოფლის მოსახლეობას ტანსაცმელს. ხაშიძის ისტორიიდან კი ყვებიან, რომ მან მეუღლეს ზურგით

აუგიანა საკერავი მანქანა და არ ახსენებენ სოფელში მის მიერ წყლის გამოყვანის ისტორიას.

### VIII. რელიგიური ორიენტაცია

ამ გვარის წარმომადგენლების მონათხრობიდან ნათლად ჩანს ოჯახში რელიგიური ტოლერანტობის სურათი, როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის წარმომადგენლებში.

#### 3/მამრა:

- „ - აპა, თქვენი ოჯახიდან დედა იყო მუსულმანი... (ძ.თ.)
- კი, დედაჩემს ხწამდა, ემსახურებოდა (გ.ბ.)
- ემსახურებოდა რას ნიშავე? ლოცულობდა? (ძ.თ.)
- ნუ, ლოცულობდა, ვთქათ. მათაც ხომ აქვთ, მუსლიმანებს, იმ დღესახწაულებს აღნიშნავდა, ნუ. მამაჩემი ამას არ უკრძალავდა, პირიქით, ხელს უწყობდა. მას არ უწამია, იმიტომ, რომ როდესაც მიყვანებს ასაკის მუსლიმები სასწავლად, პირველ დღესვე ამ ხოჯამ ჯოხით გალახა, კ. ი. რომ გადა....ახლა თვითონ გვიყვებოდა, რომ გადამარტენა, იმდენად მეტენა, რომ პირდაპირ ფანჯარაში და ფანჯრიდან ხეზე გადავხტიო და იმის მერე არ მოუხედავს და სულ ასე გვეუბნებოდა, თბოლ ბაგშებს რომ ჯოხით გალახავ, იმ რელიგიის მე არ მწამხო. ჩვენც ისე გავიზარდეთ (გ.ბ.)

საშიმი თავად არც ერთ რელიგიას არ მისდევდა, ადიარებდა აჭარლების ისტორიულად ქრისტიანობის ფაქტს, მაგრამ ამავე დროს ტოლერანტული იყო მუსულმანური რელიგიისადმი. მისი უფროსი შვილები მუსულმანური წესის მიხედვით

იყვნენ წინადაცვეთილები, უმცროსი შვილები - აღარ. მიუხედავად ამისა, მას ხელი არ შეუშლია შვილებისათვის, რომ ქრისტიანულად მონათლულიყვნენ.

#### 4/მდედრი:

„ - მახსოვეს, რომ ხიხაძირში ვიყავით ასულები. აი, უკელა ვართ მოყრილი და პაბუაჩემს კითხებს, ე.ი. მაშინ დამამახსოვრდა ეს, რომ პაბუო, ე.ი. ჩვენო, ქრისტიანულ გზასო გავყვეთო, თუ მუხლიმანურსო და ეს კარგათ მახსოვეს, რომ პაბუაჩემი მუხლიმანურ ცერემონიალებს, რიტუალებს არ ახრულებდა, ანუ ათეისტური ცხოვრებით [ცხოვრობდა]. ძველი იყო ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოება, ანუ უკელა იბრუნებს ძველსო და ჩვენც დავიბრუნოთ ძველიო. აი, დღევანდელ დღესავით ეს ხიტყვები მახსოვეს და მაშინ ჩამებეჭდა, რომ პაბუამ ასე რატო თქვა, და მერე რო წავიდა, მოვიკითხე და მშობლებს არ შეუშლიათ ხელი...მოგვნათლებს და სუფრაც გაგვიკეთებს და ანუ, დღეს მრევლი ვარ, მყავეს მოძღვარი. (გ.ბ.)“

#### 4/მამრი:

„ - პაბუაჩემი პატარა ასაკში იყო ანუ სადღაც აღმართ, შვილი წლის, რგა წლის. მაშინ იყო ჯამეში სასწავლებელი. ამ ჯამეში ასწავლიდებ აღმართ არაბულ კითხვას ან ლოცვას, ანუ მეტი სასწავლებელი ფიზიკურათ არ არსებობდა, იყო მხოლოდ ჯამეში. პაბუაჩემი მისულა მისი თაობის ახალგაზიდებთან ერთათ (ზ.ბ.)

- ეს ხაშიმზე ამბობთ? (გ.ო.)

- დიახ, ხაშიძი მისულა და, ხოდა, ერთ გაკვეთილს დახტრებია. არ ვიცი, რამე დააშავა, აი, მოცლედ ხოჯა, ხოჯა არი თურქულათ, მასწავლებელს გადაურტყია ჯოხი და მეორე სართული-დან გადმომხტარა. იმის მერე არცერთ ხასწავლებელში [არ წასულა] და ისე გარდაიცვალა, არც ჯამეში არ შესულა. არც ულოცია, არც შესულა... შვილებიც, ფაქტიურათ შვილივე მონათლული იყო, მუსლიმანურათ, მაგრამ ჩვენამდე მოვიდა ერთ ვაქტმა, რომ ბაბუქემმა გამოუცხადა, რომ შვილიშვილები არ მოენათლათ და დაუცადათ ზღაპრულობამდე და თითქმის კველა შვილიშვილი მონათლულია უკვე ქრისტიანულათ (ზ.ბ.)
- მაგრამ, აი, შვილები რომ მონათლა მუსლიმანურათ, რას ნიშავდა ეს, წინადაცვეთა ჩაუტარებე? (მ.თ.)
- ჟო, ეს წინდაცვეთა წესი იყო და ცოტა სოფელ...სოფელში ტრადიციაც იყო ეს. მიძღვნობაც იყო, რელიგიაც იყო. წინა-დაცვეთა ჩაუტარდათ ყველას, მაგრამ როგორც ასეთი, არცერთის მე ნალოცი და მუსლიმანური რიტუალის შესრულება არ მინახავს. (ზ.ბ.)“

## 5/მამრა:

- „ - აი, ამ შვილი ძმის ოჯახში რამოდენიმე რძალი იყო ქრისტიანი და რამოდენიმე - მუსლიმანი. შეიძლება ახლა ეს ათეისტური პერიოდი იყო, მაგრამ, კოქვათ, ერთად რომ იკრიბებოდით ხანათესაო, რელიგიის თვალსაზრისით რა სიტუაცია იყო? (მ.თ.)
- ანუ დისკომფორტი ხარწმუნებრივი ჩვენ ოჯახში არახდომს არ ყოფილა. კი, მსმენია ბევრი რაღაცა მაგ კუთხით ხარწმონებრივად, ძაან იხე იყვნენ განწყობილები და ხევის

სარწმუნოებაში ჩარგვა საერთოდ არ შეიძლება, მე თუ მკითხავ ადამიანი, ინდივიდუალურად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თავისუფალია თითოეული, მაგრამ ჩვენთან, ჩვენს ოჯახში მაგ კუთხით მე არახოდეს პირადათ არ მიგრძნია დისკომფორტი, რა, სარწმუნოებრივი რელიგიასთან მიმართებაში (თ.ბ.)“

## 2. პკლევის სპეციფიკა და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ჩატარებულია კომპლექსური მეთოდოლოგიის გამოყენებით და ერთგარ ექსპერიმენტს წარმოადგენს ენებისა და კულტურების დოკუმენტირების სფეროში. ექსპერიმენტი სამ ძირითად ფაზას მოიცავდა:

ა) ადამიანური რესურსები - რესპონდენტი ოჯახის შერჩევა და საგვარეულო ხის აგება;

ბ) შერჩეული ოჯახის პირველი და მეორე თაობის შესახებ ისტორიების მოძიება და ამ ისტორიების მიზანმიმართული გამოკითხვა მესამე, მეოთხე და მეხუთე თაობის წარმომადგენლებში ინფორმაციის ტრანსმისიის პკლევის მიზნით;

გ) მოპოვებული ინტერვიუების სისტემური დამუშავება - შედარება-შეპირისპირება სამი პარამეტრის მიხედვით: ინფორმაციის სისტორე, ინტერპრეტაციის ხარისხი და სენტიმენტ-ანალიზი.

წარმოდგენილი კვლევა ჩატარებულია უპირველეს ყოვლისა ფენომენოლოგიური მიდგომის გამოყენებით. ეს მეთოდი

გულისხმობს საკვლევი საკითხისათვის რელევანტური ფაქტების მოპოვება-აღწერას და მათ მეცნიერულ ინტერპრეტაციას საკვლევი თემის (ამ შემთხვევაში ინფორმაციის ტრანსმისიის) მეცნიერულად დამუშავების მიზნით. როგორც ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, ერთსა და იმავე ისტორიას სხვადასხვა თაობის, ან ერთი თაობის წარმომადგენლები განსხვავებულად გადმოსცემენ. ჭეშმარიტი სურათის დასადგენად, ბუნებრივია, აუცილებელი გახდა კომპარატივისტული მეთოდის გამოყენება. ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ჩაწერილი ინტერვიუები და შევეცადეთ ისტორიებთან მიმართებაში „აღგვედგინა“ რეალური სურათი. ასევე გამოყენებული გვქონდა შეპირისპორებითი მეთოდი, რომ დაგვეზუსტებინა ზოგიერთი ინფორმაცია, რომელიც ყველაზე მეტ სხვაობას გვიჩვენებდა რესპონდენტებში. ხშირად რესპონდენტთა როგორც ცოდნა, ისე პიროვნული დამოკიდებულება რომელიმე საკითხისადმი ერთი წინადაღების ფარგლებში არ არის მოქცეული. ასეთ შემთხვევაში დასკვნების გამოსატანად დისკურსის ანალიზია საჭირო. ისტორიების, როგორც მეხსიერების ელემენტების შესახწავლად ძირითადად კონტენტანალიზის მეთოდს ვიყენებდით. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე გვქონდა ზეპირ ისტორიებთან, რომელიც ხშირად საინტერესოდ გადმოცემულ, დეტალიზებულ ისტორიებს მოიცავდა, კვლევის დროს გამოვიყენეთ ასევე სენტიმენტ-ანალიზის მეთოდი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტთა პირადი დამოკიდებულება (სიმპათია ან ანტიპათია, ისევე როგორც ემპათია) ხშირად ვერბალიზებულია მათ მეტყველებაში, მაგალითად, შეფასები-

სას ეპითეტების გამოყენებაში (ამ **დიდგულოვანმა** ქალმა უთხრა..., ბაძუაჩემი ზოგადად **ზედამიანი** იყო.)

თუმცა ვიდეოჩანაწერების გაანალიზებამ სენტიმენტანიალიზის არავერბალური ინდიკატორებიც აღმოგვაჩენინა: ეს არის რესპონდენტის გამოკვეთილი ემპათია ამა თუ იმ ისტორიისადმი, რაც აისახება მის ემოციურ მდგომარეობაში (ცრემლით ავსებული თვალები, აკანკალებული ხმა).

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ კვლევის ორგანიზაციული წარმართვის კონცეპტუალიზაციის აუცილებლობა და მნიშვნელობა თაობებში ინფორმაციის ტრანსმისიის კვლევის დროს. ინტერვიურების წარმართვის სტრატეგია, ისევე როგორც რესპონდენტთა გამოკითხის თანმიმდევრობა და ტაქტიკა, წინასწარ უნდა შემუშავდეს და დეტალურად დაიგეგმოს. ჩვენ მიერ გამოკითხულ იქნა 29 რესპონდენტი და ყველა, 29-ვე რესპონდენტი გამოვკითხეთ ინდივიდუალურად. ინფორმაციის ტრანსმისიის კვლევის ჩასატარებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ინტერვიუს მეშვეობით მოპოვებული ფაქტები იყოს **ინდივიდუალური** და არა **ჯგუფური**. ამიტომ მასალებს ვაგროვებდით ინდივიდუალური ინტერვიუების სახით და თავი ავარიდეთ ჯგუფურ საუბრებს, რათა რესპონდენტთა მხრიდან ინფორმაციის ფლობის ზუსტი სურათი აღგვეწერა. ამასთან, მაქსიმალურად შეგვეცადეთ, რომ ინტერვიუს მიზანი და შინაარსი უცნობი ყოფილიყო რესპონდენტებისათვის, რათა შეგვენარჩუნებინა ავთენტურობა და რეალურად გადაგვემოწმებინა მეხსიერების ელემენტების შესახებ სხვადასხვა თაობის ცალკეული წარმომადგენლის ცოდნა. მეოთხე და მეხუთე თაობის წარმომადგენელთა

მესამერებაში ვაკუუმის არსებობა, როგორც უფროსი და უმცროსი თაობის წარმომადგენელთა ინტერვიუების შეპირისპირებამ გვიჩვენა, ორი მიზეზით არის გამოწვეული:

1. უფროსი თაობა გაუცნობიერებლად ან შეგნებულად ბლოკავს ინფორმაციის გადაცემას, ვინაიდან „რცხვენია“ მომხდარი ფაქტის და არ სურს, რომ ეს ინფორმაცია მომავალ თაობებს გადაეცეთ. ესენი ძირითადად ტაბუირებული თემებია ამ ოჯახისთვის, როგორებიცაა მაგალითად, ქვრივის ძალით გათხოვების ფაქტი, ან გენადის ორცოლიანობის ფაქტი;
2. უმცროსი თაობა, განსაკუთრებით მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, როგორც ქალიშვილები, ისე ოჯახში შემოსული რძლები, არ ინტერესდებიან საგარეულო ისტორიებით, ან არ მონაწილეობენ ინფორმაციის გაცვლის რიტუალებში და შესაბამისად, ინფორმაციის „ჩამკეტის“ როლს ასრულებენ და ამით ბლოკავენ ინფორმაციის ტრანსმისიას მომავალ თაობებში.

ამას თავად უფროსი თაობის რესპონდენტებიც ადასტურებენ ცალსახად:

„- აა, თქვენი გვარის ახალგაზრდა თაობამ თითქმის არ იცის ისტორია იმ დიდი ბებიის გათხოვების და ამბობს, რომ სამი ძმა დაობლდა დედითაც და მამითაც. და ეს უბრალოდ, ოჯახში არ გადაღიოდა თაობიდან თაობაზე ეს ისტორია? აი, რა რატომ დაიბლოკა? (მო)

- მაინდამაინც არაა სასი(სიამოუნო)... ახლა, დღევანდევლი გადასახედიდან ცოტა გა...გაუგებარია, რომ ადამიანმა როგორ უნდა მიატოვო სამი შვილი და გათხოვდე. (გ.ბ.)

ქვემოთ ცხრილში სისტემატიზებულია და ტაბულარულად არის მოცემული მეხსიერების ელემენტები თაობათა მიხედვით. აქვე გვინდა კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, რომ ჩვენი რესპონდენტები მესამე, მეოთხე და მეხუთე თაობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც დიდი ბებიის და ბაბუის, ანუ პირველი და მეორე თაობის წინაპრების შესახებ მოგვითხრობენ.

### 3. ტრანსმისიის მორფოლოგია და პარამეტრები

კვლევის მეთოდების კომპლექსურად გამოყენების შედეგად ცხადად გამოიკვეთა ის პარამეტრები, რომლებიც არსებითი მნიშვნელობისაა კომუნიკაციური მეხსიერების ტრანსმისიის მორფოლოგიის დასადგენად. ესენია:

- ბიოლოგიური დაშორება** - გენიალოგიურ ხეზე პირველ თაობასთან დაშორების სარისხი;
- ასაკობრივი დაშორება** - ტრანსმისიის პროცესი გრძელდება მეოთხე თაობამდე, მეხუთე თაობიდან მეხსიერების ელემენტები „ფერმკრთალდება“ ან სრულიად „ქრება“;
- გენდერი** - ინფორმაციის ტრანსმისიის სარისხი განსხვავებულია გენდერის მიხედვით: გვიჩვით მამრობითი წარმომადგენლები

ტრანსმისიის უფრო მაღალ ხარისხს  
გვიჩვენებენ, ვიდრე მდედრობით;

4. **გეოგრაფიულ-სოციალური დაშორება** - ძირი  
ოჯახის შთამომავლებში ტრანსმისიის  
ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ძირი  
ოჯახიდან წამოსულ პირთა შთამომავ-  
ლებში;
5. **მორალური ასპექტი** - ტაბუირებული თემების  
შემთხვევაში ინფორმაციის ტრანსმისია  
სშირად შეგნებულად იბლოკება.
6. **იდენტიფიკაცია გვართან** - ის პირები,  
რომლებსაც არ გააჩნიათ ემოციური  
ბმულობა საკუთარი გვარის ისტორიასთან  
და საკუთარი პიროვნების იდენტიფიცირებას  
არ ახდენენ ამ უკანასკნელთან მიმართებაში,  
მათთან ტრანსმისია დაბალი ხარისხით ან  
საერთოდ არ ხორციელდება. ეს პარამეტრი,  
რომელიც ერთი და იმავე თაობის  
წარმომადგენლებში „აღმოვაჩინეთ“, არის  
საგვარეულო ისტორიებთან პიროვნების  
დისტანცირების ხარისხი, რომელიც თავად  
პიროვნების საყოფაცხოვრებო-სოციალური  
ორიენტაციით უნდა იყოს განპირობებული:  
ის პირები, რომლებიც საკუთარ თავს არ  
აიგივებენ საგვარეულო ისტორიასთან,  
მენტალურად არიან გაუცხოებული.

7. ემოციური ბმულობა (ემოციურობის ხარისხი) - თუ შევადარებთ გვარის იმ წარმომადგენლებთან ჩაწერილ ინტერვიუებს, რომლებიც ინფორმაციის ტრანსმისიის შედარებით დაბალ დონეს გვიჩვენებენ, აღმოვაჩენთ, რომ ინფორმაციის არცოდნისადმი მათი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია: ის პირები, რომლებიც მენტალურად არ არიან მოწყვეტილი საგვარეულო ისტორიას და თავიანთ თავს ამ გვარის წარმომადგენლად მიიჩნევენ, წუხილს გამოთქვამენ ამ ფაქტის გამო. ის პირები, კი რომლებსაც დაკარგული აქვთ მენტალური ბმულობა გვარის წინაპრებთან, არცოდნის ფაქტს განიხილავნ როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. ამ განსხვავებული დამოკიდებულების „ამოკითხვის“ საშუალებას გვაძლევს დისკურსის სენტიმენტანალიზი, კერძოდ სენტიმენტ-ვექტორების პოვნიერება.

შდორ.:

5/მამრ.:

- „ - ხაშიძის ძმების იროდის და გენადის ძეუდლებების შესახებ რა იცით? (ძ. თ.)
- იროდი ხალვა შიხ, სამწუხაროდ არ ვიცი, მასხოვებელი დუნდოვნად... (თ.თ.)“

### 5/მამრ.:

- „ - იროდისა და გენადის მეუღლეებს იცნობდით? (ძ.თ.)  
- ჯო, გენადის მეუღლე მახსოვე. (თ.ხ.)  
- რა კრქვა გენადის მეუღლეს? (ძ.თ.)  
- არ ვიცი. ისე, ხახებე მახსოვე. (თ.ხ.)“

ერთი თაობის წარმომადგენლებში საგვარეულო ისტორიების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ინტერვიუებში ცალსახად ჩანს. ქვემოთ მოვიყვანთ ორ ფრაგმენტს სხვადასხვა პირის ინტერვიუდან. ის პირი, რომელიც ნაკლებად ფლობს ინფორმაციას, ჩაითხვების (ელიციტაციის) შემთხვევაში სიტყვაძუნწი და ზედაპირულია. შესაბამისად, საგვარეულო ისტორიისადმი დისტანცირებულია. ის პირი, კი, რომელიც შეგნებულად ეკიდება საგვარეულო ისტორიას, დაწვრილებით, დეტალებში მოგვითხრობს საოჯახო ამბებს და არ მალავს მათდამი ემოციურ დამოკიდებულებას.

### 5/მამრ.:

- „ - ხაშიმს ყავდა თრი ძმა. იცნობდით მათ? (ძ.თ.)  
- ვიცნობდი. ერთი იყო იროდი და მეორეს სახელი დამაკიწყდა. (თ.ხ.)  
- გენადი. (ძ.თ.)  
- გენადი, თან გვერდით ცხოვრობდა. (თ.ხ.)  
- აჰაჰა... და მათი ოჯახის წევრებსაც, ალბათ, იცნობდით. (ძ.თ.)  
- ჯო. (თ.ხ.)

- იროდისა და გენადის მეუღლეებს იცნობდით? (ძ.თ.)
- კი, გენადის მეუღლე მახვილი. (თ.ხ.)
- რა ერქვა გენადის მეუღლე? (ძ.თ.)
- არ ვიცი. ისე, სახეზე მახვილი. (თ.ხ.)
- ვიზუალურათ გახსოვთ? (ძ.თ.)
- კი. (თ.ხ.)
- გასაგებია. (ძ.თ.)
- იროდის ცოლს ერქვა ხალაი მგონი, ხალს უძახდებ, მე  
მგონი. ახლა სახელები არ მახვილი, რა... ხოველები რო ხარ,  
იქ ძებო, ბაბუ და ასე იყო. (თ.ხ.)
- გენადის რამდენი შვილი ჰყავდა? (ძ.თ.)
- გენადის ყავდა, გოგოები ყავდა ბევრი და ბოლოს ბიჭი,  
არჩილი, ყავდა გულიკო, თინა, შეიძლება გამომეპაროს  
რომელიმე. ოთხი გოგო ყავდა, მე მგონი, თუ სამი. (თ.ხ.)
- ქუქუნა (ძ.თ.)
- ქუქუნა. ნუ, რო ვხედავ, ვიცი, რა...სახელები არ ვიცი. (თ.ხ.)
- აჲა, და გენადის და მის მეუღლეს ყავდათ ექვენი შვილი.  
რაიმე იხტორია ხომ არ იცით გენადისა და მისი ოჯახის  
შესახებ? (ძ.თ.)
- არა, სულ მიყვირიდა მაი კაცი, მაგასთან არ მივდიოდი მე.  
(თ.ხ.)
- პაპაპაპა, პაპა...პრაზიანი იყო? (ძ.თ.)
- ხილს ვპარავდი და მიპრაზდებოდა. (თ.ხ.)
- აა...და გენადიც ხინაძირში ცხოვრობდა? (ძ.თ.)
- ბაბუაჩემის გვერდით ცხოვრობს... ცხოვრობდა (თ.ხ.)

- ცხოვრობდა. აპა, აი, ხაშიძი, გენადი და იროდი, სამი ძმა იყვნენ. მე რამდენათაც ვიცი, ადრე დაობლდნენ იხინი. რა იცით ამის შესახებ?
- არაფერი (თ.ხ.)“

საკუთარი გვარის ისტორიისადმი და ზოგადად, საკუთარი ეთნოგეოგრაფიული წარმოშობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს იმავე თაობის სხვა წარმომადგენელს:

#### 5/მამრ.:

- „ - აა... თქვენი შვილები რა ხნის არიან? (ძ.თ.)
- აა... უფროხი ექვენი წლის არი, სკოლაში შედის ეხლა თრშაბათხ, უმცროხი - ხამი წლის. (თ.ხ.)
- აა... ამ თჯახურ ისტორიებს, ამ ბავშვობის განცდებს უყვებით?... გქონიათ სურვილი, რომ მოგვეყოლათ შვილისთვის? (ძ.თ.)
- მქონია, მომიყოლია კიდევაც, სოფელშიც ვატარებ კიდევაც. (თ.ხ.)
- ანუ ადიხართ რეგულარულად სოფელში და მიგავთ თქვენი შვილები, რომ ეზიარობ კოქვათ, სოფლის ცხოვრებას? (ძ.თ.)
- კი, რა თქმა უნდა. ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი და ყველაზე მშვიდათ და ბედნიერეთ გვრძნობ თავს. თავისუფალი ღრო როცა ძაქვენ, სოფელში [მივღივარ].. ბევრი კარგი ადგილი მინახავს ამ დედამიწაზე, მაგრამ ჩემი სოფელი მაინც განსაკუთრებულია, იმიტომ, რომ იქნდან დაიწყო, საერთოდ, ძედნიერების შევვარება ჩემთვის. (თ.ხ.)

- დღესდღეობით კიდევ არის სოფელში [შემორჩენილი ტრადიცია], რომ აი, კოქათ, გადენიან საქონელებ? (მ.თ.)

- კი, კი, როგორ არა, ტრადიცია არი, მაგრამ ახლა როგორ არი, იცი? განვითარდა ინფრასტრუქტურა, გზები ბევრი წამოვიდა ქალაქისკენ, იხე... პირუტყვი იმ რაოდენობით აღარ ყავთ, ის რაოდენობა ოჯახების აღარ არი სოფლებში, მაგრამ უკვე არის ის ტენდენცია, რომ ბევრი ბრუნდება, იმიტომ, რომ გზა როცა არის და წვდომა ქალაქთან და ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც სოფელში არ მოიპოვება, შეუძლია, რომ ქალაქიდან მიიღოს უკვე. ბევრი უკვე ფიქრობს, რომ ადგილზე დარჩეს, თან ტურიზმიც ხომ ვთარდება უკვე. მოგეხსენებათ, ჩვენს ხეობაში ძაან ბევრი ღისშესანიშნავი ადგილია ისტორიული, აი, მაგალითად, ხიხანის ციხე. ბევრი ტურისტია დაინტერესებული ამით და ბევრს უკვე ხახტებულს ტიპის ხახლები აქვს გახსნილი. მოდიან ტურისტები, იხვენებენ იქ, მერე თავაზობენ იქა ადგილობრივ, ტრადიციულ კურძებს, რაღაცა ნაკეთობებს და ეს უკვე... ხალხისთვის უკვე არი ინტერესი. (თ.ხ.)

- ეკონომიკური თვალსაზრისით... (მ.თ.)

- ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მოძლიერდებაან, ადგილზე გამოიმუშავებს თანხას, ხევთა პაკეტებ ცხოვრობს, ბუნებაში, და უკვე, რა თქმა უნდა, არანაირი ხირვილი აღარ უჩნდება, რომ დაბრუნდებს ქალაქში. ის კი არა და, უკვე ქალაქში ბევრს ახალწამოსულს უკან მიბრუნების სურვილი აქვს უკვე რო... (თ.ხ.)

- თქვენ თქვენს შვილებს წაიყვანო [სოფელში], როგორც  
თქვენ დადიოდით თქვენს ბავშვობაში? (მო.)

- წავიყვან და დამყავს კიდევაც და ძაან ხალიხობებს და  
ძაან ბედნიერი არიან და თვითონაც აქვთ სურვილი გენებში  
აღიაროთ. თვითონაც უნდათ წასკლა. სულ გვეუბნებიან,  
წაგვიყვანეთო, უფროხი განხაკუთრებით. ხასიათებითაც მე  
მგავს, კიზუალურადაც და ერთი ხიტყვით, ხო, ძაან უნდათ,  
რომ კიაროთ სოფელში და დავდივართ კიდევაც. (თ.ხ.)“

როგორც ამ ერთი თაობის თრი წარმომადგენლის  
ინტერვიუებიდან ჩანს, რაც უფრო მეტია საგვარეულო  
ისტორიისადმი პიროვნების იდენტიფიცირების ხარისხი, მით  
უფრო მეტია აღნიშნული საკითხით მისი დაინტერესება.  
შესაბამისად, მაღალია მისი ცოდნის ხარისხიც.  
კომუნიკაციური მეხსიერების შესახებ მსჯელობისას ზემოთ  
უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ შემთხვევაში სოციალური ჯგუფის  
თითოეული წევრი იმავდროულად თანამონაწილე და  
მატარებელია. აქ გვინდა დავაზუსტოთ, რომ სოციუმის წევრის  
თანამონაწილეობა დროული და სივრცული განზომილების  
მიუხედავად (ანუ სოციუმის წევრი თანამონაწილეა  
საგვარეულო ისტორიებისა როგორც დროული, ისე სივრცული  
თვალსაზრისით) სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამ  
ინფორმაციის მატარებელია. თუ ეს უკანასკნელი თავად არ  
არის ინფორმაციის მატარებელი, მაშინ, ბუნებრივია, იგი ვერც  
ინფორმაციის გადამტანი გახდება, ანუ ტრანსმისია  
სოციალური ჯგუფის ამ წარმომადგენლის შემთხვევაში

„იქეტება“, ეს უკანასკნელი „ტრანსმისიის ჩამკეტია“. ზემოთ მოყვანილი ორი პირვენების ინტერვიუების მიხედვით პირველი რესპონდენტი სწორედ ამგვარ „ჩამკეტად“ უნდა მივიჩნიოთ.

ზემოთქმული ამგვარად უნდა შევაჯამოთ: ტრანსმისიის ხარისხი პირდაპირპოპორციულია პირვენების ნებასთან, გააიგივოს თავი ამ ინფორმაციის მატარებელ სოციუმთან და იყოს მისი ერთ-ერთი ორგანული ნაწილი.

ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობს **მნემოტექნიკა** ანუ მოგონება, რომელიც ინდივიდის თვითიდენ-ტიფიკაციას ემსახურება და რომელსაც იგი მეხსიერების შემნახველ ფუთში – „მემორიაში“ ინახავს, რათა საჭიროების შემთხვევაში გააძლიეროს იგი და გადასცეს მომავალ თაობას. ეს პროცესი, როგორც ზემოთ უკვე აღვწერეთ, სამი ფაზისაგან შედგება: 1. ცოდნის შენახვა (**ცოდნის არქივირება**), 2. საჭიროების შემთხვევაში ცოდნის გამოყენების ინტენსივობა (**ცოდნის აქტუალიზება**) და 3. ცოდნის მომავალი თაობისათვის გადაცემა (**ცოდნის ტრანსმისია**).

ზემოთ გამოკითხული ორი რესპონდენტიდან მხოლოდ მეორე იყენებს მნემოტექნიკას: მასში შენახულია ცოდნა, რომელსაც იგი საჭიროების შემთხვევაში ააქტიურებს. მაგალითად, წინაპართა საფლავებზე საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ საკუთარი ხელით გაკეთებული წარწერები.

#### 4/გამრ.:

„ - და ის მიხდა კიდევ ვთქვა, რომ იქ სოფელში ჩვენთან გვარზე იყო საუბარი. გვეუბნებოდნენ ჩვენ გვართან დაკავშირებით... განსახვებებით პანთეონი გვაქვს იქ იმიტომ, რომ ჯერჯერობით ცხრა თაობა ვიცით წინაპრების საფლავები სად არი, ეს ბიძაჩემი, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ყველაფერს გეტყოდათ. თავისი ხელით ბაგშვიძაში აქვს უჟანგავ ლითონზე ამოტვიფრული დაბადების და გარდაცვალების თარიღები და სახელები რა... ეს არის სოფელში, შესასვლელში, მარცხენა მხარეს არის ...სამვალე (ო.ხ.)“

გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ საგვარეულო სასაფლაოზე 9 თაობის წინაპართა საფლავებზე საგუთარი ხელით ამოტვიფრული წარწერების ისტორია ამ გვარის ბევრი წარმომადგენლის ინტერვიუში ფიგურირებს და ყველა შემთხვევაში საგვარეულო ინფორმაციის მატარებელ პირებთან გვაქვს საქმე. მეორე მაგალითი მნემოტექნიკის გამოყენებისა უკავშირდება საოჯახო ნივთებს.

#### 4/გამრ.:

- „ - მერი კერავდა და უკერავდა სოფლის... ახე ვთქვათ, მაცხოვებლებსაც. საკერავი მანქანა პქონდათ ოჯახში? (მ.თ.)
- კი, მეც მახსოვს ის საკერავი, არა ერთი, სხვათა შორის, ორი, ორი ქონდათ. (ე.ხ.)
- საკერავი მანქანა, ახლა ხიხაძირში იმ პერიოდში, ალბათ, დალიან იშვიათობა იყო. (მ.თ.)

- ორთავე იყო ზინგერის, მე კარგად მახსოვეს. (გ.ბ.)
- ზინგერის მანქანა გქონდათ? (მ.თ.)
- ჭურჭელიც ქონდათ რაღაც ძალიან ბევრი და ახლა შვიდი ძმა გაიზარდა ოჯახში, თავისთავად უნდა ქონდათ ბევრი ჭურჭელი და ეხეთი ლამაზი რაღაცები მე დღემდე მაქვს შემონახული რამდენიმე თასი. (გ.ბ.)
- ოჯახიდან გააქვთ, აი, იმ ოჯახიდან რაიმე ნივთები? (მ.თ.)
- კი, კი...ერთი-ორი ცალი. იმას ვუფრთხილდები ძალიან. ჩემმა პატარა ბიჭმაც იცის, რომ გასაფრთხილებელია ძალიან და ეს არაა თვითონ რომ კერძი მიირთვას იმისთვის. (გ.ბ.)“

როგორც ამ ინტერვიუდან ჩანს, საოჯახო ნივთები, მატერიალური ღირებულების გარდა, მეხსიერების ფიგურებია, რომელთა შენახვა და გაფრთხილება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ინფორმაციის ტრანსმისია მომავალ თაობებში.

### **5. დისკურსის სენტიმენტანალიზი არქივის მასალებზე დაყრდნობით**

ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის რესურსების მნიშვნელობა ინტერდისციპლინული პლევების განხორციელების თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს. ჩვენ მიერ მოპოვებულ რესურსები არა მხოლოდ ლინგვისტური პლევების, კერძოდ, აჭარული დიალექტის სისტემური პლევის თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც, რამდენადაც ამ რეგიონში სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ერთ სივრცეში ცხოვრობენ და ცხადია, მათი მეტყველება

მარკირებულია კოდების შერევით ან კოდების ცვლით. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ დახტურდება სხვადასხვა სოციალურ გარემოში კოდების მიზანმიმართული გამოყენების ტენდენცია - აკადემიური განათლების უმაღლესი საფეხურის წარმომადგენლები სალიტერატურო ენით მეტყველებენ ჩვენთან საუბარში, მაშინ როდესაც ოჯახურ სიტუაციაში ან აჭარულ დიალექტზე მოლაპარაკე ნათესავებთან დიალოგში დიალექტურ მეტყველებაზე გადადიან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბარისა და მთის მაცხოვრებელთა მეტყველება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება არა მარტო ლექსიკითა და გრამატიკული მოვლენების თვალსაზრისით (დიალექტისათვის დამახასიათებელი ასიმილაცია, დისიმილაცია ფონემატურ დონეზე, განსხვავება სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებაში, კერძოდ, ზანიზმების ფაქტორი), არამედ თვალსაზინოა გამოთქმის აპუსტიკური თავისებურებები და წინადაღების მელოდიური ხაზიც.

არქივის რესურსები ასევე საინტერესოა სენტიმენტ-ანალიზის თვალსაზრისითაც. რესპონდენტების დამოკიდებულება მათ მიერ მოთხოვნილი ისტორიისადმი განსხვავებული შეიძლება იყოს, კერძოდ:

1. **დიპლომატიკური** - რესპონდენტი საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, დისტანცირებულებად მოგვითხოვთ ისტორიას/ამბავს. ასეთ შემთხვევაში ისტორია შიშველი ფაქტებისა და მოვლენების ნაკრებს წარმოადგენს.

2. ქმოციური - რესპონდენტი ისტორიის/ამბის თხრობის დროს საკუთარ (დადებით ან უარყოფით) შეფასებებს აძლევს ცალკეულ პიროვნებას ან მის ქმედებას, მოვლენებს, ფაქტებს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში შიშველი ფაქტებისა და მოვლენების გარდა თავად მთქმელის ქმოციური დამოკიდებულებაც იკითხება და შესაბამისად, ასეთი მასალაც კვლევის თვალსაზრისით ორმაგ რესურსს შეიცავს: თავად ფაქტს ან მოვლენას, როგორც ისტორიული მესიერების ფიგურას და მესიერების ფიგურისადმი მოცემული პირის ან მთელი თაობის დამოკიდებულებას.

ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს მთქმელის დიპლომატიური და ქმოციური დამოკიდებულების საჩვენებლად.

სენტიმენტის გამოსახატავად საგანგებო ლექსიკური ან ფუნქციური ელემენტებია გამოყენებული, როგორიცაა სამწუხარო, სამწუხაროდ, ...

„ - სამწუხარო ისტორია იყო, მამა ადრე გარდაიცვალა და დადა, გააქტიურათ, გაუთხოვეთ.“

„ - დიდი ბაბუა, ბაბუაჩემის მამა, სამწუხაროდ, ძალიან ახლო... ძალიან ახალგაზღა გარდაიცვალა და დიდი შემორჩენილი... მასზე დიდად არაფერი არ ვიციო. (ზ.ბ.)“

„ - յո, առ մյջո արագյերօ առ զուօ, ևաթվշեարռօ, քահարիյենո ույցո արագյերօ առ զուօ.“ (տ.տ.)

„ - իյմի մյեսոյըրյեծո արահցյալյեծրոյօ յալճաճռենո եամքզոլագ արուե, մաժոյ... զբարօ առ մաեռյե, ևաթվշեարռօ. (տ.տ.)“

„ - ապ, ևաթվշեարռօ, առ զար հաեցդյլո մաջ զյեն... զյենյալոցոամո անյ եօլըմյմո հաեցդյլո առ զար, ըռմ մաջ յոտեցանյ զ ուսակյեռտ. (Ռ.Ե.)“

„ - ևաթվշեարռօ, քյանու ևաեցլո առ մաեսոյե, մարտլու.“ (տ.տ)

Ռոշորը մոպցանոլո մացալուուցիւնան իանե, յմուուրո շյցասյեծա დա մուսո զյերծալուրո զամուեաթցա ամ մացալուուցիմո մորուագագ ևակյուտարո տացու մոմարտ արուս զամուոյմյլո, ացթուշուուցիմյլու - րյեսպուուցնթյեծո զյեր ձասյեռեցն դասմյլո յոտեցյեծե, ացնուուցրյեցն մուումյլո զայթուս արցունաս დա շյեսածամուսագ ացուրմյեցն յուուց մաս զյերծալուրագ. այսո շյեմուեցամո ևյենթումյենթուս զյեմթորո տացագ րյեսպոնդյենթու մոյմարտյեծա, մացրամ ոցո շյուուցյեծա զարյուտաց ոյուս մոմարտյլո. այսո շյեմուեցամո ձուրուցնյեծուս յմուուրո դամոյուուցյլյլուցյեծա զամուեաթյեծա զայթուս ան մովլյենուս մոմարտ. ևյենթումյենթուս զյեմթորո, մուսո ևյմանթուցյրո ունիցուունան զամոմդունարյ, շյուուցյեծա ոյուս դագյեծուու ան շարպովյուու.

Ցըր.:

4/մամր.:

„- ծածյահյեմո օդրյ դառձլուա. ևամեն ոյցնյեն, ևամո մմյեծո քա դարիատ յրտո լրմագ մուշցյեծյլո ծյեծա. (Ռ.Ե.)

- დედა? (მო.)
- დედა... უკურეთ, აი, ასეთი ცუდი ხიტუაცია მოხდა, მანდ. ზემოაჭარაში იყო ასეთი პრეცენდენტები. გაათხოვეს ეს დედა. ახალგაზრდა ქალი არ დატოვეს გაუთხოვარი. (ე.ბ.)“

### 3/მამრა:

„ - ახლა დღესხდევობით მხოლოდ მამია, გივი, მიხეილი არიან [ცოცხლები], სამწუხაროდ. (მ.მ.)“

### 5/მდედა:

„ - ბაბუაჩემი ზოგადად ზეადამიანი იყო, სხვანაირ ოჯახში გაზრდილი გერ იქნებოდა იხ. (მ.მ.)“

### 4/მამა:

„ - ბაბუაჩემი იყო სასწაული პიროვნება. (მ.ბ.)“

### 5/მდედა:

„ - ჩემს მესიერებაში არაჩვეულებრივი ქალბატონი ნამდვილად არის, შადიგ... გვარი არ მახსოვებს, სამწუხაროდ. (მ.მ.)“

### 4/მამა:

„ - შვილი არ ყავდათ და ამ დიდგულოვანმა ქალმა უთხრა, რომ... მე იხე მიყვარხარ, რომ უშვილოთ არ დარჩებიო... (ბ.ბ.)“

იგივე ისტორია სემტიმენტანალიზის თვალსაზრისით დიპლომატიურად არის გადმოცემული იმავე თაობის სხვა წარმომადგენელთა მონათხოვობში.

შდორ.:

#### 4/მამრ.:

„ - გენადის ყავდა, მაქ კიდე საინტერესო ისტორია იყო გენადისთან დაკავშირებით. ეგ რომ დაქორწინდა, პირველ ცოლთან არ ეყო.. არ გაუჩნდა შვილი... დიდხანს იცხოვრეს [ერთად]. გენადი თანამდებობის პირი იყო, რაღაცა ..ანუ გენადი სანამ თანამდებობის პირი იყო, ეს ქალი ყავდა, რომელთანაც შვილი არ გაუჩნდა, მერე ამ ქალმა აიღო და ეს გენადი დააქორწილა (გ.ხ.)“

#### 4/მდგრად.:

„ - გენადი ბაბუას იგი ყავდა... მეუღლის სახელი, დედა დამავიწყდა! მაგრამ პირველ მეუღლეს ადო ერქვა და მეორეს ბიცოლას ეძახდნენ და მეც ბიცოლათ ჩამრჩა მეხსიერებაში. ეზოში ცხოვრობდნენ, ერთ ეზოში. (ლ.ხ.)

- კარგით. და განქორწინდა პირველ მეუღლესთან და მეორე მოიყვანა? (მ.თ)

- ეგ არ მახსოვებ, როგორ იყო... მე ვიცი, რო თანხმობით იყო მოყვანილი, იმიტომ, რომ შვილი არ ყავდა და უნდოდა, რომ მის მეუღლეს შვილი ყოლოდა და... (ლ.ხ.)“

#### **4/მდედრი:**

„ - ბაბუაჩემი დააქორწინა თვითონ მისმა ცოლმა, იმიტომ, რომ შვილები უნდოდა რომ ყოლოდა და თვითონ გაზარდა ეს შვილები ვაქტიურად. მას არ უნდოდა მეორე ცოლის მოყვანა, მისმა ცოლმა.. იშვიათი შემთხვევაა, გეუბნებით, მაგრამ იყო ნაძღვილად ასე. (ი.ბ.)“

**სენტიმენტ-ვექტორი** შეიძლება ნეიტრალური იყოს და არ შეიცავდეს ცალსახად უარყოფით ან დადებით შეფასებას.  
**ნეიტრალური**      **სენტიმენტ-ვექტორი**      ჩვენს      მასალებში  
 ძირითადად გადმოიცემა სიტყვათშეთანხმებით ხევათა შორის:

#### **3/მამრი:**

„ - დედა? დედა გათხოვდა ძალიან პატარა, **სხვათა შორის.** (გ.ბ.)“

#### **5/მამრი:**

„ - ისე მიხარია და მიყვარს იქაურობა, რომ მე...მე რომ იქ მივდივარ, რა კიცი, ალბათ, ათო წლის სიცოცხლე მემატება. ეს, **სხვათა შორის,** მამაჩემის დამსახურება არ არის, დედაჩემის დამსახურება (გ.ბ.)“

#### **4/მამრი:**

„ - იროდიოს ერთადეკრთი ვაჟი ვავდა, **სხვათა შორის,** ალექსი.

(რ.ბ.)“

#### **4/მამრი:**

„ - სხვათა შორის, ქრისტიანული კი არა, წარმართულიც არი შემონახული ჩვენში. (რ.ბ.)“

#### 4/მამრა:

„ - მასობრივი გავრცელება ისლამის დაიწყო მეცხრამეტე საუკუნიდან, და მერე რუსების შემოსვლის მერეც რაღაც იყო, ეს იყო... რა ქვია, ეს რუსები პოლიტიკის ნაწილი იყო ისლამის გაძლიერება აქ. სხვათა შორის. მეზეთების უმრავლესობა რუსები, რუსები პერიოდშია აშენებული (რ.ბ.)“

ნეიტრალური სენტიმენტ-ვექტორის კვალიფიცირება, მისი სემანტიკური ფუნქციიდან (ნეიტრალურია, არანაირ ემოციას არ გადმოგვცემს) გამომდინარე, შეიძლება საკამაოო იყოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია მეთოდურად დავასაბუთოთ მისი ნეიტრალურობა, კერძოდ, ჩანაცვლების მეთოდის გამოყენებით.

#### შდორა:

- საბეჭინეროდ, ქრისტიანული კი არა, წარმართულიც არი შემონახული ჩვენში.
- სამწუხაროდ, ქრისტიანული კი არა, წარმართულიც არი შემონახული ჩვენში.

ა) და ბ) მაგალითები აშკარად მარკირებულია სენტიმენტის თვალსაზრისით განსხვავებით წინა მაგალითისაგან, რომელიც მთქმელის ნეიტრალურ დამოკიდებულებას გადმოსცემს. სიტყვათშეთანხმება სხვათა შორის ინფორმაციის განვრცობა-დაზუსტებას ემსახურება.

ლინგვოკულტუროლოგიური არქივის მასალების  
სენტიმენტ-ანალიზის თვალსაზრისით დამუშავების შემდეგ,  
რაც ტექსტში სენტიმენტ-ინდიკატორების მონიშვნას  
გულისხმობს, შეიძლება ჩვენი კვლევები სტატისტიკური  
ანალიზითაც გავამყაროთ. ეს არქივის მასალების მომავალი  
დამუშავების პერსპექტივაა, თუმცა, პირველადი დაკვირვების  
შედეგად წინასწარი დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ  
ერთი დიდი ოჯახის ხუთი თაობის წარმომადგენლები  
ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათ მიერ გადმოცემული  
ამბებისადმი ემოციური დამოკიდებულების ხარისხით: რაც  
უფრო მაღალია რესპონდენტის კომპეტენცია, კერძოდ,  
მეხსიერების ფიგურების (ძმების დაობლების ისტორია,  
ქვრივის ძალით გათხოვების ისტორია, შვიდი  
უმაღლესდამთავრებული ძმის ისტორია, წინაპრების  
ქველმოქმედების ისტორია) მნემოტექნიკის მეშვეობით შენახვა  
(მეხსიერების ფიგურების - ფაქტების, მოვლენების  
დეტალიზაცია), მით უფრო ინტენსიურია ემოციურობის  
(დადებითი ან უარყოფითი) ხარისხი და პირიქით, რაც უფრო  
დაბალია რესპონდენტების კომპეტენტურობის ხარისხი  
მეხსიერების ფიგურების მიმართ, მით უფრო მაღალია  
ისტორიებისა და პიროვნებების მითოლოგიზება. მაგალითად,  
4 თაობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, რომელიც  
აღიარებს, რომ არ ახსოვს ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა ან  
ისტორია, აღმატებულ ხარისხში აჲყავს შორეული წინაპარი:

### 5/მდევრი:

„ - ბაბუაჩები ზოგადად ზეადამიანი იყო, სხვანაირ ოჯახში  
გაზრდილი ვერ იქნებოდა ის. (თ.თ.)“

## **5/მამრ.:**

„ - აა, ბაბუა იყო მოწინავე პიროვნება. იყო შესანიშნავი პიროვნება და უკელაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ კუოფილიყვავი ბეღნიერი. (თ.ბ.)“

### **8. წინასწარი დასკგნები და ტრანსმისიის პლანის პერსპექტივები**

მოცემული გვარის 5 თაობის ზეპირი ისტორიული პლანი ამონამ გვიჩვენა, რომ:

- ინდივიდუალური ისტორიები 80-100 წელი ცოცხლობს და შემდეგ ქრება ან განიცდის ტრანსფორმაციას;
- ტრანსფორმაციას იწვევს ისტორიის არცოდნა (ინფორმაციული ვაკუუმი), რომელსაც ინდივიდი საკუთარი ფანტაზიით „ავსებს“;
- ისტორიების „არგადაცემა“ ხშირად შეგნებულად ხდება (ტაბუირებული თემაა);
- ინფორმაციის მატარებელნი და გადამცემნი ძორითადად არიან მამაკაცები; შესაბამისად, საგვარეულო ისტორიები თაობიდან თაობას მამაკაცების ხაზით გადაეცემა;
- საგვარეულო ისტორიები იშვიათად გადაეცემა ქალების ხაზით, მე-4 თაობის ქალებიდან ის ფაქტობრივად იკარგება და ადგილი აქვს მითოლოგიზებას;

- მრავალშვილიანობის შემთხვევაში ინფორმაცია ძირი ოჯახის შთამომავლებში უფროა შემონახული, ვიდრე სხვა დედმამიშვილების შთამომავლებში.
- მეოთხე თაობის მამრობითი სქესის წარმომადგენლებში ტრანსმისიის ხარისხი პოლარიზებულია: ერთი და იმავე თაობის წარმომადგენლები ან არიან საგვარეულო ინფორმაციის მატარებელი, ან „ჩამკეტის“ როლს ასრულებენ. საგვარეულო ისტორიების „გამკრთალება/გაქრობა“ განპირობებულია თავად ინდივიდის დამოკიდებულებაზე საგვარეულო ისტორიების მიმართ და ამდენად, ინდივიდუალურია. ერთსა და იმავე პირობებში აღზრდილი ინდივიდები განსხვავებულ ცოდნას გვიჩვენებენ: გვართან იდენტიფიცირების სურვილის შემთხვევაში საგვარეულო ისტორიის ცოდნა დეტალიზებული, მისი ხარისხი მაღალია, მაშინ, როდესაც ამგვარი სურვილის არქონის შემთხვევაში ფაქტები და მოვლენები „გაფერმკრთალებული“ ან სრულიად „გამქრალია“, რაც ცოდნის ტრანსმისიას მის შთამომავლებში გამორიცხავს.

გარდა ამისა, გამოიკვეთა ერთგვარი ურთიერთგანპირობებულობა აქ ჩამოთვლილ მახასიათებლებს შორის:

1. ტრანსმისიის ხარისხი პირდაპირპორციულია საგვარეულო ისტორიების დეტალურ და

კონკრეტულ ცოდნასთან. რაც უფრო დეტალურია ცოდნა, მით უფრო მაღალია ტრანსმისიის ხარისხი; და პირიქით, რაც უფრო მწირია გვარის წარმომადგენელთა ცოდნა, მით უფრო ზოგადი და მითოლოგიზებული ხდება საგვარეულო ისტორიები და შესაბამისად, მით უფრო დაბალია ტრანსმისიის ხარისხი.

2. მამაკაცების აქტიური მონაწილეობა საგვარეულო ინფორმაციის ტრანსმისიის პროცესში და ქალების ინდიფერენტული დამოკიდებულება განპირობებული უნდა იყოს ოჯახში მათი სოციალური როლით: მამაკაცს, როგორც ჩანს, ევალებოდა არა მხოლოდ გვარის ბიოლოგიური გაგრძელება, არამედ გვარის სახელოვანი ისტორიის მეხსიერებაში შენახვა და მისი გადაცემაც. ანუ, ტრანსმისიის აქტიორები ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან.
3. რაც უფრო მაღალია რესპონდენტის კომპეტენცია, კერძოდ, მეხსიერების ფიგურების მნემოტექნიკის მეშვეობით შენახვა, მით უფრო ინტენსიურია ემოციურობის (დადებითი ან უარყოფითი) ხარისხი. და პირიქით, რაც უფრო დაბალია რესპონდენტების კომპეტენტურობის ხარისხი მეხსიერების ფიგურების მიმართ, მით უფრო მაღალია ისტორიებისა და პიროვნებების მითოლოგიზება.

ჩატარებულმა კვლევამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ზეპირი ისტორიები ისტორიული სურათის ადსადგენად, მაშინ როდესაც ოფიციალური საარქივო მასალები პოლიტიკური რეჟიმის გამო რეალური სურათის ადდგენის საშუალებას არ იძლევა, ძალიან ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ. კონკრეტული თემის შესახებ მასალების შეკრების დროს, როგორიცაა მაგალითთად, რელიგიური ორიენტაცია, ტრადიციები, გვარის წარმოშობა ან ბიოგრაფიული დეტალები, არ შეიძლება ერთი ინდივიდის ფარგლებში დაღინდეს. ეს მისი ინდივიდუალური მეხსიერების ამსახველია და არა საერთო საგვარეულო ინფორმაცია. საჭიროა მაქსიმალურად დიდი მოცულობის მასალის შეგროვება და მათი კრიტიკული ანალიზი რეალური სურათის „გასაფილტრად“.

ჩვენი კვლევისათვის არჩეული ოჯახის ისტორიაც არ უნდა განვაზოგადოთ მთლიან რეგიონზე. ჩვენს შემთხვევაში თვალნათლივ გამოიკვეთა რელიგიური ტოლერანტობისა და დაფარული ქრისტიანობის საკითხი, თუმცა ამ სურათის განვრცობა მთელს რეგიონზე, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არ იქნებოდა სწორი და ჩვენი კოლეგები, რომლებიც უკვე წლებია იკვლევენ მთიანი აჭარის სურათს რელიგიური თვალსაზრისით, მიიჩნევენ, რომ ის შედგავით, რომლებიც ჩვენ ავლევის შედგებად მივიღეთ, არატიპიურია ზემო აჭარისათვის და უფრო ინდივიდუალური შემთხვევის ფაქტად უნდა განვიხილოთ.

შესაბამისად, დიგიტალურ არქივში აღნიშნული მასალების ცალკეულ ისტორიებად ჩადება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ცალკეული რესპონდენტის პოზიცია რომ არ გახდეს

არასწორი დასკვნების გამოტანის მიზეზი. ამიტომ, მთლიანი მასალა, ამ დიდი გვარის წარმომადგენელთა ინტერვიუები ერთმანეთთან კაშშირში მყოფი, კრებითი ისტორიის სახით განთავსდა არქივში და თითვეული ინტერვიუს ცალკე რესურსად გამოყენება არ არის რეკომენდირებული.

## 7. ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მნიშვნელობა ინტერდისციპლინური კვლევებისათვის

პროექტის ფარგლებში მოპოვებული რესურსები, უპირველეს ყოვლისა, აჭარული დიალექტის და ზოგადად, აჭარაში გავრცელებული მეტყველების ამსახველია და შესანიშნავ მასალას წარმოადგენს ლინგვისტური კვლევებისათვის, როგორც სტრუქტურის, ისე ლექსიკური ფონდის კვლევის თვალსაზრისით. დიალექტური ლექსიკის გამოყენების შემთხვევაში რესპონდენტები საინტერესო ისტორიებს ყვებიან, ახასიათებენ სიტყვებს როგორც მისი შინაარსის, ისე გავრცელებულობის თვალსაზრისით, რაც კარგად წარმოაჩენს რესპონდენტის შეგნებულ დამოკიდებულებას ლექსიკისადმი.

### 3/მამრა:

- „ - ესები შილები არიან, ორი ქალბატონი. შილი თუ იცით, რაა? (ძ.ბ.)  
- აი, ეგ ხიტება არ გამიგია. ძველია? (ძ.თ.)

- ძალიან კარგი, თუ არ გაგიგიათ. ერთი ჩვენი გელინი...  
(გა.ბ.)

- გელინი ვიცი, რძალია, მაგრამ შილი - არა (გ.თ.)  
- ერთი ჩვენი ექიმი, ერთი ჩვენი ექიმი, მუშაობს შუახევში  
და მიყვება მე რომ, როი ქაღიათხეო, რომ შენი რა არისო ეს ქაღიო,  
და შილიაო. შეკითხევა კერ გავტევე, რას ნიშნავდა შილიო. ე.ი.  
უკვირთ იქ. იქ რომ ჩავიდა, გაუკვირდა. რომ ჩავედიო, რაჭაში  
დეიდაჩემთანო, მომეფერაო იქით, აქით, საჭმელი დამიღვაოთ და  
შვილო, ერთი შილთან გადავირდებოთ და მოვალო. დეიდა, შილი  
რა არი, რას ქვიაო და მაზლის ცოლს ქვიაო. მაშინ მიგხები,  
რომ ქართული არ მცოდნიაო. (გა.ბ.)“

პროექტის ფარგლებში მოპოვებული რესურსების კონტენტ-  
ანალიზი ასევე კალების საინტერესო პერსპექტივებს ხსნის  
მომიჯნავე დარგებისათვის თემატური თვალსაზრისით. ქვემოთ  
შევეცდებით რამდენიმე ასეთი საკვლევი თემის ან საკითხის  
გამოყოფას.

### **ა) რელიგიური და კულტურული სიმბიოზი აჭარაში**

აჭარა მეტად საინტერესო კუთხეს წარმოადგენს  
როგორც რელიგიური, ისე კულტურული თვალსაზრისით,  
ვინაიდან ოსმალების 300-წლიანმა ბატონობამ გარკვეული  
დაღი დაასვა საქართველოს ამ ისტორიული კუთხის სოციო-  
კულტურულ განვითარებას. აჭარის მაშვადიანი მოსახლეობის  
ფენომენის საკითხი არაერთხელ გამხდარა სამეცნიერო და  
საზოგადოებრივი კამათის საგანი. პროექტის ფარგლებში

ჩაწერილი მასალები საინტერესო დამოკიდებულებას გვიჩვენებს, დანახულს თავად აჭარელთა პერსპექტივიდან.

#### 4/მამრა:

„ – ხიხაძირში ხალგაშების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს დღეს. დანარჩენი, სახლები კი არის, დგას, მაგრამ წამოსულები ვართ... ზოგი აღრე, ახალგაზრდობაში წამოვიდა, ზოგი აედასახლდა, ზოგი – ქობულეთში... (რ.ბ.).

– გთქვათ, აი, სანათესაოში, არ აქვს მნიშვნელობა გაფანტული არიან თუ არა... ხშირად ხვდებით და გაქვთ მჟიდრო ურთიერთობა? შენ, როგორც ქრისტიანს და შენს ნათესავებს, რომლებიც შენი თაობის არიან და მაჲმადიანებად თვლიან თავს, რამე კონფლიქტს ვიქმნის ეს? (მ.თ.)

– ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. სოციალური ქსელებით ვკონტაქტობთ. ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლებობა უკვე ქრისტიანია. უფროსებიც, ბიძები და ბიცოლებიც მოინათლებენ. ნათესავის თუ ახლობელის მუხლიმობა არც კონფლიქტს წარმოქმნის და არც დისკომფორტს. იმიტომ, რომ, მაგალითად, ჩემთვის მაჲმადიანები დედახემის სარწმუნოების ხალხია. კომუნისტური პერიოდის აჭარაში მაჲმადიანობა იკრძალებოდა. ძალიან ცოტა იცავდა რიტუალებს და მათ შორის იყო დედახემიც. პოსტკომუნისტურ პერიოდში რაღაც მოდერნიზებული იხლამი გავრცელდა თურქეთიდან. აჭარული მაჲმადიანობა, ცოტა განსხვავებული ფენომენი იყო. ახალგაზრდები ახლაც მიჰყავთ და უსახყიდლოდ მაჲმადიანურ განათლებას აძლევენ. სხვათა შორის, ასეთი რაღაც თურქეთის საქართველოშიც მინახავს, კლარჯეთში. ასეთ

სასწავლებელში წაგიდა სოფლელი ბიჭი, რომელმაც განათლება მიიღო სადღაც დიდ ქალაქში და გაუცხოებული დაბრუნდა საკუთარ სოფელში, სვირევანში. მისი თანასოფლელებისგან გამიგია, რომ ამ კაცს ტვინი უკურმა ჩაუდესო. კ.ი. შინაგანად არავინ არ ხვემდა პატივს, თავისიანად აღარ თვლიდნენ იმ მოლას. იგივე ხდება აქაც. ტრადიციული ქართული მაჭადიანობა განსხვავებულია (რ.ბ.)

— შეიძლება ითქვას, აჭარაში შევუთული მაჭადიანობა იყო გაერცელებული, რომელიც ოსმალთა ბატონობის დროს თვითგადარჩნის მიზნით მიიღეს, გარეგნულად გამოიყურებოდა როგორც მაჭადიანობა, მაგრამ შინაგანად ძალიან ბევრი შეინახეს ქართული ტრადიციები. (მ.თ.)

— სწორედ ასეა. აჭარაში ძველი ქართული ტრადიციებია კონსერვირებული, ქრისტიანულიც და წარმართულიც. ჩემი ხოფელი — ხინაძირი იხტორიული ძეგლებით მდიდარი ადგილია. აჭარის მმართველები აბუსერიძეებიც იქ ცხოვრობდნენ, ხიმშიაშვილების რეზიდენციებიც იქ იყო. ცენტრი იყო, რეალურად. შემონახულია ბევრი ქრისტიანული ტაძრის ნაშიო. ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში გადარჩნილი ერთადერთი საეკლესიო ნაგებობა, სხალთის ტაძრიც ჩემს ხეობაშია. მაღალთის მთაზე კი წარმართული სალოცავიცაა შემორჩენილი, სადაც გახული საუკუნის ორმოციან წლებშიც კი აჯონხდათათ შესაწირავები. აი, უშმურზე რო გიყვებოდი, უშმური აბსოლუტათ, როგორც კახეთში გაგიგია, ზუხტად იხვევ იცოდნენ ჩვენთან. სხვათა მორის, ერთი ხენჯ იყო — გულფერ აბულაძე, აი, სულო რომ გითხარი, სულო — ბაბუას ბიძა, მახნე ცოტათი უფროხი, იმ

ხულოს მეუღლე, ბებიად მეუთვნოდა. ხოდა, იმ ქალმა ბევრი შელოცვები იცოდა. ბავშვობაში ხშირად კოხოვდი ხოლმე შელოცვას და ისიც დაიწყებდა ჩუმად რაღაცებს... მერე ასე გადამიბერავდა... მოკლეთ, კერთობოდი. გავიდა წლები, ორი ათას თრ წელს უნივერსიტეტის ქართველოლოგებს ქართველიაცია გვქონდა ჩემს ხოველში. გულვერ ნენჯ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მე რატომდაც მეგონა, რომ მიხი შელოცვები არ იყო ქართული. სიბერეში იშვიათად ლაპარაკობდა, ძალიან დაპატარავდა, ას წელს იყო მიტანებული. მახსოვს, თინა შიომვილმა წაუკითხა ერთი—ორი შელოცვა და ისიც ალაპარაკდა, დაიწყო ხმამაღლა შელოცვა. და როგორ იწყებოდა ეს შელოცვა იცი? „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათაო“. ეს იყო შოკი ჩემთვის. თურმე ქრისტიანული შელოცვებით ვიზრდებოდი (რ.ხ.)“:

ამ მონათხოობში საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავად აჭარლები განასხვავებენ ოსმალეთის ბატონობის პერიოდში აჭარის გამუსლიმანების ფაქტს გამუსლიმანების თანამედროვე ტენდენციისაგან. „ისტორიულ“ გამუსლიმანებას ისინი ისტორიული საჭიროებით განპირობებულად მიიჩნევენ და მას მოჩვენებით - „შეფუთულ“ მაჰმადიანობას უწოდებენ, მაშინ როდესაც დღეს აჭარაში გამაჰმადიანების მიმდინარე პროცესს პრინციპულად განასხვავებენ ისტორიულად განპირობებული აჭარული მაჰმადიანობისაგან. საინტერესოა აგრეთვე წარმართობის ელემენტების თანაარსებობა ამ რეგიონში. ზოგადად, კულტურათა და რელიგიათა სიმბიოზის კვლევის თვალსაზრისით, ეს რეგიონი უაღრესად საინტერესოა.

## **ბ) ქალის უფლებების ეთნოლოგიური და გენდერული პლატფორმა**

ქალთა უფლებების საკითხის კვლევა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, ერთ-ერთ აქტუალურ თემად მიგვაჩინა კულტუროლოგიური თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში შეგროვილი მასალები საინტერესო რესურსს წარმოადგენენ ინტერდისციალინური კვლევების განსახორციელებლად.

### **3/მამრ..:**

- „ - რა იცით, ასეთი მომენტია: აი, ხინდის-ნამუსის ხაჯითხი ძალიან ისეთი... მაღალ... მაღალ დონეზე იყო და ახალგაზრდა ქალი რო რჩებოდა ოჯახში, ნუ, აღბათ, შემობდონენ, რომ ან რაიმეს არ წამოგებოდა (გ.ბ.)
- რაც არ უნდა [პატიოსანი ერთიანობა]... (მ.თ.)
- ხო, ხო, რომ არ გაეჭორათ და ამიტომ ჩააბარეს პატრონს, ბატონო. (გ.ბ.)“

ინტერვიუების ჩაწერის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა ფაქტმა: კითხვაზე „თქვენი მშობლები ვინ არიან?“ რესპონდენტები სხვადასხვა თანმიმდევრობით ასახელებენ დედას და მამას: რესპონდენტთა ერთი ნაწილი ჯერ დედას ასახელებს და შემდეგ მამას, რესპონდენტთა მეორე ნაწილი კი პირუკუ. პირველადი დაკვირვებით, მამრობითი სქესის რესპონდენტები ჯერ მამას ასახელებენ და შემდეგ დედას, მაშინ როდესაც მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ჯერ დედას ასახელებენ და შემდეგ მამას. საინტერესოა, რომ ზოგადად, ქართული ენისათვის მყარი თანმიმდევრობა

არსებობს კომპოზიტებში გენდერული თვალსაზრისით: კომპოზიტის მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი დექსიკა პირველ პოზიციაში დგას, მამრობითი კი - მეორეში; მაგალითად: დედ-მამა, და-ძმა, ბებია-ბაბუა. თუმცა საპირისპირო კომპინაციის შემთხვევებიც გვაქვს: ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ბიძა-ბიცოლა. გენდერის თვალსაზრისით ამ ორი მოდელის თანაარსებობა დრმა სოციოლოგიურ კვლევას მოითხოვს. ვფიქრობთ, ამ საკითხის რეგიონების მიხედვით კვლევა საინტერესო სოციოლოგიური დასკგნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს.

### გ) სოციალური ცხოვრების მოდელი მაღალმთიან აჭარაში

პროექტის ფარგლებში ჩაწერილი მასალების ანალიზი ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მაღალმთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოდელზე. ასეთად გვევლინება, მაგალითად, აჭარის სოფლებში ტრადიციად ქცეული ურთიერთდახმარების სოციალური მოდელი, რომელიც ბავშვის ერთი გვარის ფარგლებში ეკონომიკური მდგომარეობით მოტივირებულ გაშვილებაში გამოიხატება.

#### 3/მამრ.:

„ - და ჩვენ როგორ ვიზდებოდით ახლა! ჩვენ რომ ბევრი ბიჭები ვიყავით, მამაჩემს ... მამიდები უკვდა და მოდიო, ახლა სანამ შვილები გაუჩდებოდა, ჭო, რომელიმეო იშვილოსო, რა... პოდა, დედაჩემი არ შობოდა. მეო, ჩემს შვილებს იხე

გავზდიო, რომ სანამ საჭირო იქნება, მოქმედი ურებიან, როგორც შვილებით და... გაშვილებით ვერ გავაშვილებო და. გ. ი. ასე ვიყავით გაზდილი. აი, მევიდოდით სკოლიდან, ხომ პირველათ უნდა დაგვეჩეხა, ბიძაჩემი ხომ სულ თანამდებობაზე იყო, პირველათ უნდა დაგვეჩეხა ბიცოლაჩემისთვის შემა, უნდა ეს შემა ეზოდან აგვეტანა, საღაც საჭირო იყო, იქ. მერე უნდა მისი ძროხები მოგვე...მოგვე...მოგვერება, მოგვეძებნა, ცხვრები იქნებოდა... შველაფერი, როგორც დედას, ვერაცხან ურებოდით (გ.ბ.)“

**დ) ჯგუფური ინტერვიუ მესამე და მეოთხე თაობის  
წარმომადგენლებთან დედმამიშვილებზე დაქორწინების  
შესახებ**

- „ - ეს მიღებული იყო თუ? (მ.თ.)
- დების ძებზე გაყოლა? (გ.ბ.)
- ისტორია ხო არ იციო, საიდან მოხდა ეს ამბავი? (მ.თ.)
- მე ვიცი ეს ისტორია (რ.ბ.)
- ნუ, ახლა შემთხვევები არის, ასეთი შემთხვევები, მაგრამ ახლა ტრადიცია რომ იყოს, რომ ტრადიცია დაგარქვათ, არა (გ.ბ.)
- არა, ტრადიცია არა, როგორ მოხდა, უბრალოდ... დედა გამოთხოვდა...და იმით გაიცნებ თუ? (მ.თ.)
- ბებიაჩემი ერთი ხეობიდან გამოთხოვდა შეორე ხეობაში დედის მხრიდან. დედაჩემიც... იმ დროისათვის... ახლა არაფერი არა არის მანძილი, მაგრამ მაშინ შორს იყო... პოდა,

- ეს რო მარტო არ დარჩენილიყო მთლად, ამ ახალგაზ-  
რდებსაც, უჩვება, მოწონდათ ერთმანეთი... (გ.ბ.)
- იმ ძველმა მაჭანკლებმა... (გ. ბ.)
  - მოწონდათ ერთმანეთი და იფიქრებ, რომ (გ.ბ.)
  - ახე აჯობებს და არ დარჩა მარტოდ (გ. ბ.)“

### ე) მთის ტრადიციები და მორალი ეთნოლოგიურ ჟრილში

ერთი გვარის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან  
ინტერვიუებში კონტენტანალიზის შედეგად უამრავი საინტერვ-  
სო ტრადიცია გამოიპვეთა, რომლებიც ეთნოლოგიური თვალ-  
საზრისით კვლევის საინტერესო პერსპექტივებს ხსნის. ასეთი  
არის გელინის - „რძლის“ ფენომენი აჭარაში.

#### 3/მამრა:

„ - ერთ პატარა მაგალითს მოგიყვები ახლა. საერთოდ,  
სოფელში როგორ იყო ახლა, საერთოდ, რძალს რომ  
მოყვანდნენ, კარგი რძალი ის იყო, ვინც უველაზე ადრე  
გაიღვიძებდა და ბუხარში ცეცხლს დაანთებდა, კვამლს  
აადენდა სახლზე. ახლა გვიყვებოდა ეს მამაჩემი, რომ ეს  
დედათქვენიო. ძალიან პატარა მოგიყვანეო და დილასო,  
ეძინებოდა, ადრე ვერ იღვიძებდაო, მაგრამო, მე ხომ ამისთვის  
ავტორიტეტი უნდა შემუშავო სოფელში და მოვიტანდი დიდ  
ჯირებს, დაწოლის დროს შევაგდებდი და გააჩენდა ბოლს  
მთელი ლამე კვამლავდა ხორო. ხოდა, მთელი დამე... ლვიძავსო,  
და .... სამეზობლო გაახელდა თვალს, კვამლი ადის, ე.ო. კაი  
რძალი მოუყვანიათ. (გ.ბ.)

- ბებიას ავტორიტეტსაც ქმნიდა თვითონ მას. (მ.ხ.)
- კი, კი, ნამდვილად. (გ.ხ.)
- ამიტომ შეარქება „დიდი გელინი“. (მა.ხ.)
- ანუ ეს რა მაგალითია, რომ ერთმანეთს უნდა კიდევ პატივი. (გ.ხ.)
- რა ვიცი, მე არ მახსოვებ, უმცროსი ვიყავი, რომ ოდნავ რომ შეკამათვებულიყვნენ მამაჩემი და დედაჩემი... (მი. ხ.)
- თქვენს წინაშე არ კამათობდნენ თუ ზოგადად არახოდებ არ კამათობდნენ? (ძ. თ.)
- ჩვენთან არ კამათობდნენ. (მი. ხ.)
- როგორ არ კამათობდნენ კაცო, ოჯახი იმის გარეშე როგორ იქნება? მაგრამ ჩვენ არ გვაჩვენებდნენ. (გ.ხ.)“

#### 3/4. თაობა, მამრ.:

- „ - კახეთში, მაგალითად, უცროსი ვაჟი რჩება ოჯახში, ძირეულ ოჯახში და ყველა დანარჩენი, ვინ ცალკე სახლს იშენებს, ცდილობს შორს არ წაგიდებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, განსახლება ხდება უმცროსი ძმების. (ძ.თ.)
- აჭარაში არის პირიქით. (გ.ხ.)
  - ანუ ბატონი მიხეილი უნდა დარჩენილიყო? (ძ.თ.)
  - ამას შეუძლია სტრანგური იჩივლოს. (გ.ხ.)
  - სახლში ვინც იყო, მან მას უთხრა, რომ შენ რჩები ამ სახლში თუ არაო იმან უთხრა, ვრჩებიო, ნებართვა აიღო და ამან წამოვიდა, იმან დარჩა. (მა.ხ.)
  - არავითარი ზედმეტი, ძალადობა, რამე არ ყოფილა, ეს უბრალოთ, ჩვენ... (მი. ხ.)

- უბრალოთ, ჩვენ ტრადიციულზე კლაპარაკობთ, თორებ ახლა საღაა? (გ.ბ.)
- ტრადიციაც არ იყო, შეთანხმება, რაღაცა, ხომ? როგორ შეთანხმდებოდნენ. (მ.თ.)
- იხე, იხე ძველი ტრადიცია უფრო არი, რომ პატარა რჩება ოჯახში, ვიდრე - უფროსი. (რ.ბ.)
- იხე პატარა და დარჩეს ახლა, დიდმა რატომ და დარჩეს? (გ.ბ.)“

### ვ) აღმზრდელობითი საკითხი მთაში

- „ - რა მახსოვს კიდევ... უფროსი ძმა იყო, თცდაერთი წლით უფროსი იყო რეზო ჩემზე და ეწეოდა სიგარეტს... მეიდან რდაში და რაცხაზე გამაბრაზა, ბიჭო, და შევედი, რომ მამაჩემი რაღაცას აკეთებს. ჰოდა, რეზო იმას, სიგარეტს ეწევა-მეთქი. თან ახე ამხედა, გეიგე? ეს ეწო დამადგა თავზე: კაცი გაყიდეთ? იმის მერე... დამთავრდა. იხეთი ამბავი იცოდა... პირდაპირ თავში ეწო... კაცი გაყიდეთ? (გ.ბ.)
- აი, მას მერე შენ არასოდეს ვინაუ მართლა არ გაგიყიდია, აი.... (რ.ბ.)
  - ეს იყო რაღაც... (გ.ბ.)
  - ოოო, მაგარი იყო... მაგარი რა. (რ.ბ.)“

აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი თემა თავისთავად უდავოდ საინტერესოა და დამატებით და სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. გარდა ზემოთ მოყვანილი საკითხებისა, პროექტის ფარგლებში ჩაწერილი მასალა სხვა ინტერდისციპლინური კვლევების საშუალებასაც იძლევა.

## თავი IV

### ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუ- მენტირება

დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებამ და ენათა და კულტურათა ელექტრონული დოკუმენტირების საშუალებების გაჩენამ სრულიად ახალი პარადიგმა შექმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. ცხადად გამოიკვეთა, რომ მეცნიერება XXI საუკუნეში უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით მოპოვებული ინტერდისციპლინური კვლევის რესურსების შექმნას მოითხოვს, ვინაიდან:

1) თანამედროვე მეცნიერება, ძირითადად, ინტერდისციპლინური დარგების გაჩენის გზით ვთარდება და შესაბამისად, კვლევებიც ინტერდისციპლინურ რესურსებზეა ორიენტირებული;

2) რესურსების დამუშავების დროს თანამედროვე მეცნიერება კვლევის ციფრულ ინსტრუმენტებს იყენებს, რაც თავისთავად გულისხმობს კვლევის რესურსების დიგიტალური ფორმატის უპირატესობას. კვლევის პროცესში დიგიტალური რესურსების დიგიტალური ინსტრუმენტებით დამუშავებას დღეს ალტერნატივა არა აქვს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიგიტალური ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ჰუმანიტარული მეცნიერებები. ხელახლა დაისვა კითხვა, თუ რა არის დღეს ჰუმანიტარული მეცნიერების ცალკეული

დარგის კვლევის ობიექტი? პერძოდ, რა არის ენისა და კულტურის დოკუმენტირების შემთხვევაში კვლევის ობიექტი? (ანუ რის დოკუმენტირებას ვცდილობთ?) და როგორ მოვიპოვოთ და შევინახოთ რესურსები ციფრული მეცნიერების საუკუნეში? რა მეთოდები უნდა გამოვიყენოთ რესურსების მოპოვების დროს, რათა შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში მათი ფართო გამოყენება (ინტერდისციპლინურობა) და შენახვა (მდგრადობა), ანუ დიგიტალურად დამუშავება და საიმედოდ დაცვა მომავალი კვლევისთვის?

საკითხის ამგვარად დასმამ ბიძგი მისცა ენებისა და კულტურების დოკუმენტირების შემდგომ განვითარებას და რაც მთავარია, ცნება დოკუმენტირების რეინტერპრეტაციას.

## 1. რა არის დოკუმენტირება?

დოკუმენტირება განისაზღვრება, როგორც ფაქტებისა და მოვლენების შეკრების, სორტირებისა და კლასიფიცირების პროცესი. ენასა და კულტურასთან მიმართებაში დოკუმენტირების, როგორც ცნების, ამგვარი განსაზღვრა, ერთი შეხედვით, ემთხვევა ენისა და კულტურის აღწერას (დესკრიფციას). თუმცა, ენებისა და კულტურების კვლევის თანამედროვე მეთოდების განვითარებამ არსებითად შეცვალა დოკუმენტირების, როგორც ცნების, შინაარსი.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტირება არ არის მასალის უბრალო ჩაწერა-ფიქსაცია. ამ ცნებამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში უფრო ფართო და მრავალწახნა-

გოვანი შინაარსი შეიძინა. XXI საუკუნის გამოწვევების შესაბამისად ხელახლა დამუშავდა დოკუმენტირების ძირითადი პრინციპები და მეთოდები, რომლებმაც საფუძველი დაუდო ენებისა და კულტურების დოკუმენტირების თვისობრივად ახალ ეტაპს - დიგიტალურ დოკუმენტირებასა და არქივირებას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების 200 წლისთავისათვის მიმდინარეობდა მზადება, სამეცნიერო წრეებში დაისვა საკითხი: რა მოუტანა ამერიკის კონტინენტის აღგილობრივ მოსახლეობას ევროპელთა კოლონიური პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილმა მულტიეთნიკურმა კონგლომერატმა – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა? მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მეცნიერების ერთსულოვნება ერთ საკითხში ცხადად გამოიკვეთა: ბოლო 200 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა ინდიგენური მოსახლეობის რიცხვი, გაქრა მრავალი ენა და მასთან ერთად კულტურაც ისე, რომ ზოგიერთის შესახებ მწირი ცნობებიც კი არ შემორჩენილა. ამ სავალალო შეფასებამ საგონებელში ჩააგდო თანამედროვე მეცნიერება და დღის წესრიგში დაიყენა ენებისა და კულტურების მულტიდისციპლინული ანალიზის საჭიროება. კვლევის მთავარ მიზნად იქცა იმის დადგენა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ინდიგენური უმცირულობის ენები (და არა მარტო უმცირესობის), ემუქრებათ თუ არა მათ გაქრობის საფრთხე.

პირველი სამეცნიერო სემინარი თემაზე „საფრთხეში მყოფი ენები“ 1993 წელს ჩატარდა გერმანიაში. საკითხის მრავალმხრივმა და დრმა ანალიზმა ენათა დოკუმენტირების სრულიად ახალი პერსპექტივები წარმოაჩინა.

მეცნიერების განვითარების ფონდი Volkswagen Stiftung-ი XXI საუკუნეს ახალი ინიციატივით შეხვდა - შეიმუშავა სამეცნიერო კვლევითი პროგრამის **DOBES<sup>26</sup>** (Dokumentation der Bedrohten Sprachen) კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავდა საფრთხეში მყოფი ენების დოკუმენტირებას მათი არქივირებისა და შესაძლო რევიტალიზაციის მიზნით.



1999-2011 წლებში პროგრამის ფარგლებში სულ 67 სამეცნიერო პროექტი განხორციელდა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე, რომელთა კვლევის შედეგად დამუშავდა დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების დღეისათვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტი.

პროგრამის ფარგლებში დამუშავდა ენებისა და კულტურების დოკუმენტირების ახალი სტრატეგია, შემუშავდა ძი-

---

<sup>26</sup> <http://dobes.mpi.nl/>

რითადი პრინციპები და მეთოდოლოგია და რაც მთავარია, შეიქმნა დიგიტალური რესურსების დამუშავებისა და არქივირების ტექნოლოგიური ინსტრუმენტები. პროგრამის ფარგლებში მოპოვებული რესურსების არქივირებისათვის ნეიმების მაქს პლანკის ინსტიტუტში შეიქმნა ენათა არქივი **TLA** (The Language Archive), სადაც თავმოყრილია **DOBES**-ის ფარგლებში მოპოვებული მასალები.

ენათა და კულტურათა დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების თეორიული საფუძვლებისა და მეთოდოლოგიის დამუშავებამ, ერთი მხრივ და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების განვითარებამ, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო დიგიტალური პუმანიტარიის ფარგლებში ახალი დისციპლინის – **დოკულინგვისტიკის** დაბადებას. მეცნიერების ამ ახლად განვითარებულ დარგს დღეისათვის საკუთარი თეორიული ბაზისი (დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების ძირითადი პრინციპები და მეთოდები) და საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფა აქვს – რესურსების მოპოვების (მასალის ჩაწერის), აღრიცხვის (რეგისტრაციის), ტექნიკური დამუშავების (დიგიტალიზაციის), შენახვის (არქივირების) და შემდგომი მოვლის (დაცვის) მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური საშუალებები.

## 2. ენის დოკუმენტირების ძირითადი მიზნები და პრინციპები

ენის დოკუმენტირების ახალი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული:

1. ენათა გაქრობის მზარდი პროცესით;
2. ენის ინტერდისციპლინური კვლევის აუცილებლობით;
3. დიგიტალური რევოლუციით;

4. ენათა დოკუმენტირების ახალი კონცეფციით, რომელ-  
მაც სათავე დაუდო ლინგვისტიკის ახალი მიმართულების –  
„დოკულინგვისტიკის“ შექმნას<sup>27</sup>;

ენათა გაქრობის საშიშროების გაცნობიერებამ ცხადი  
გახადა, რომ ენის გაქრობასთან ერთად ქრება ამ ენის მატა-  
რებელი სოციუმის კულტურული მემკვიდრეობა, ქრება სოცი-  
უმის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების შესაძლებ-  
ლობა. საკითხის ამ კუთხით განხილვამ წინა პლანზე წამო-  
სწია არა მხოლოდ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის დოკუ-  
მენტირების, არამედ ენისა და კულტურის ინტერდისციპლინუ-  
რი დოკუმენტირების აუცილებლობა. დიგიტალური რესურსე-  
ბის შექმნისა და მათი ავტომატური გადამუშავების ტექნოლო-  
გიების განვითარებამ სრულიად შეცვალა ენობრივი რესურსე-  
ბის მოპოვების, სტრუქტურირებისა და შენახვის შესაძლებლო-  
ბები.

**დოკულინგვისტიკის** ერთ-ერთი დამფუძნებელი **6. ჰი-  
მელმანი** (Nikolaus P. Himmelmann) არ კმაყოფილდება ენის ტრა-  
დიციული დოკუმენტირების სტანდარტით: ცნობილი ენათმეც-  
ნიერისა და ანთროპოლოგის, ფრანც ბოსის, მიერ შემუშავებუ-  
ლი ტრიადა – **გრამატიკა, ლექსიკონი, ტექსტი** – იცვლება ანო-  
ტირებული ელექტრონული კორპუსების შექმნითა და ენობრი-  
ვი რესურსების დამუშავების მულტიმედიალური ფორმატის  
განვითარებით. 6. ჰიმელმანის მიხედვით, ენის დოკუმენტირება

---

<sup>27</sup> N. Himmelmann, *Documentary and descriptive linguistics*, Linguistics 36 (1998). 161-195.

ნიშნავს ენობრივ მონაცემთა თანმიმდევრულ და მრავალმიზნობრივ (ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის გათვლილ) შეგროვება-დაფიქსირებას, მოპოვებული რესურსების ტექნოლოგიურ დამუშავებას და მათ არქივირებას.

ენათა თანამედროვე დოკუმენტირება არსებითად განსხვავდება ენის დესკრიფტივისაგან. იგი მიზნად ისახავს არამხოლოდ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის კვლევას და აღწერას, არამედ კაცობრიობის სულიერი მემკვიდრეობის დოკუმენტირებასაც, კერძოდ:

1. კულტურული მემკვიდრეობის შენახვას და გადაცემას ამ ენის მატარებელი სოციუმის მომდევნო თაობებისათვის;
2. ყოვლისმომცემული და სრულფასოვანი ემპირიული მასალის შეკრებას ემპირიული კვლევებისათვის;
3. მოპოვებული მასალების ინტერდისციპლინული კვლევებისათვის გამოყენების შესაძლებლობის შექმნას;
4. საფრთხეში მყოფი ენის გადარჩენის ხელშეწყობას.

დიგიტალური დოკუმენტირება და არქივირება, დოკულინგვისტიკის მიხედვით, შემდგა აუცილებელ კომპონენტებს მოიცავს:

### I. სავალე ექსპედიციის (Fieldwork) კონცეპტუალიზაცია და პრაქტიკული გამხორციელება

სამეცნიერო ექსპედიციის ჩატარებამდე აუცილებელია ექსპედიციის კონცეპტუალური დაგეგმვა:

1. ექსპედიციის გეგმა-გრაფიკის შემუშავება;
2. ექსპედიციის პრაქტიკული განხორციელების ოპტიმირება ისეთი რისკფაქტორების გათვალისწინებით, როგო-

რებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო-პოლიტიკური, კლიმატური, რელიგიური ფაქტორები, საომარი მოქმედების ზონა, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და ა. შ.;

მასალების საველე პირობებში მოპოვების პროცესში აუცილებელია დოკულინგვისტიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება, კერძოდ:

1. მასალის მოპოვება ენობრივი კომპეტენციის განსხვავებული საფეხურების შესაბამისად;
2. ენის/დიალექტის გამოყენების სფეროების დადგენა ბილინგვიზმის პირობებში;
3. კოდების ცვლისა და ენის/დიალექტის საფრთხეში ყოფნის ინდიკატორების დადგენა;
4. ასაკობრივი ცენტისა და გენდერული ბალანსის დაცვა;
5. ოქმატურად მრავალფეროვანი მასალის მოპოვება.

თემატური მასალების მოპოვების დროს აუცილებელია ინტერვიუების ბუნებრივ პირობებში ჩაწერა. მაგ., ვაზის კულტურის შესახებ ინტერვიუ სასურველია ვენახში ჩავიწეროთ, მაგალითად, უკრძნის მოსავლის აღების დროს, რელიგიური და რიტუალური თემების შესახებ ინტერვიუები პროცედურულ ან სადღესასწაულო რიტუალების დროს უნდა დაიგეგმოს და ა.შ..

დოკუმენტაციის დროს გამოიყენება როგორც თბსერვაციული მეთოდი (სიტუაციებზე და მოვლენებზე დაკვირვების მეთოდი), ისე ელიციტაციური მეთოდი (ინფორმანტების მიზნობრივი გამოკითხვის მეთოდი).

მასალის გადაღების პროცესში გასათვალისწინებელია ტექნიკური პარამეტრების დაცვა:

1. გადაღების ობიექტის განსაზღვრა;
2. კადრების მონაცელების აუცილებლობის განსაზღვრა;
3. გამოსახულების ოპტიმირება;
4. გადაღების ხედის ცვლა.

დოკუმენტირების პროცესში გადაღებული ვიდეომასალა არ არის მხატვრული ან დოკუმენტური ფილმისათვის განკუთვნილი, ამიტომ სასურველია კადრების ცვლილების სიხშირე მინიმუმამდე შევამციროთ.

### **3. ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი**

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ ორი უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. პროექტს აფინანსებდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდებოდა 2016-2019 წლებში. პროექტს ხელმძღვანელობდა პროფ. რამაზ ხალვაში. პროექტის წევრები იყვნენ: ასისტ. პროფ. მზია ხახუბაშვილი, ასოც. პროფ. ნანა ცეცხლაძე, ასოც. პროფ. გრიგოლ ჭახიანი, ასოც. პროფ. რუსუდან პაპიაშვილი, ასოც. ხათუნა ბერიძე, დოქტორანტი შორქნა ფუტკარაძე. პროექტის უცხოელი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფ. მანანა თანდაშვილი.

პროექტის მიზანი გახლდათ აჭარის რეგიონის ლინგვოკულტუროლოგიური პროფილით დოკუმენტირება და შესაბა-

მისად, ინტერდისციპლინური რესურსის შექმნა, ერთი მხრივ, და უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ ღოკულინ-გვისტიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით მოპოვებული რესურსების დიგიტალური დამუშავება-არქივირება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ადნიშნული პროექტის ფარგლებში შეიკრიბა და დამუშავდა 100 სა-ათის მოცულობის მასალა, რომელიც ასახავს აჭარის სხვა-დასხვა რეგიონებში მცხოვრები ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების საყოფაცხოვრებო, კულინარიული, სოციოკულტურული, რელიგიური, ენობრივი, კულტუროლოგიური და სხვა სახის მასალას.

ა) კვლევითი თემის აქტუალობა

XXI საუკუნეში პუმანიტარული მეცნიერება უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით დოკუმენტირებულ და არქივირებულ ინტერდისციპლინურ კვლევით რესურსების ეფუძნება.

ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი (DigiArchive), რომელშიც საქართველოში გავრცელებული ქნების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დოკუმენტირებული მასალა განთავსდება მომავალში, ჩაფიქრებულია, როგორც დასავლური სამეცნიერო დირექტორებისა და ცოდნის საქართველოში დაწერგვის ერთი კონკრეტული შესაძლებლობა. ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი თავს მოუყრის ევროპული სტანდარტების მიხედვით დამუშავებულ კვლევით რესურსებს, რომელიც გამოყენებადი იქნება ინტერდისციპლინური კვლევების განსახორციელებლად.

დიგიტალური არქივის პროექტი შეიქმნა თანამედროვე სამეცნიერო დირებულებების გათვალისწინებით და თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს კვლევების ეფიციენტობის ამაღლებას.

პროექტის ფარგლებში მოპოვებული მასალების ლაბორატორიული დამუშავებისათვის გამოვიყენეთ დღეისათვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც დამუშავდა ფოლკსაგენის ფონდის პროგრამის DOBES-ის ფარგლებში და მიზნად ისახავდა საფრთხეში მყოფი ენების დოკუმენტირებას მათი არქივირებისა და შესაძლო რეგიტალიზაციის მიზნით.

ენობრივ მონაცემთა ელექტრონული არქივირებისათვის გამოვიყენეთ საარქივო მულტიმედიური ფორმატი EAF-ი, რომელიც ნეიმეხენში, მაქს პლანგის ინსტიტუტში შემუშავდა და წარმოადგენს სამი სახის - ვიდეო, აუდიო და ტრანსკრიპციებული ტექსტის სინქრონიზაციას. აღნიშნული ფაილი საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ ტრანსკრიპციებულ ტექსტს, რომელიც სინქრონიზებულია ვიდეოგამოსახულებასთან და აუდიოსიგნალთან. ენობრივი რესურსის ამგვარად მომზადება-არქივირება საგრძნობლად ამაღლებს პროდუქტის ხარისხს, ვინაიდან: ა) იძლევა მასალის ვერიფიცირების საშუალებას და ბ) რესურსს ანიჭებს ინტერდისციპლინური კვლევის რესურსის სტატუსს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუდიო- და ვიდეომასალები, რომლებიც საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ინსტიტუციის, მათ შორის, ბათუმის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ლინგვოკულტურო-

ლოგიურ ექსპედიციებშია მოპოვებული (საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი) დღემდე არ არის აღრიცხული, არქივირებული და გამოქვეყნებული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა უფრნეციოდაა დარჩენილი, გაბნეულია ცალკეული მეცნიერის ან მეცნიერთა ჯგუფის პირად არქივებში, რაც შეუძლებელს ხდის ამ მასალის შემდგომ გამოყენებას. პროექტის ფარგლებში გაციფრდა შემანა ფუტკარაძის მიერ გასულ საუკუნეში ჩაწერილი მასალები და მოხდა მისი ინტეგრაცია დიგიტალურ არქივში, რის შედეგადაც იგი ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის. ახალი მასალების მოპოვება განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით. კვლევის ფოკუსში იდგა რამდენიმე თემა: ეთნოლოგიური სურათის დოკუმენტირება, რელიგიური თანაარსებობა, ისტორიული მოვლენები, კულინარია, ბიოგრაფიები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეხსიერების ფორმების კვლევას.

### **ბ) რესურსების დამუშავების ტექნოლოგიები და მოცულობა**

რესურსების დამუშავება ეტაპობრივად განხორციელდა შემდეგი ამოცანების შესაბამისად:

1. მოპოვებული მასალები აღირიცხა საერთაშორისო სტანდარტის TEI (Text Encoding Initiative) მიხედვით.
2. მოპოვებული მასალები დამუშავდა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) ვიდეომასალა აღირიცხა სისტემურად და მომზადდა საარქივოდ.

ბ) განხორციელდა ვიდეოფაილების დაჭრა-დახარისხება (Making Session);

გ) მასალა აღიჭურვა საერთაშორისო სტანდარტის საგანგებო მეტამონაცემების **IMDI [ISLE (International Standard for Language Engineering ) Meta Data Initiative]** ფორმატის მიხედვით;

დ) მასალა გატექსტდა ტრანსკრიბირებას კოდირების საერთაშორისო კონსორციუმის **Unicode**-ის სტანდარტების შესაბამისად;

ე) ტრანსკრიბირებული მასალა დამუშავდა მონაცემთა მართვის, ტექსტის გარჩევისა და ანალიზის მულტიმედიურ ფორმატში FLEX ((Fieldworks Language Explorer), ორმლისთვისაც გამოვიყენეთ ანოტაციის საერთაშორისო სტანდარტი - მულტიმედიური ანოტირების პროფესიული ინსტრუმენტი **ELAN**;

ვ) ვიდეო, აუდიო და მულტიმედიურად ანოტირებული ფორმატი კონვერტირდა **EAF** (**ELAN Annotation Format**) ფორმატში.

პროექტის ფარგლებში დაარქივებული რესურსები დამუშავების ხარისხის მიხედვით ოთხ ჯგუფად დახარისხდა:

**A ტიპის რესურსი:** არქივირებული აუდიო- და ვიდეომასალა - 100 საათი (MP3 და AVI ფორმატი);

**B ტიპის რესურსი:** არქივირებული აუდიო- და ვიდეომასალები ტრანსკრიბირებული ტექსტის თანხლებით 30 საათი (ELAN-ში სინქრონირებული რესურსები);

**C ტიპის რესურსი:** არქივირებული ვიდეომასალები მულტიმედიური ანოტირებით - ტრანსკრიპცირებული, გლოსირებული და ინტერლინიალიზებული - 10 საათი (FLEX-ში დამუშავებული);

**D ტიპის რესურსი:** პროექტის ფარგლებში დიგიტალურად დოკუმენტირებული და არქივირებული ვიდეომასალა მულტიმედიური ანოტირებით და ინგლისური თარგმანით - 5 საათი (EAF ტიპის რესურსი).

### გ) პროექტის სამეცნიერო დირექტება

ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიარქივის შექმნამ, რომელიც ამჯერად მხოლოდ აჭარაში გავრცელებული ქნებისა და კულტურების დოკუმენტირებას ისახავდა მიზნად, საფუძველი შეუქმნა საქართველოში გავრცელებული ქნებისა და კულტურების შემდგომ დოკუმენტირებას. კერძოდ:

1. საქართველოში პირველად შეიქმნა დიგიტალური არქივი, რომელიც ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას;

2. კვლევის ინოვაციური მეთოდების დანერგვა და დიგიტალური რესურსების გამოყენება უფიციენტურს გახდის პუმანიტარულ კვლევებს საქართველოში;

3. DigiArchive-ის შექმნა მდგრადობას მიანიჭებს დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების განვითარებას საქართველოში; DigiArchive-ის სახით პირველად

შეიქმნა დოკუმენტირებისა და არქივირების თანამედროვე ჩარჩო-სტანდარტი;

4. პროექტის ფარგლებში მოპოვებული და დამუშავებული რესურსები არქივირების შედეგად ინტერნაციონალური მოხმარების პროდუქტს წარმოადგენს და უდავოდ შეუწყობს ხელს ქართული რესურსების ინტერნაციონალიზაციას.

5. DigiArchive ღია რესურსს წარმოადგენს და შევსებადია. პროექტის ფარგლებში შექმნილი „დიგიარქივის გზამკვლევი“ დაეხმარება ნებისმიერ დაინტერესებულ მკვლევარს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს მასალა არქივირებისათვის.

6. DigiArchive-ის შექმნა უდავოდ შეუწყობს ხელს ახალგაზრდა კადრების დაინტერესებას დიგიტალური ჰუმანიტარიით და მათ მოზიდვას ახალი დისკიპლინის შესასწავლად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 2015 წლიდან მოქმედებს დიგიტალური ჰუმანიტარიის მაინორი პროგრამა, რომელიც ამ დარგში პირველი აკრედიტებული პროგრამაა საქართველოს მასშტაბით.

**ლიტერატურა, რესურსები და სასარგებლო ბმულები:**

1. Steven Bird & Gary Simons, "The OLAC Metadata Set and Controlled Vocabularies," *Proceedings of ACL/EACL Workshop on Sharing Tools and Resources for Research and Education* (2001). <http://arXiv.org/abs/cs/0105030> October 30, 2004).
2. Dublin Core Metadata Initiative. <http://dublincore.org> (October 30, 2004).
3. Open Archives Initiative. <http://www.openarchives.org> (October 30, 2004).
4. Open Language Archives Community. <http://www.language-archives.org> (October 30, 2004).
5. Jeff Good, "Gentle Introduction to Metadata," *OLAC Notes* (2002). <http://www.language-archives.org/documents/gentle-intro.html> (October 30, 2004).
7. Dublin Core Metadata Element Set, Version 1.1: Reference Description (February 2003). <http://dublincore.org/documents/2003/02/04/dces/> (October 30, 2004).
8. Stuart Weibel, "Dublin Core: A Simple Content Description Model for Electronic Resources," *Discovering Online Resources* (archive version, July 2001).
9. Jung-ran Park, "Hindrances in Semantic Mapping among Metadata Schemes: A Linguistic Perspective," *Journal of Internet Cataloging* 5(3) (2002): 59-79.
10. Jung-ran Park (College of Information Science and Technology, Drexel University), Language-Related Open Archives: Impact on Scholarly Communities and Academic Librarianship, in.: *Electronic Journal of Academic and Special Librarianship*.  
([http://southernlibrarianship.icaap.org/content/v05n02/park\\_j01.htm](http://southernlibrarianship.icaap.org/content/v05n02/park_j01.htm))
10. DCMI, "DCMI Metadata Terms," (March 2003). <http://dublincore.org/documents/2003/03/04/dcmi-terms/> (October 30, 2004).
13. OLAC metadata. <http://www.language-archives.org/OLAC/metadata.html> (October 30, 2004).

14. Los Alamos National Laboratory. <http://lib-www.lanl.gov/lww/> (October 30, 2004).
15. The Open Archives Initiative (2002). <http://lib-www.lanl.gov/lww/oai.htm> (October 30, 2004).
16. Open Archives Initiative Protocol for Metadata Harvesting. <http://lib-www.lanl.gov/lww/oai.htm> (October 30, 2004).
17. Hervert Van de Sompel and Carl Lagoze, "The Santa Fe Convention of the Open Archives Initiative," *D-Lib Magazine* 6 (2) (February 2000).
18. Open Archives Initiative Frequently Asked Questions (FAQ). <http://www.openarchives.org/documents/FAQ.html> (October 30, 2004).
20. Van de Sompel, "The Santa Fe Convention of the Open Archives Initiative," *D-Lib Magazine* 6, no. 2 (February 2000).
21. OAI, Registered Data Providers.  
<http://www.openarchives.org/Register/BrowseSites.pl> (October 30, 2004).
22. *Linguistic Exploration: Workshop on Web-Based Language Documentation and Description* (2000). <http://www.ldc.upenn.edu/exploration/expl2000/> (October 30, 2004).
23. OLAC Mission. <http://www.language-archives.org/> (October 30, 2004).
24. Steven Bird & Gary Simons, "OLAC Metadata," (2002a). <http://www.language-archives.org/OLAC/metadata.html>. (October 30, 2004)
26. ISO. "ISO 639: Codes for the Representation of Names of Languages" (1998). <http://lcweb.loc.gov/standards/iso639-2/langhome.html> (October 30, 2004).
27. Barbara F. Grimes (editor), *Ethnologue: Languages of the World*. Dallas: Summer Institute of Linguistics, 14<sup>th</sup> edition (2000). <http://www.sil.org/ethnologue> (October 30, 2004).
28. The Linguist List. Available: <http://linguist.emich.edu/olac> (October 30, 2004).
29. OLAC Timeframe. <http://www.language-archives.org/tools.html> (October 30, 2004).
30. Andy Webster, "Digital race to save languages," *BBC News* (March 20, 2003). <http://news.bbc.co.uk/2/hi/technology/2857041.stm> (October 30, 2004).

31. Kendra Mayfield, "Word Up: Keeping Languages Alive" *Wired News* (November 4, 2002). <http://wired.com/news/culture/0,1284,54345,00.html> (October 30, 2004).
32. Wayt Gibbs, "Saving Dying Languages," *Scientific American* (August 2002). <http://www.language-archives.org/docs/sciam.pdf> (October 30, 2004).
33. Steven Bird & Gary Simons, "Building an Open Language Archives Community on the OAI Foundation," *Library Hi Tech* 21, no. 2 (2003). <http://www.arxiv.org/abs/cs.CL/0302021> (October 30, 2004).
34. Steven Bird & Gary Simons, "Requirements on the Infrastructure for Open Language Archiving," (2000a). <http://www.language-archives.org/docs/requirements.html> (October 30, 2004).
35. Steven Bird & Gary Simons,, "The Seven Pillars of Open Language Archiving: A Vision Statement," (2000b). <http://www.language-archives.org/docs/vision.html> (October 30, 2004).
36. Steven Bird & Gary Simons, "OLAC Protocol for Metadata Harvesting," (2001). <http://www.language-archives.org/OLAC/protocol.html> (October 30, 2004).
37. Steven Bird & Gary Simons, "OLAC Overview," (2001). <http://www.language-archives.org/documents/overview.html> (October 30, 2004).
38. Gary Simons, "Language Identification in Metadata Descriptions of Language Archive Holdings," Paper presented at the workshop on *Web-Based Language Documentation and Description* (2000). <http://www.ldc.upenn.edu/exploration/expl2000/papers/simons/simons.htm> (October 30, 2004).
39. Susan Hockey, "Towards a Model for Web-based Language Documentation and Description: Some Contributions from Digital Libraries and Humanities Computing Research," in: *Web-Based Language Documentation and Description* (2000). <http://www.ldc.upenn.edu/exploration/expl2000/papers/hockey/hockey.htm> (October 30, 2004).
40. Steven Bird & Gary Simons, "Seven Dimensions of Portability for Language Documentation and Description," *Language* 79 (3) (September 2003): 557-582.

41. Timothy Cole, "Using OAI-PMH to Aggregate Metadata Describing Cultural Heritage Resources," Presented at the *ALA/CLA Annual Conference* (June 2003, Toronto, Canada). Available: [http://dli.grainger.uiuc.edu/publications/twcole/ala2003oai/ALA2003\\_OAI.ppt](http://dli.grainger.uiuc.edu/publications/twcole/ala2003oai/ALA2003_OAI.ppt) (October 30, 2004).

SIL fieldwork: <https://software.sil.org/fieldworks/download/>  
<http://software.sil.org/fieldworks/download/demo-movies/>



გამომცემლობა „კენიარსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



The image shows a wide-angle landscape of a mountainous region. In the foreground, there's a dense forest of green trees. To the right, a rocky path or trail leads up a hillside. The middle ground features a valley with a winding riverbed and patches of green fields. In the background, several layers of mountains are visible, their peaks fading into a clear blue sky.

ISBN 978-9941-26-765-9



9 789941 267659